პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 ივლისი **სამშაბათი** 2010

№ 168 (13 156) ფასი 60 თეთრი



» გვერდი 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ ვაგებთ...

## სლოვაკეთშიც უნგრული სცენარით





**72:80**

## ჯო კოული ლივერპულშია

ყოფილმა არისტოკრატმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა



» გვერდი 8



## დედა ოფიციანტი ყოფილა



» გვერდი 16

## ესპანური სამზადისი

დედამიწის გარშემო: ჩილე, ამერიკა, ჩინეთი, კორეა და მთელი ევროპა



» გვერდი 6



## სლოვაკეთში დაუშვილის გარეშე

ევროპის ლიგა

» გვერდი 2



## ჩემით წამოვედი...

ინტერვიუ გიორგი ბერიაშვილთან

» გვერდი 3



## მიულერს თავში არ აუვარდება!

ინტერვიუ ლუის ვან გაალთან

» გვერდი 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერები

# 900 ათასი ევრო ლვინიანიძის სანაცვლოდ
## რატომ არ ჩანს მათე ლომებში?



**მათე ლვინიანიძის** „მიუნხენ 1860"-მა ჩვენებურის გარეშე ითამაშა და ქვედალიგოსან „რეგენსბურგთან" 0:1 დამარცხდა. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარში „ლომების" მთავარმა მწვრთნელმა **რაინერ მაურერმა** განაცხადა, რომ ლვინიანიძისა და კიდევ ორი ფეხბურთელის არყოფნის გამო, „რეგენსბურგთან" დაცვის ხაზი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა.

„მიუნხენ 1860"-ის ოფიციალური ვებგვერდი და სხვა გერმანული საიტები არაფერს წერენ მათე ლვინიანიძის უთამაშებლობის შესახებ. შეგახსენებთ, რომ თვის დასაწყისში „ბილდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლვინიანიძის დამატება „ოლიმპიაკოსის" გერმანელ მწვრთნელ **ევალდ ლინენს** სურს. ლინენი, რომელიც ადრე „ლომებში" მათეს მწვრთნელი იყო, უკვე ესაუბრა ქართველ მცველს. ამ სავარაუდო ტრანსფერის შესახებ ამჯერად „ბილდი" არა, მაგრამ ავტორიტეტული transfermarkt.de კი წერს. ამ წყაროს ინფორმაციით, „ოლიმპიაკოსი" მზად არის „მიუნხენ 1860"-ს მათე ლვინიანიძის სანაცვლოდ 900 ათასი ევრო გადაუხადოს. სხვათა შორის, ამ ვებგვერდზე ქართველის სატრანსფერო ფასი სწორედ 900 ათასი ევროა. ვებგვერდი transfermarkt.de „მიუნხენ 1860"-დან პირეოსის „ოლიმპიაკოსში" ქართველი მცველის ამ შესაძლო ტრანსფერის ალბათობას ჯერჯერობით, 30 პროცენტით აფასებს.

**დავით ცაბაძე**

# შალამბერიძე პოლონიაში

25 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **კობა შალამბერიძემ** გასული სეზონი ვოძისლავის „ოდრაში" ჩაამთავრა და ალბათ მას მალე ახალ კლუბში ვიხილავთ. პოლონურ ვებგვერდ sports.pl-ის ინფორმაციით, ბიტომის „პოლონიაში" ორი ფეხბურთელია ტესტირებაზე - ქართველი კობა შალამბერიძე და იაპონელი **იუ შიმასაკი**. ამჟამად პოლონური გუნდი გერმანიაში გადის მოსამზადებელ შეკრებას. ბიტომელებმა ადგილობრივ ქვედალიგოსან „კასელთან" 2:2 ფრე ითამაშა.

*„ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს ვესაუბრე. მას ძალიან მოეწონა იაპონელი შიმასაკი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა შალამბერიძემაც. ამ ფეხბურთელების საკითხს ამ დღეებში გადავწყვეტთ"*, - პრესასთან საუბარში აღნიშნა ბიტომის „პოლონიას" ვიცე-პრეზიდენტმა **ვოიცეხ რუდნიცკიმ**.

დაბოლოს, ბიტომის „პოლონიამ" გასული სეზონი მე-7 ადგილზე დაასრულა. პოლონეთში ახალი სეზონი 6 აგვისტოს იწყება. სასტარტო ტურში „პოლონია" „ბელხატოვს" სტუმრად ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# მერებაშვილმა გოლით მოიგო, იაშვილმა უგოლოდ

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. ჩვენი ნაკრების ფორვარდი ჩინებულ ფორმაში რომ არის და საკმაოდ მონდომებულიცაა, ამაზე საკონტროლო მატჩებში მის მიერ გატანილი გოლები მეტყველებს. თუმცა, ამჯერად ჩვენებურს უგოლოდ მოუწია მოედნის დატოვებამ. მორიგ საკონტროლო შეხვედრაში „კარლსრუემ" ფრანგული „მეცი" 2:1 დაამარცხა. კარლსრუელთა ქართველი კაპიტანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩიც ჩაამთავრა.

გოლითა და კარგი თამაშით კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ჩვენი ნაკრებისა და სერბული „ვოევოდინას" თავდამსხმელმა **გიორგი მერებაშვილმა**. სერბული ვებგვერდების მტკიცებით, „ვოევოდინამ" ადგილობრივი „მლადოსტის" წინააღმდეგ საკონტროლო შეხვედრაში ორი შემადგენლობით ისასპარეზა. გუნდის ძირითადმა ბირთვმა და მათ შორის მერებაშვილმაც, მეორე ტაიმი სრულად ითამაშა. „ვოევოდინამ" 2:0 მოიგო და ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გავიდა. 51-ე წუთზე გიორგი მერებაშვილმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე გოლი 72-ე წუთზე **მიტროშევიჩმა** საჯარიმო დარტყმით გაიტანა. როგორც ირკვევა, „ვოევოდინას" სასარგებლოდ ის საჯარიმო დარტყმა, რომელიც გოლით დასრულდა, მერებაშვილის წაქცევის გამო დანიშნეს.

**დავით ცაბაძე**



გიორგი მერებაშვილი

ევროპის ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

# სლოვაკეთში დაუშვილის გარეშე



მურთაზ დაუშვილი

ორიოდე დღეც და ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საპასუხო მატჩები გაიმართება. შინ 3:0 მოგების შემდეგ „ზესტაფონი" ბანსკა-ბისტრიცას „დუკლას" 22 ივლისს უკვე სტუმრად ეთამაშება. ზესტაფონელები სლოვაკეთში დღეს, ჩარტერული ავიარეისით გაემგზავრებიან. იმერლებს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **ლევან ჯანეზაშვილიც** თან გაჰყვება და სლოვაკეთიდან მის რეპორტაჟებს მომდევნო ნომრებში იხილავთ. **გია გეგუჩაძის** გუნდში, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ერთადერთი დანაკლისი ნახევარმცველი **მურთაზ დაუშვილია**, რომელიც ჩვენს გუნდს სლოვაკეთში გაფრთხილებათა სიმრავლის გამო ვერ დაეხმარება.

ვნახოთ, თუ რა ხდება მეტოქის ბანაკში. გასულ უქმეებზე სლოვაკეთში ახალმა საფეხბურთო სეზონმა აიღო სტარტი. სასტარტო ტურში „დუკლამ" „დუნაისკა სტრედას" უმასპინძლა და 2:0 მოიგო. **მარკო კაროლის** გუნდმა ორივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა. 62-ე წუთზე მცველმა **იოზეფ ადამიკმა** გახსნა ანგარიში, 87-ე წუთზე კი თავდამსხმელმა **რობერტ პიჩმა** მატჩს წერტილი დაუსვა. ამ შეხვედრაში „დუკლამ" 4-1-3-2 ტაქტიკური სქემით ითამაშა. მარკო კაროლის გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო:

**ბოროში - ტურნა, ადამიკი, ვაიდა, სავიჩი - პლევა - პოვაჟანეცი (46. მ. პანჩიკი), პეტერ დურიცა (60. გაიდოში), ჰუჩკო - პავოლ დურიცა, სეიე (67. პიჩი).**

*„ძალიან გვინდოდა სეზონი მოგებით დაგვეწყო, მაგრამ „ზესტაფონთან" საქართველოში ჩატარებულ თამაშში წაგების შემდეგ ჩვენი გუნდი ფსიქოლოგიურად იყო გატეხილი. მიუხედავად ამისა, გუნდმა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა შეძლო. რთული მატჩი გვქონდა, მაგრამ წარმატებით დავასრულეთ. ფეხბურთელებმა ჩემი დავალებების შესრულებას თავი გაართვეს და იმედი მაქვს, მომდევნო მატჩებში უკეთ ვითამაშებთ. „დუნაისკა სტრედა" უკანა ხაზზე საიმედოდ გამოიყურებოდა და დაცვიდან აგო თამაში. „ზესტაფონთან" საპასუხო მატჩის წინ, კარგი რეპეტიცია გვქონდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ზესტაფონს" მოგებული განწყობითა და უკეთესი ფსიქოლოგიური მდგომარეობით დავუხვდებით"*, - პრესასთან საუბარში აღნიშნა „დუკლას" მთავარმა მწვრთნელმა მარკო კაროლმა.

დაბოლოს, 22 ივლისს, „დუკლა"-"ზესტაფონის" მატჩი ბანსკა-ბისტრიცაში „შტიავნიცკიზე", თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. შეხვედრას სერბი მსაჯები გაუძღვებიან. მატჩის არბიტრი **დრაგომირ სტანკოვიჩი** იქნება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ადამიამ ბეშიქთაშსა და ოლიმპიაკოსს ვისლა ამჯობინა

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში **გიორგი ადამიას** „ყარაბახმა" ჩრდილოირლანდიური „პორტდაუნი" სტუმრად 2:1 დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გასვლა ფაქტობრივად გაინაღდა. წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე, ადამიას გუნდს, ლიტვურ „შაულიაუსა" და პოლონურ „ვისლას" შორის გამარჯვებული ერგება მეტოქედ. პოლონელებმა ლიტვაში 2:0 მოიგეს და ამ წყვილიდან „ვისლას" გასვლა თითქმის გადაწყვეტილია. აზერბაიჯანული პრესა წილისყრის შედეგებსა და პოტენციურ მეტოქეზე ქართველი ფორვარდის აზრით დაინტერესდა.

*„რამდენადაც ვიცი, იყო შანსი ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქული „ბეშიქთაში" ან ბერძნული „ოლიმპიაკოსი" ყოფილიყო ჩვენი მეტოქე. ამის გათვალისწინებით, „შაულიაუსა" და „ვისლას" შორის გამარჯვებულთან მეტოქეობა, ჩინებული ვარიანტია. ასე რომ, წილისყრის შედეგით უკმაყოფილო არ უნდა ვიყო. თუმცა ისიც ცხადია, რომ „ვისლასთან" ორი რთული მატჩი გველის. პოლონელებმა ლიტვაში ორივე გოლი მატჩის ბოლო წუთებზე გაიტანეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვისლას" ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი და სასურველი შედეგისთვის ბოლომდე იბრძვიან. „ვისლასთან" წარმატებით თამაში შეგვიძლია და ურიგო შანსიც არ უნდა გვქონდეს. ჩემი აზრით, მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვითამაშოთ, ჩვენი კარის უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ და ყველანაირად შევეცადოთ, რომ სწრაფი გოლით დავწინაურდეთ. თუმცა „ვისლამდე" „პორტდაუნთან" საპასუხო მატჩი გველის და ჯერ ამ თამაშზე უნდა ვიფიქროთ"*, - აღნიშნა „ყარაბახის" თავდამსხმელმა გიორგი ადამიამ.

**დავით ცაბაძე**



გიორგი სეთურიძე

# სეთურიძე: გერმანიის გავლით ისევ აზერბაიჯანში

ბაქოს "სტანდარდი" აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, კლუბი კი ქართველებმა დატოვეს – **დავით ქიმშვეიშვილი** ზუგდიდის "ბაიაში" გადავიდა, **სერგო ორბელაძე** ბოლნისის "სიონში", ამირან მუჯირი კლუბს ეძებს, 24 წლის ნახევარმცველი **გიორგი სეთურიძე** კი გერმანიის მესამე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ იენის "კარლ ცაისში" ისინჯებოდა. შესაძლოა, ეს გაგიკვირდეთ, რადგან მესამე ბუნდესლიგაში ლეგიონერის დამატების უფლება არ ჰქონდათ. ბოლო ორი წელია ვითარება შეიცვალა და უცხოელებზე შეზღუდვა მოხსნეს.

გიორგი იენურ კლუბში ჯერ კიდევ 2007/08 წლების სეზონში ირიცხებოდა, როდესაც "კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგაში გამოდიოდა. სეთურიძემ კლუბში ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, თუმცა, ბოლო ინფორმაციით, კლუბი დატოვა.

როგორც შევიტყვეთ, სეთურიძეს "ოლიმპში" გადასვლას სთავაზობდნენ, რაც რუსთაველთა პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძემაც** დაგვიდასტურა, მაგრამ არ დაუმალავს, რომ მოლაპარაკება მაინც ჩაიშალა.

გიორგის თბილისის "დინამოში" გადასვლაც შესთავაზეს და მისთვის ეს წინადადებაც საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ საქართველოში დარჩენას, აზერბაიჯანში გადასვლა ამჯობინა: როგორც დავაზუსტეთ, გიორგი ამჟამად თურქეთში იმყოფება და სეზონისთვის აზერბაჯანულ კლუბში, ბაქოს "მულანში" ემზადება.

"მულანი" გასულ სეზონში აუტსაიდერთა ექვსეულში მოხვდა, სეთურიძის "სტანდარდს" მხოლოდ ორი ქულით გაასწრო და აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგაში დარჩა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ჩემპიონატი

# გია ფირცხალავა: წელს ყველაზე მდიდარი კლუბები გვეყოლება

## ლექსო თოფურია: ალბათ, კოლხიდას პროექტი გაგრძელდება

29 ივლისს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მე-14 კონფერენციაზე ერთ-ერთი განსახილველი თემა კომპანია "კოლხიდასთან" დაკავშირებული ფინანსური საკითხი გახლდათ. ამის თაობაზე, ფინანსურ საკითხებში ლიგის პრეზიდენტის თანაშემწე **ზაზა გუნცაძემ** და კომპანია "კოლხიდას" დამფუძნებელმა **ლექსო თოფურიამ** ილაპარაკეს. პოზიცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ზვიად სიჭინავამაც** დააფიქსირა.

საბოლოოდ ფეხბურთის ფედერაცია, პროფლიგა და კომპანია "კოლხიდა" შეთანხმდნენ, რომ "კოლხიდა" დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს 2010 წლის 31 ივლისამდე შეასრულებდა, ან კონტრაქტი გაწყდებოდა.

როგორ განვითარდება მოვლენები და კვლავ იხილავს თუ არა ქართველი მაყურებელი მედიაკომპანია „კოლხიდას“ ტელეპროექტს?

კონფერენციის შემდეგ, „კოლხიდას“ პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ განაცხადა: *"ჩვენ ლიგასთან 20-წლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და 2009 წლამდე დავალიანება გავისტუმრეთ. ახლა ლაპარაკია, როგორ განვიხილოთ 2010 წელი. ვადა 31 ივლისამდეა დათქმული და დღევანდელი ვითარებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამატებითი თანხა უნდა გადავიხადოთ. ამით დეფიციტი აღმოფხვრილი იქნება.*



გია ფირცხალავა

*თუმცა, „კოლხიდას“ პროექტის გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაში ღირს, თუკი უმაღლესი ლიგის ყველა კლუბები გადავა კერძო საკუთრებაში. სხვაგვარად, პროფლიგასთან კონტრაქტი 31 ივლისამდე შეწყდება. სახელმწიფო კლუბებთან ურთიერთობა 5 წლის წინაც პრობლემური იყო და ახლაც იგივეს ვიტყვი. თუმცა, კლუბების განკერძოების პროცესი დამაიმედებლად მიმდინარეობს. იმედია, ასეთივე ტემპით გაგრძელდება და მალე ყველა კლუბს კერძო მეპატრონე ეყოლება".*

ლექსო თოფურიას და „კოლხიდას“ დაბრკოლებები მცირდება - ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში უმაღლესი ლიგის ორი კლუბი რჩება, „სამტრედია“ და ცხინვალის „სპარტაკი“. თუმცა, „სამტრედიის“ პრეზიდენტმა **ზაზა ადეიშვილმა** გვითხრა, რომ კლუბს მალე კერძო მეპატრონე დააპურებს. ანუ, მალე მხოლოდ ცხინვალელთა საკითხი დარჩება გასარკვევი.

გაგრძელდება თუ არა ქართული ფეხბურთისთვის ეს მნიშვნელოვანი პროექტი?

კომენტარისთვის ლიგის პრეზიდენტ **გია ფირცხალავას** დავუკავშირდით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც გავესაუბრეთ:

- „კოლხიდას“ დამფუძნებელმა საბოლოო პასუხისთვის ვადა 31 ივლისამდე ითხოვა და გვეცოდინება, გააგრძელებს თუ არა კონტრაქტს. ასე რომ, პარტნიორობის საკითხი მალე გაირკვევა.

- ბატონო გია, მართალია, თითქოს ლიგისა და ფედერაციისთვის "კოლხიდასთან"' კონტრაქტის ხანგრძლივობაა მიუღებელი (ხელშეკრულება 20-წლიანია).

- "კოლხიდას" პროექტი თავიდანვე მომწონდა და წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. ქართული ფეხბურთისთვის სატელევიზიო პროექტი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებას საფუძველი ჰქონდა. ქართული ფეხბურთის კომერციალიზაცია უცებ ვერ მოხერხდება. მთავარია, პროექტი როგორ განხორციელდება. ჩვენ ამით დაინტერესებულები ვართ. „კოლხიდას“ ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება, ან იქით, ან აქეთ.

**- თოფურიამ კონტრაქტის გაგრძელების წინა პირობად უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის განსახელმწიფოებრიობა დაასახელა – ეს რეალური გგონიათ?**

- განსახელმწიფოებრიობა სავარაუდოდ კი არ უნდა მოხდეს, აუცილებელია, რადგან უეფა კატეგორიულად ითხოვს – საფეხბურთო კლუბი სახელმწიფო საკუთრებაში აღარ უნდა იყოს.

**- ამ მოთხოვნის შესრულების ბოლო ვადა როდის არის?**

- პროცესი რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს. სხვაგვარად სახელმწიფო კლუბებს უეფასგან პრობლემა შეექმნებათ.

**- ადრე ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, პროფლიგა კლუბებს საგარანტიო წერილს სთხოვდა – წელს მსგავსი მოთხოვნის წაყენებას არ აპირებთ?**

- ახლა კლუბების უმრავლესობა კერძო საკუთრებაშია და ასეთი მოთხოვნა, შესაძლოა, უხერხულიც იყოს. ესა თუ ის მძლავრი კომპანია კლუბს რომ აიყვანს, ე.ი. საამისო სახსრებიც გააჩნია. ასეც არის, თუკი საერთო სურათს გადავხედავთ – კერძო მფლობელობაში გადასული ყველა კლუბის ბიუჯეტი მილიონ ლარამდეა, ზოგის კი, უფრო მეტიც. ასეთ ვითარებაში საგარანტიო წერილები უადგილოა.

**- სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ყველაზე მაღალბიუჯეტიანი გუნდები გვეყოლება.**

- დიახ, ასეა და ეს ძალიან მაიმედებს. მაღალი ბიუჯეტი უკეთესი დაკომპლექტების საფუძველია: უკეთესი ფეხბურთელებით უკეთესი გუნდები იქმნება, უკეთესი გუნდებით კი, ბუნებრივია, უფრო ხარისხიან ფეხბურთს აჩვენებენ და წესით, შარშანდელზე მაღალი დონის ჩემპიონატი უნდა ვიხილოთ.

**- უკეთესი ფეხბურთელების მოწვევაში ხელს ხომ არ შეგვიშლის ლეგიონერებზე დაწესებული 15-ათასლარიანი გადასახადი? მაგალითად, "ოლიმპმა" კენიის ნაკრების თავდამსხმელ ალენ ვანგას შეძენაზე ამის გამო შეიკავა თავი.**

- მესმის, რომ გადასახადის ოდენობა დამაფიქრებელია, მაგრამ ალბათ, ფედერაციამ ეს ზღვარი იმიტომ დააწესა, რომ მართლა მაღალი დონის ფეხბურთელები ჩამოიყვანონ. 15 ათასი ლარი ის თანხაა, რომლის გამოც კლუბებს დაფიქრება უღირთ, ჯობია კი ჩამოიყვანონ საეჭვო კვალიფიკაციის ლეგიონერი? ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს რამდენიმე ისეთი უცხოელი, რომლებსაც საერთოდ რომ არ უთამაშიათ? ასეთებს აღარ ჩამოიყვანენ და მხოლოდ ღირსეულებს შეარჩევენ. თუმცა, შეიძლება, თანხის ოდენობა მართლა დამაფიქრებელი იყოს.

**- გადასახადის შემცირება რეალური გგონიათ?**

- ეს ფედერაციის პრეროგატივაა. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და მისი შედეგები წელს გამოჩნდება. ალბათ, კორექტივები ამაზე იქნება დამოკიდებული.

**- სეზონის შემაჯამებელი შოუ-საღამო „დია“ თუ გაიმართება?**

- აუცილებლად გაიმართება, მაგრამ პოტენციურ სპონსორებთან მოლაპარაკება გვაქვს და საღამოს თარიღსაც ვაზუსტებთ.

**- სავარაუდო თარიღი სეზონის დაწყებამდე შეარჩიეთ?**

- არ აქვს მნიშვნელობა, სეზონის დაწყებამდე გაიმართება თუ მისი მსვლელობის დროს - მთავარია, გაიმართოს და მაღალ დონეზე იყოს ორგანიზებული.

**ლექსო თოფურია, მედიაკომპანია "კოლხიდას" პრეზიდენტი:**

- 31 ივლისს საბოლოო პასუხს ვიტყვი, ვაგრძელებთ თუ არა კონტრაქტს.

**- დღევანდელი გადასახედიდან დადებითი პასუხისკენ უფრო იხრებით თუ უარყოფითისკენ?**

- უფრო, დადებითისკენ, რადგან ეს პროექტი ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- კლუბის განსახელმწიფოებრიობის ადრინდელივით გაიმედებათ?**

- პროცესს ვაკვირდებით და ადრეც ვთქვი, რომ ამას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდი. იმედია, პროცესი იმ შედეგით დასრულდება, რაც სატელევიზიო პროექტის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ გიორგი ბერიაშვილთან



# ოლიმპმა უბიცა დაიმატა

## ბერიაშვილი: ვინ დამაყენა ტრანსფერზე? ჩემით წამოვედი

მოსალოდნელი მოხდა – გიორგი ბერიაშვილი (მეტსახელად "უბიცა") რუსთავის "ოლიმპში" გადავიდა. თბილისის "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი კარიერას საქართველოს ჩემპიონში გააგრძელებს.

გიორგის მეტსახელს რაც შეეხება – კაცის მკვლელი და კრიმინალი არასდროს ყოფილა, ფეხბურთელებმა ასე რატომღაც ბრძოლისუნარიანობისა და ენერგიულობისთვის მონათლეს და ეს ზედმეტსახელი დღემდე შერჩა.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ, უკრაინულ შეკრებაზე "კრიმტეპლიცა"-"ვიტ ჯორჯიას" მატჩი მიმდინარეობდა, როდესაც მასპინძელთა გუნდის ოპერატორმა სკანდალური კადრები დააფიქსირა: ბერიაშვილი მთავარ მწვრთნელ გელა გომელაურს მივარდა და რამდენჯერმე დაარტყა. ამის შედეგად შევიტყვეთ, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ბერიაშვილი ტრანსფერზე დააყენა.

მომხდარის შემდეგ, "ვიტ ჯორჯიაში" არ მალავდნენ, ბერიაშვილს "ოლიმპში" წასვლა უნდოდა და უსიამოვნება ამით იყო გამოწვეულიო.

ასე რომ, "ოლიმპი' ახლა "ვიტ ჯორჯია" უფროა – რუსთავურ კლუბში უკვე ვეტერინართა შემადგენლობაში ნათამაშები ექვსი ფეხბურთელი შეიკრიბა – მეკარე გია ბედიაშვილი, მცველები თემურ ღონღაძე (კონტრაქტი ორი წლის წინ გაწყვიტა, რადგან ძირითადში არ ათამაშებდნენ), ლაშა ჯაფარიძე, ალექსანდრე კვახაძე, ნახევარმცველი ლუკა რაზმაძე და ახლა მათ ბერიაშვილიც დაემატათ.

**ბერიაშვილის გადასვლა "ოლიმპის" პრესატაშე მიხეილ ჯორბენაძემ დაგვიდასტურა და გვითხრა, რომ კლუბმა თავდამსხმელი გამოისყიდა.**

**"ვიტ ჯორჯიიდან" სკანდალური წასვლის შემდეგ, ეს გიორგი ბერიაშვილის პირველი ინტერვიუა.**

**- გიორგი, როგორც შევიტყვეთ, "ოლიმპში" გადახვედი.**

- დიახ, "ვიტ ჯორჯია" და "ოლიმპი" შეთანხმდნენ და რუსთაველებთან ერთად ვვარჯიშობ.

**- "ოლიმპმა" კონტრაქტი გამოისყიდა?**

- დიახ, ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა და კომპენსაციაზე შეთანხმდნენ. სხვათა შორის, აქვე მინდა გითხრათ: გამიკვირდა, როდესაც წავიკითხე, თითქოს ტრანსფერზე დამაყენეს. სინამდვილეში, "ვიტ ჯორჯია" საკუთარი სურვილით დავტოვე.

**- ანუ, "ოლიმპში" გადასვლაზე მართლა ფიქრობდი?**

- რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რადგან "ვიტ ჯორჯიაში" გაჩერება აღარ მსურდა. გუნდის დატოვება ჯერ კიდევ შეკრების დაწყებამდე გადავწყვიტე, გელა გომელაურთან ჩხუბი არაფერ შუაშია, უბრალოდ, ამის შემდეგ ყველამ შეიტყო, რომ "ვიტ ჯორჯიაში" აღარ ვიყავი.

**- მესმის, არასასიამოვნო თემაა, მაგრამ მწვრთნელთან კონფლიქტი, თანაც უცხოეთში?!**

- ჩხუბი მეც არ მსიამოვნებს, მით უფრო უცხოეთში. სიმართლე გითხრათ, მომხდარის შემდეგ გაკეთებულმა ერთმა განცხადებამ გამაოცა, ეს ბიჭი ფეხბურთს ვერ ითამაშებსო. მშვენივრად ვითამაშებ და დავამტკიცებ, რომ ასეთ შეფასებას არ ვიმსახურებ. რაც შეეხება მომხდარს: ბევრმა იცის, რაც მოხდა და ჭორაობას არ დავიწყებ. თუმცა, თავადაც მიხვდებით, რომ ფეხბურთელი უმიზეზოდ არ გამწარდება...

**- კარგი, აღარ ჩაგეძიები... როგორც ვიცი, ქუთაისის "ტორპედოც" გიწვევდა.**

- არა მხოლოდ "ტორპედო", თურქეთისა და ისრაელის კლუბებიც მიწვევდნენ, მაგრამ უცხოეთში ნაღდი ვარიანტები არ იყო და "ოლიმპის" გარანტირებული კონტრაქტი ვამჯობინე.

**- თუკი "ოლიმპი" "აქტობეს" მოუგებს, ალბათ, ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება გექნება.**

- გასვლის შემთხვევაში, "ოლიმპს" ფეხბურთელების დამატების უფლება გააჩნია და რა თქმა უნდა, განაცხადში შემიყვანენ.

**- მიხვედი გუნდში, სადაც ოლიმპელებზე მეტი, ვიტჯორჯიელები ხართ და ფაქტობრივად, ადაპტაცია, არც დაგჭირდება.**

- სხვათა შორის, სხვა ბიჭებსაც საკმაოდ კარგად ვიცნობდი და ყველას ჩემიანად ვთვლი.

**- მწვრთნელსაც?**

- (იცინის) ტყუილად ფიქრობთ, რომ ჩხუბისთავი ვარ. თემურ მახარაძეს კი ნდობისა და გამორჩევისთვის მადლობა უნდა ვუთხრა. ჩემთვის ეს იყო საწყენი, ამბიციური "ტორპედო" და ჩემპიონი "ოლიმპი" მიწვევდა, "ვიტ ჯორჯიაში" კი უკრაინულ შეკრებამდე მივხვდი, რომ სეზონს სათადარიგოებში გავატარებდი. ამიტომ ამიცრუვდა გული და წამოსვლა გადავწყვიტე. საწყენია ისიც, რომ ბოლო სეზონი ცუდად არ მითამაშია. სკამზე ჯდომას კი ფეხბურთიდან წასვლა მერჩივნა და რატომ უნდა დავრჩენილიყავი, როდესაც ვარიანტები მქონდა? ამიტომ ამბობ, "ვიტ ჯორჯიას" დატოვება ჩხუბამდე გადავწყვიტე.

**მერაბ მამულაშვილი**

კოლხეთი

# ფოთი ძლიერდება: ახლა ჯიქია და ინწკირველი

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ფოთის „კოლხეთი“ ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. კლუბის მესვეურები გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავენ და შედეგიც სახეზეა. **ბესიკ შეროზიას** გუნდს, მეკარე **ზვიად სტურუასა** და მცველ **მიხეილ მახვილაძის** შემდეგ კიდევ ორი ფეხბურთელი დაემატა. თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია**, რომელმაც გასული სეზონის ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპში“ დაასრულა, კარიერას „კოლხეთში“ გააგრძელებს. ცნობისათვის, ჯიქიამ „ოლიმპში“ 10 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. მის გარდა ფოთელებს მცველი **ლექსო ინწკირველიც** შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ ინწკირველი, წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიაში“ გამოდიოდა. მცირე ხნით თბილისის „დინამოშიც“ იყო. ერთი პერიოდი აზერბაიჯანულ „ქარვანშიც“ გამოდიოდა.

ამჟამად „კოლხეთი“ ურეკშია მოსამზადებელ შეკრებაზე. გუშინ „კოლხეთის“ დუბლები პირველ ლიგაში მოასპარეზე ლანჩხუთის „გურიას“ გაეჯიბრა. ეს საკონტროლო შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

**დავით ცაბაძე**

თვითმხილველის ნაამბობი

ინტერვიუ დავით მინაშვილთან

# მუნდიალი: მხოლოდ საფეხბურთო ქვეყნებში!


დავით მინაშვილი სამხრეთ აფრიკაში

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე საქართველოს ნაკრების ხილვა, სულ მცირე, ოთხი წლით უნდა „გადავდოთ". თუმცა, სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე ახლახან დასრულებულ მუნდიალს უქართველებოდ მაინც არ ჩაუვლია: მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ჩვენი თანამემამულე ჟურნალისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფიც ასრულებდა თავიანთ პროფესიულ მოვალეობას. მათ შორის იყო ჩვენი კოლეგა, „პირველი არხის" სპორტული მიმართულების პროდიუსერი დავით მინაშვილი, რომელსაც პატივი ხვდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ნახევარფინალური შეხვედრისა და ფინალური მატჩის პირდაპირ რეპორტაჟებს უშუალოდ სამხრეთ აფრიკიდან გაძღოლოდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ექსკლუზიური ჩვენების უფლება სწორედ „პირველ არხს" ჰქონდა და ამ სამაუწყებლო კომპანიის სპორტულმა რედაქციამ (რედაქტორი - ვლადიმერ ნიკოლაიშვილი) მუნდიალის ყველა მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი შემოგვთავაზა (კომენტატორები დავით მინაშვილი და სანდრო ცნობილაძე). ამას გარდა, მუნდიალის დღეებში (ყოველი მატჩის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ) პირველი არხის ეთერით გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვა" გადიოდა, რომელსაც დავით მინაშვილი და „ლელოს" ჟურნალისტი ილია ბაბუნაშვილი უძღვებოდნენ.

**ახლა კი, ჯობს, მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილის პერიპეტიებზე დავით მინაშვილს მოვუსმინოთ, ვისთვისაც ეს მუნდიალი მეხუთე უმნიშვნელოვანესი სპორტული ფორუმია 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადისა და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ.**

**- ჯერ წინა და ახლანდელი ჩემპიონატები შევადაროთ.**

- ამ მხრივ, ძალიან დიდი სხვაობა იყო, ორგანიზაციული საკითხები იქნებოდა თუ ინფრასტრუქტურა, გერმანიაში ყველაფერი მართლაც იდეალურად იყო. ანუ, ის ეჭვი გამართლდა, რომ მუნდიალის არასაფეხბურთო ქვეყანაში ჩატარება გარკვეულ პრობლემებს გამოიწვევდა.

**- შეგიძლია, კონკრეტული მიზეზები დაასახელო?**

- პირველ ყოვლისა, ორგანიზაციულ საკითხებს ვგულისხმობ: სერიოზული პრობლემები გვქონდა ჟურნალისტებს ტრანსპორტთან დაკავშირებით. არადა, იმის გარდა, რომ სასტუმროდან სტადიონამდე საათ-ნახევარის სავალი გზა იყო, ელემენტარულად, საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც ვერ ისარგებლებდი. ოღონდ, ამ შემთხვევაში, პირად უსაფრთხოებას ვგულისხმობ: იოჰანესბურგში ადგილობრივი თეთრკანიანი მოსახლეობაც ერიდება საზოგადოებრივ ტრასპორტში ჩაჯდომას და ჩვენ, ჟურნალისტებსაც იგივე გვირჩიეს...

**- მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა თავისი საქმე იდეალურად ვერ გააკეთა?**

- მე უფრო ფიფას დავადანაშაულებდი. აი, ტრანსპორტზე რომ ვთქვი, სწორედ ფიფას უნდა უზრუნველეყო ჩვენთვის დროული და, რაც მთავარია, უსაფრთხო გადაადგილება. ამას გარდა, ჟურნალისტებს უსიამოვნო სიურპრიზი გველოდა: პრესცენტრში ინტერნეტის სარგებლობა თითქმის ყველგან უფასოა, აი, სამხრეთ აფრიკაში კი ამ სიამოვნებას მოკლებული ვიყავით.

**- საერთოდ, ასეთი დონის ტურნირების დროს, ფასები ერთი-ორად იზრდება-ხოლმე.**

- გეთანხმები, მაგრამ, ყველაზე უცნაური ის არის, რომ სამხრეთ აფრიკაში, თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანასთან შედარებით, საკმაოდ დაბალი ფასებია; ქუჩაში კოკა-კოლას ერთ დოლარად თუ შეიძენდი, პრესცენტრში... ორჯერ მეტი ღირდა! სხვა მაგალითსაც მოგიყვანთ: შარშან, აქვე, კონფედერაციის თასის დროს ვუვუზელას შესაძენად მხოლოდ 2 დოლარი დაგჭირდებოდა, ახლა კი... 15 დოლარი უნდა გადაგეხადა! ოღონდ, სხვაობაც იყო: „წლევანდელი" ვუვუზელები უკვე ფიფას ლოგოთი იყიდებოდა...

**- ახლა კი უშუალოდ საფეხბურთო თემებზე ვისაუბროთ. სამხრეთ აფრიკიდან შენი პირველი პირდაპირი რეპორტაჟის დასაწყისი გარკვეული ხარვეზებით მიდიოდა.**

- გამოსახულება ცალკე მოდიოდა, ხმა კი -ცალკე; დაახლოებით ხუთი წუთი ტექნიკური წუნი იყო და სწორედ მაშინ გავიდა კიდეც ვან ბრონკჰორსტის გოლი. ანუ, მე უფრო ადრე „გავატანინე" ვან ბრონკჰორსტს გოლი, ვიდრე ამას ქართველი მაყურებელი ნახავდა. საბედნიეროდ, ეს პრობლემა მალე მოგვარდა და საერთოდაც, სამუშაო პირობების გათვალისწინებით, საპრეტენზიო არაფერი მქონდა.

**- სამხრეთ აფრიკაში სხვადასხვა ქვეყნის უამრავი ჟურნალისტის გარდა, კომენტატორებად საფეხბურთო სამყაროს ცნობილი წარმომადგენლებიც მუშაობდნენ.**

- ჟურნალისტების ზუსტ რიცხვს ნამდვილად ვერ დავასახელებ; მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მარტო ბრაზილიიდან 600 აკრედიტირებული ჟურნალისტი იყო ჩამოსული! რაც შეეხება ცნობილ პერსონაჟებს, პრესცენტრში ყოველდღე ვხედავდი: არსენ ვენგერს, იურგენ კლინსმანს, მარსელ დესაის, პატრიკ კლუივერტს, უგო სანჩესს, რონალდ კუმანს, ივან სამორანოს, ენცო ფრანჩესკოლის. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ფინალის დღეს პრესცენტრში... ხავიერ ძანეტისთან ერთად იყო.

**- ნახევარფინალებმა როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვა?**

- იმის მიუხედავად, რომ ურუგვაიმ ბოლომდე იბრძოლა, წყვილში ფავორიტად ჰოლანდია მაინც მიიჩნეოდა და ლოგიკურიც იყო ამ გუნდის ფინალში გასვლა. თან, არ დაგვავიწყდეს, თუ როგორი მხარდაჭერა ჰქონდათ ჰოლანდიელებს ადგილობრივებისგან. სხვათა შორის, ფინალშიც ჰოლანდიელი ქომაგები აშკარად ჭარბობდნენ ესპანელებს.

**- ფინალამდე მეორე ნახევარფინალური შეხვედრა იყო, ამ მუნდიალის ერთ-ერთი მატჩი-მშვენება: გერმანია-ესპანეთი.**

- ჩემი აზრით, ეს იყო ამ ტურნირზე ესპანეთის ნაკრების საუკეთესო მატჩი; სწორედ იმ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ამ მუნდიალზე ყველაზე დაბალანსებული გუნდი სწორედ ესპანელებს ჰყავდათ; ალარაფერს ვამბობ დელ ბოსკეს აბსოლუტურად სწორ გადაწყვეტილებაზე, როცა ტორესის ნაცვლად ძირითადში პედრო დააყენა, ხოლო ვილიას ცენტრფორვარდის ამპლუა მიაკუთვნა. იმ შეხვედრაში შეუდარებელი იყო ჩავიინიესტას წყვილი, რომ ალარაფერი ვთქვა კარლეს პუიოლზე - ამ ფეხბურთელს სპეციალურ პრიზსაც მივაკუთვნებდი თავგანწირული თამაშისათვის.

**- ფინალის რეპორტაჟის წინ არ ღელავდი?**

- როგორ შეიძლება, კომენტატორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ გარკვეულ მღელვარებას არ გრძნობდეს; რა თქმა უნდა, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ რეპორტაჟის წაყვანის დროს ზოგი იმაზე გვსაყვედურობს, ამდენი სტატისტიკა რა ამბავიაო, ზოგი, პირიქით - უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას ითხოვს. მოკლედ, „ჩვეულებრივი" სამუშაო პროცესია...

**- ფინალში ვის ქომაგობდი?**

- გამორჩეულად არც ერთს და, აქედან გამომდინარე, ჩემთვის მართლაც სულ ერთი იყო, ჰოლანდია გაიმარჯვებდა თუ ესპანეთი. რაც მთავარია, ჩემპიონობას ორივე გუნდი იმსახურებდა და რომ არა მსაჯის უხეში შეცდომა, კიდევ საკითხავია, საბოლოო გამარჯვებული რომელი გუნდი გახდებოდა.

**- კონკრეტულად რომელ ეპიზოდს გულისხმობ?**

- აი იმას, ჰოლანდიელთა კარში გოლს წინ რაც უძღოდა. ჰოლანდიელები საჯარიმოს ასრულებდნენ, ბურთი ესპანელს მხარზე მოხვდა და კუთხურიც აშკარა იყო; მაგრამ, რატომღაც, მატჩის არბიტრი ჰოვარდ ვები ამ მომენტში უკვე ... მოტრიალებული იყო და ესპანელთა წამოწყებული შეტევაც გოლით დასრულდა.

**- ესპანეთის ნაკრების ქომაგები მაშინ, იმასაც „შეგახსენებენ", ნაიჯელ დე იონგი რომ გასაძევებელი იყო.**

- ამაზე სადავო არავის უნდა ჰქონდეს, მაგრამ ვებმა, ეტყობა, ფინალის „გაფუჭება" არ მოინდომა. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მაქვს: ვთქვათ, არბიტრს მართლაც შეეშალა და ასეთი უხეში თამაშისთვის ფეხბურთელი არ გააძევა. ასეთ შემთხვევაში, ფიფამ უნდა დასაჯოს ეს ფეხბურთელი. თან, ძალიან მკაცრადაც - სამი, ოთხი ან ხუთი თამაშით.

**- სხვათა შორის, ვებმა ამ მუნდიალზე სხვა შეხვედრაც არადამაჯერებლად ჩაატარა: სლოვაკეთი-იტალიის მატჩს ვგულისხმობ.**

- გეთანხმები, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ბრიტანელმა არბიტრმა წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალი იმსაჯა და მუნდიალის ბოლოსკენ შემორჩენილი არბიტრებიდან ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო. ამას გარდა, ახალგაზრდა არბიტრებმა, უნგრელმა კასაიმ და უზბეკმა ირმატოვმა ნახევარფინალები იმსაჯეს და ფინალის გაძღოლას აღარ ანდობდნენ.

**- მუნდიალის დახურვის ცერემონიალზე რაიმე განსაკუთრებული ხომ არ მომხდარა?**

- ფიფამ ის მართლაც კარგი წესი შემოიღო, დამარცხებული გუნდი გამარჯვებულს, ეგრეთ წოდებულ, დერეფანს რომ უკეთებს. განსაკუთრებული კი არაფერი ყოფილა, იმის გარდა, რომ წესრიგის დამცველებმა სტადიონის ტერიტორია ძალიან მალე დაატოვებინეს მცირერიცხოვან ესპანელ ქომაგებს. საერთოდ კი, უკვე მეორე დღიდან მხოლოდ ბანერებით თუ მიხვდებოდა ვინმე, აქ რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა.

**- მოკლედ, ორივემ უნდა ვაღიაროთ, რომ მუნდიალის ჩატარება აშკარად „არასაფეხბურთო" ქვეყანაში მაინც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის.**

- აღარ მინდა გერმანიასა და სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული მუნდიალების შედარებაზე ვილაპარაკო. ფინალის მეორე დღიდანვე სამხრეთ აფრიკაში ტელევიზიით საფეხბურთო გადაცემებს ველარც ნახავდით - მთლიანად რაგბიზე გადაერთვნენ. სამაგიეროდ, მიმაჩნია, რომ საერთოდ, აფრიკის კონტინენტისთვის იყო მნიშვნელოვანი ამ მუნდიალის ჩატარება. აი, ადგილობრივ ტელევიზიაშიც ყოველდღე სპეციალური გადაცემა გადიოდა, სადაც აფრიკის ყველა ცნობილი ფეხბურთელი ექსპერტების როლში ჰყავდათ: ჯორჯ ვეა, როჟე მილა, ჯეი-ჯეი ოკოჩა, აბედი პელე; საერთოდაც, სამხრეთ აფრიკაში მუნდიალის ჩატარების იდეა ხომ ამ კონტინენტზე ფეხბურთის პოპულარიზაციას ეფუძნებოდა...

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონი

# ასათიანი სამეულს გეგმავს



რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში მოსკოვის "ლოკომოტივმა" საკუთარ მოედანზე ვლადიკავკაზის "ალანია" გაანადგურა, რაშიც თავისი წვლილი **მალხაზ ასათიანმაც** შეიტანა – რკინიგზელთა ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. მატჩის შემდეგ ასათიანმა განაცხადა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა.

*"ისევე როგორც ყველა გამარჯვების შემდეგ, ახლაც კარგ განწყობაზე ვარ. მიხარია, რომ მაღალი ხარისხის ფეხბურთი ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი პრემიერლიგის საუკეთესო სამეულში შესვლაა. მართალია, "ზენიტი" დიდი უპირატესობით ლიდერობს, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინაა. ქულებს თუ სტაბილურად დავაგროვებთ, პიტერელებს აუცილებლად დავეწევით"*, - ამბობს ასათიანი.

13 ტურის შემდეგ რუსეთის ჩემპიონატს "ზენიტი" 33 ქულით ლიდერობს, მეხუთე ადგილზე მყოფ "ლოკომოტივს" კი 21 ქულა აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მარცვალაძე და საჯაია საუკეთესოებში დაასახელეს

რუსეთის პირველ დივიზიონში სეზონის ნახევარი მიილია, პოპულარულმა გამოცემა „სპორტ ექსპრესმა" განვლილი პერიოდი შეაჯამა და საუკეთესოებიც გამოარჩია. რჩეულთა შორის ორი ქართველი ლეგიონერია, „ვოლგას" მცველი **ედიკ საჯაია** და თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე**. შეგახსენებთ, რომ ქართველთა ამ დუეტს „ვოლგაში" კიდევ ორი ჩვენებური დაემატა - მცველი **გიორგი ნავალოვსკი** და ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა**. გუნდი 32 ქულით მესამე ადგილზეა. ნიჟნინოვგოროდელები ცხრილის ლიდერ „ყუბანსა" და მეორე საფეხურზე მყოფ „კრასნოდარს", შესაბამისად, 5 და 3 ქულით ჩამორჩებიან.

პირველი დივიზიონის ბომბარდირთა დავაში, 18 მატჩში გატანილი 9 ბურთით მარცვალაძე მე-3 ადგილზეა და 4 გოლით ჩამორჩება მეგოლეთა ცხრილის სათავეში მყოფ „კამაზის" ფორვარდ **სპარტაკ გოგნიევს**. მარცვალაძე ასევე მე-3 ადგილზეა გოლი+პასის ნომინაციაში - 9 გოლი, პლუს 3 საგოლე გადაცემა. „სპორტ ექსპრესმა" შეფასებების მიხედვით, პირველი ლიგის საუკეთესო ათეული დაასახელა. ამასთან, ცალკე გამოყო პოზიციების მიხედვით. საუკეთსო ათეულში ოთარ მარცვალაძე 3.72 ბალით მე-6 ადგილზეა, მე-10 კი ედიკ საჯაიაა 3.69 ბალით. პოზიციების მიხედვით, საჯაია მცველებში მე-5 ადგილზეა, მარცვალაძე თავდამსხმელებში - მეორე. ლიგის საუკეთესო ლეგიონერების ხუთეულში მხოლოდ ერთი ჩვენებურია, მარცვალაძე 3.72 ბალით მე-2 ადგილზეა და მხოლოდ თანაკლუბელს, კოტდივუარელ მცველ **ალი ნდრის** ჩამორჩება.

პირველ დივიზიონზე ვწერთ და აქვე გაცნობებთ, რომ „ურალის" მთავარმა მწვრთნელმა **ბორის სტუკალოვმა** პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ ზამბიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ჩისამბა ლუნგუ** მის გუნდში ითამაშებს. როგორც ირკვევა ლუნგუ „ურალთან" 2-წლიან კონტრაქტს მალე გააფორმებს. ცნობისათვის, „ურალსაც" 32 ქულა აქვს და „ვოლგაც" მომდევნო საფეხურზე, მე-4 ადგილზეა. თუმცა ითამაშებს თუ არა ლუნგუ სტუკალოვის გუნდში, ეს ჯერ კიდევ საეჭვოა. რატომ? საქმე ის არის, რომ „ბაიას" წარმომადგენლების მტკიცებით, ლუნგუს ზუგდიდურ კლუბთან საკონტრაქტო ვადა არ ამოუწურავს. შესაბამისად, „ბაიას" სრული უფლება აქვს, ლუნგუს ფიფაში უჩივლოს და მისი დისკვალიფიკაცია მოითხოვოს.

**დავით ცაბაძე**


ოთარ მარცვალაძე

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# მილანი კონტრაქტის გახანგრძლივებას მთავაზობს

## კიდევ რამდენიმე დღე მოვიცდი და ახალ განცხადებას გავაკეთებ

**კახა კალაძემ უკრაინულ "სპორტ სეგოდნიას" ინტერვიუ მისცა, სადაც საკლუბო, საქმიანი და პირადი ამბების გარდა, გიორგი დემეტრაძის საქმეზეც ისაუბრა.**

**- გიორგი დემეტრაძე, რომელიც უკრაინაში ნლების განმავლობაში წარმატებულად თამაშობდა, საქართველოში დააკავეს მაფიასთან კავშირის ბრალდებით. თქვენ ქვეყნის პრეზიდენტ სააკაშვილსა და პატრიარქ ილია მეორეს ღია წერილით მიმართეთ. ამას რა რეაქცია მოჰყვა?**

- ჯერჯერობით, არაფერი. დემეტრაძის ადვოკატებს დღემდე, საქმის გაცნობის საშუალებასაც კი არ აძლევენ. სიტუაცია გაურკვეველია. კიდევ რამდენიმე დღეს მოვიცდი და ახალ განცხადებას გავაკეთებ.

**- რის შესახებ?**

- ჯერჯერობით, ამაზე ლაპარაკი არ მსურს. სანამ დემეტრაძეს არ გაათავისუფლებენ, არ გავჩერდებით, სტრასბურგშიც კი ჩავალთ. რომ ვიცოდე, ადამიანს რამე აქვს დაშავებული, მის დასაცავად ხმასაც არ ამოვიღებდი, იმიტომ რომ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. მაგრამ, როცა იცი, რომ იგი უდანაშაულოდ იმყოფება პატიმრობაში, ეს უკვე აბსურდულად ჟღერს. საქართველოში სიმართლის თქმის ბევრს ეშინია, მაგრამ პირადად მე სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის ვიტყვი, რა ხდება ჩემს ქვეყანაში. და ამას მარტო საქართველოში, უკრაინაში ან რუსეთში კი არა, მთელ მსოფლიოში გაიგებენ. ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ! რაც ხდება, ეს აბსოლუტური განუკითხაობა და უსამართლობაა. ზოგი ამბობს, რომ საქართველო ვითარდება, რომ იქ დემოკრატიაა. ესეც თქვენი დემოკრატია. აბსურდია, ქურდებთან ახლობლობა დასწამო ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება ფეხბურთს შეალია. სხვა რომ არაფერი, ამ ბინძური საქმეებისთვის მას დროც კი არ დარჩებოდა. დემეტრაძეს საერთოდ არაფერი დაუშავებია. იგი დაიჭირეს სატელეფონო ჩანაწერის საფუძველზე, სადაც გიორგი ვილაცას ეუბნება, რომ მისთვის თანხა აქვთ მოსატანი. ეს იყო და ეს. მასთან ერთად ორი ადამიანი იყო, ერთს იარალი "ჩაუდეს", მეორე კი მაშინვე გაუშვეს.

**- იარალის ჩადება რა მიზნით მოხდა?**

- ეს ჩვენთან პირველი შემთხვევა არაა. ნებისმიერი ადამიანისგან შეუძლიათ შექმნან ბენ ლადენი, ვისაც მთავრობის პოლიტიკა არ მოსწონს. თუმცა დემეტრაძეს პოლიტიკასთან არავითარი შეხება არა აქვს.

**- დაჭერის შემდეგ გიორგისთან ხომ არ გისაუბრიათ?**

- არა, მაგრამ ვიცი, რომ იგი საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულია. კავშირი მამამისთან მაქვს – რაღა თქმა უნდა, მომხდარს ძალიან განიცდის.

**- თავის დროზე ამბობდნენ, რომ მომავალში კალაძეს საქართველოს პრეზიდენტობა უნდოდა. გიორგი თქვენი უახლოესი მეგობარია. მისი საშუალებით თქვენთვის ხომ არ უნდათ დარტყმის მოყენება?**

- არა მგონია. რაც შეეხება პოლიტიკას, ჯერჯერობით, ფეხბურთს ვთამაშობ. როცა საფეხბურთო კარიერას დავასრულებ, მაშინ ვიტყვი, რის გაკეთებას დავაპირებ მომავალში. ჩემს ქვეყანასა და ხალხზე გული ძალიან შემტკივა. მინდა, რომ საქართველო აყვავდეს, ხალხი მშვიდობიანად და ბედნიერად ცხოვრობდეს. საომარი არავისთან გვაქვს, უნდა ვესაუბროთ ჩვენს ძმებს აფხაზებსა და ოსებს. ჩვენ პატარა და სტუმართმოყვარე ქვეყანა გვაქვს. გვინდა კარგი ურთიერთობა რუსეთთანაც, უკრაინასთანაც და ამერიკასთანაც.

**- გადავიდეთ უფრო სასიამოვნო თემაზე. რამდენიმე დღის წინ თქვენს ვაჟს ლევანს წელიწადი შეუსრულდა. როგორ აღნიშნეთ დაბადების დღე?**

- მთელი ოჯახი თბილისში ვიყავით. საერთოდ, ჩვენთან ამბობენ, რომ ერთი წლის აღნიშვნა არ ვარგა, ამიტომაც განსაკუთრებული ზეიმი არ მოგვიწყვია. ცოტაც და ლევანი სიარულს დაიწყებს.

**- ბურთით უკვე ეთამაშებით?**

- რა თქმა უნდა! მინდა, რომ ფეხბურთელი გამოვიდეს, მაგრამ მთავარია, ვაჟკაცი და პატრიოტი გაიზარდოს.

**- უკვე გაირკვა, სად ითამაშებთ მომავალ სეზონში?**

- "მილანში" ბევრი რამ შეიცვალა – რამდენიმე ფეხბურთელმა კარიერა დაასრულა, ზოგმაც გუნდი გამოიცვალა. მოვიდა ახალი მწვრთნელი ალეგრი. ჩემს კარიერას რაც შეეხება, ძალიან ვამაყობ იმით, რაც "მილანში" გატარებული ათი წელიწადის განმავლობაში მოვიგე. კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და მის გახანგრძლივებას მთავაზობენ. უკვე ვიწყებთ ახალი სეზონისთვის მზადებას, ჩავალ მილანში და კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები. გასული სეზონი ჩემთვის უცნაური და უიღბლო გამოდგა, "მილანის" შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ 10 მატჩი ჩავატარე, მაშინ, როცა მანამდე ცხრა წლის განმავლობაში დაახლოებით 300 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. ლეონარდო გაათავისუფლეს და ვიმედოვნებ, ახალ მწვრთნელს დავუმტკიცებ, რომ "მილანის" დონეს შევესაბამები.

**- ამ ზაფხულს წასვლას საერთოდ გამორიცხავთ?**

- დიახ. ამის შესახებ ძალიან ბევრი დაიწერა, ამბობდნენ, თითქოს კიევის "დინამოსთან" ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს, მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ ამ კლუბთან ბევრი რამ მაკავშირებს, მსგავსი არაფერი ყოფილა.



**- შევჩენკოს უნდა, ევრო-2012-ზე უკრაინის ნაკრებს კაპიტნის სამკლავურით გაუძღვეს. შეძლებს კი იგი იმ დროისთვის სათანადო ფორმის შენარჩუნებას?**

- დარწმუნებული ვარ, თავისუფლად შეძლებს.

**- კრიზისის შემდეგ თქვენი ბიზნესის საქმე როგორაა? თქვენ ხომ სასტუმროებსა და ბანკს ფლობთ...**

- ყველაფერი მუშაობს, ერთადერთი, რაც დროებით შევაჩერეთ, სამშენებლო ბიზნესია საქართველოში. გვინდოდა, თბილისში პატარა ქალაქი გაგვეშენებინა 80 ჰექტარზე, მაგრამ კრიზისმა და ომმა ეს პროექტი შეაფერხა. არავის სჯერა, რომ საქართველოში მშვიდობა შენარჩუნდება და ახალი ომი არ გაჩაღდება. ჯერჯერობით ძნელია ინვესტორის რაიმეში დარწმუნება – ყველას ეშინია ორი წლის წინანდელის განმეორება. საბანკო საქმე კი ნორმალურად მიდის. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ იტალიურ ბანკებთან, რომელთაც ქართულ ბაზარზე შემოსვლა სურთ.

**- ბანკს კარგი შემოსავალი მოაქვს?**

- მართალია, ჯერ არცთუ დიდი, მაგრამ მაინც მოაქვს. ჩვენ ჯერ მხოლოდ ერთი ფილიალი გვაქვს.

**- როგორც ფეხბურთელი უფრო მეტ ფულს შოულობთ თუ როგორც ბიზნესმენი?**

- ჩემი მთავარი პროფესია ფეხბურთია. გამიმართლა, რომ ჩემს გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც ჩემს ბიზნესს უძღვებიან, თორემ ერთდროულად ფეხბურთის თამაში და სხვა საქმეებზე ფიქრი წარმოუდგენელია.

**- მსოფლიოს ჩემპიონატს როგორ გაიხსენებდით?**

- რა თქმა უნდა, იქ იტალიას ვგულშემატკივრობდი, ამ ნაკრებში ხომ ჩემი არაერთი მეგობარი თამაშობს. მესმის, რომ თაობათა ცვლა მძიმე პროცესია და პირლოს ტრავმამ იტალიის ნაკრებს დაღი დაასვა, მაგრამ მაინც საკვირველია, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჯგუფიდან როგორ ვერ გავიდა. ცოტა უცნაური ჩემპიონატი იყო, მაგრამ ესპანეთმა კანონზომიერად გაიმარჯვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | **აკინო, ფრაგა (ორივე - ბრაზილია), გველესიანი (კოლხეთი), ა. გილაური (?), პ. დათუნაიშვილი (?), ჭანტურია (?), მერლანი (?), გ. კვარაცხელია (ბელარუსი), მაჭავარიანი (ტორპედო), ელოხი (?), ხუბუა (პოლონეთი), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), ს. იაშვილი (ყაზახეთი), რ. ჯიქია (?)** | **გენაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), ბოლქვაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ბათიაშვილი (სპარტაკი), ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ვიტ ჯორჯია), დოლიძე (დინამო), გ. ნუგ. ჭელიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე (სიონი), მოდებაძე (მეტალურგი ზ, უკრაინა), ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია),** ზამირ ჯანაშია (?) | 4 ივნისიდან - რუსთავში დინამო 0:3, ვიტ ჯორჯია 0:2<br>25 ივნისიდან - ურეკში სამტრედია 4:1, კოლხ. (ფ) 0:0 გაგრა 5:0, ტორპედო 0:0<br>ჩემპიონთა ლიგა<br>აქტობე 0:2 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | **გ. კაშია (?), შ. კაშია (ისრაელი), აკირემი (?), კრსტესკი (?), ჩიკვილაძე (ტორპედო), მომჩილოვიჩი (ფიზმომზადების მწვრთნელი), ნემსაძე (?),** ქანთარია (სპარტაკი) | **ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი) მეტრეველი (გაგრა), მანჩხავა (უკლუბოდ),** გავაშელიშვილი (35-ე სკოლა), ვარდოსანიძე (?) | 7 ივნისიდან - თბილისში ოლიმპი 3:0<br>სპარტაკი 2:0<br>35-ე სკოლა 5:0<br>ევროპის ლიგა<br>ფლორა 2:1, 0:0<br>გეფლე 2:1 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | **კორღალიძე, გამეზარდაშვილი (ორივე დაჩია, მოლდოვა), კაჭკაჭიშვილი (?), მჭედლიშვილი (?)** | **ბაბუნაშვილი (სექცია, ისრაელი), ფიფია (ბაია), კ. ალადაშვილი (ანჟი, რუსეთი)** | 1-9 ივნისი - თბილისი<br>10 ივნისიდან - ავსტრიაში<br>პლზენი (ჩეხეთი) 1:2<br>ზენიტი (რუსეთი) 0:0<br>ზალცბურგი (ავსტრია) 3:2<br>დინამო (მოსკოვი) 3:1<br>ევროპის ლიგა<br>ფაეტანო 5:0, 0:0<br>დუკლა 3:0 |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | **გომელაური (მთ. მწვრთნელი) ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ოლიმპი), გ. დათუნაიშვილი (ტორპედო),** ბერიაშვილი (ოლიმპი) | **ძაძამია (გურია), ი. ჭანკვეტაძე (ტორპედო 2008)** | 10 ივნისიდან - თბილისში ოლიმპი 2:0, სპარტაკი 1:0<br>23 ივნისიდან - უკრაინაში ტავრია 1:2, ნაფტოვიკი 0:3, შელიონსი 1:0, კრიმტეპლ. 1:3<br>ევროპის ლიგა<br>ბანიკი 0:6 |
| სპარტაკი<br>გოჩა ჩიქოვანი | **უხურგუნაშვილი (ბანანცი, სომხეთი), ბათიაშვილი (ოლიმპი), ფოფხაძე (ტორპედო), დემეტრაძე (?), ბურდული (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), მედ ნალო (?), ზონი (?), ნონოსი (?), ბაქრაძე (?), ჩირიკაშვილი (?), ჩივაძე (სიონი), გ. კვახაძე (?), თარხნიშვილი (ტორპედო?), მგალობლიშვილი (?),** კანდელაკი (ბაია) | ჩალაძე (სამტრედია), ბილიხოძე, თავბერიძე (ორივე IBSU), ქანთარია (დინამო), სარალიძე (ლოკომოტივი), გრიშიკაშვილი (მიკა, სომხეთი), აქუბარდია (ბაია) | 7 ივნისიდან - თბილისში ვიტ ჯორჯია 0:1<br>დინამო 0:2 |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | **ქემოკლიძე (ოლიმპი), ლ. მელქაძე (?), გ. მაისურაძე (?), ი. შენგელია (?), ლ. მერებაშვილი (?), გ. დეკანოსიძე (?), ჯ. უგულავა (?), გოგობერიშვილი (ბაია)** | ჩივაძე (სპარტაკი), ორბელაძე (სტანდარტი, აზერბაიჯანი), რ. გოცირიძე (ისრაელი), ბობოხიძე (უგუნდოდ) | 20 ივნისიდან - თბილისში |
| სამტრედია<br>გელა სანაია | **ჩალაძე (სპარტაკი), ზ. ხაჭიპერაძე (ტორპედო),** სამსეიშვილი (ბათუმი), ბარამიძე (?), შ. ფირცხალავა (?) | **გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი), ბაკარანძე (ბაია), ჩხიკვაძე (მარტვილი), სოსელია, ხუმარაშვილი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე გაგრა, იჯარით), კვერენჩხილაძე (გურია), პავლიაშვილი, ხარაბაძე (ორივე გაგრა),** ფურთუხია (?), ძაგანია (მერცხალი), გ. მახარაძე (ლიკომოტივი), ჭკადუა (?) | 10 ივნისიდან<br>ტორპედო 0:1, ოლიმპი 1:4<br>გაგრა 0:1, ბაია 0:0, ბათუმი 2:1 |
| ბაია<br>ელგუჯა კომეთიანი | **ს. თოდუა (ტორპედო), ფიფია (ზესტაფონი),** ჩისამბა ლუნგუ (ურალი, რუსეთი), აქუბარდია (სპარტაკი), სამადაშვილი (?), გ. ქირია (?), სახოკია (?), ყველაშვილი (?) | **ოთარ გაბელია (კონსულტანტი),** რიგვავა (კვიპროსი), ახალკაცი (სიმურგი, აზერბაიჯანი), კ. ჩხეტიანი (სიმურგი, აზერბაიჯანი), გ. ნოდ. ჭელიძე (?), გოგობერიშვილი (სიონი), ჭიჭველიშვილი (სტანდარდი, აზერბაიჯანი), მეგრელაძე (მურთანი, უზბეკეთი), ი. კანდელაკი (სპარტაკი), მალიჩავა (?) | 15 ივნისიდან<br>1-8 ივლისი ბაკურიანი<br>კოლხეთი (ხ) 6:0,<br>სამტრედია 0:0 |
| ტორპედო<br>რამაზ მუმლაძე | **ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია),** ბ. ხაჭიპერაძე (?), ხარებავა (?), ცაგარეიშვილი (?), ჩიხლაძე (?) | **რამაზ მუმლაძე (ავაზა/ვისოლი,მთავარი მწვრთნელი), ჩიკვილაძე (დინამო), გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ფოფხაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (ოლიმპი), ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია),** ქვილითაია (ლიკომოტივი), თარხნიშვილი (სპარტაკი), ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი), ს. თოდუა (ბაია), საბანაძე (ავაზა/ვისოლი), ბ. გიგაური | 11 ივნისიდან - ქუთაისში სამტრედია 1:0, მარტვილი 3:0, ოლიმპი 0:0, კოლხეთი 2:1, გაგრა 3:0, ჩიხურა 2:0 |
| კოლხეთი (ფ)<br>ბესიკ შეროზია | გ. თოდუა (?), დ. ქირია (?) | **სტურუა (გაგრა),** გველესიანი (ოლიმპი), ზ. ექონია (ბაია), სილაგავა (?), მახვილაძე (?), ინწკირველი (აზერბაიჯანი) | 10 ივნისიდან<br>ოლიმპი 0:0, ტორპედო 1:2<br>გაგრა 0:4, გურია 0:0 |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზაფხულო ლა ლიგა

## დედამიწის გარშემო: ჩილე, ამერიკა, ჩინეთი, კორეა და მთელი ევროპა

2010-11 წლების ლა ლიგა ანუ Liga BBVA, როგორც მას ოფიციალურად ეწოდება (სპონსორის სახელის გამო), ისტორიაში მე-80 გათამაშება იქნება. 28 აგვისტოს 20-გუნდიანი ქარავანი, რომელსაც სათავეში მოქმედი ჩემპიონი „ბარსელონა" უდგას, შეუყვება მომქანცველ, მაგრამ ძალზე საინტერესო 38-ტურიან გზას და ჩემპიონს 2011 წლის 22 მაისს (თუ მანამდე არა) გამოავლენს. ლა ლიგამ სამი კლუბი მოისაკლისა: „ვალიადოლიდი", „ტენერიფე" და „ხერესი". მათ ნაცვლად სეგუნდა დივიზიონიდან დაწინაურდნენ: „რეალ სოსიედადი", „ლევანტე" და „ერკულესი". ახალ ლა ლიგას ახალი ბურთი მოემსახურება „ნაიკ T90 ტრეისერი".

მუნდიალი დასრულდა, „ფურია როხა" შინ ჩემპიონი დაბრუნდა, დღეები გაგრძელდა ფიესტა ესპანეთის ქუჩებში, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ნელ-ნელა მსოფლიოს ჩემპიონატის თემაც მინავლდა, წინ ლა ლიგაა! მით უფრო, რომ კლუბებმა უკვე დაიწყეს სამზადისი, ხუთი დღეა, რაც „რეალი" შეიკრიბა, გუშინ კი „ბარსელონაც" გამოცხადდა ჟოან გამპერის ბაზაზე. მოკლედ, დროა გავაცნოთ ლა ლიგის ოცეულის გეგმები...

### ბარსელონა

20-გზის ჩემპიონი ტიტულის დაცვას ახლა უკვე **ჟოზე მოურინიოს** „რეალისგან" აპირებს. კატალონიელებს ყველაზე ხანმოკლე წინასასეზონო შეკრება ექნებათ, რადგან გუნდს 14 და 21 აგვისტოს ესპანეთის სუპერთასის ორმატჩიანი ფინალი ელის. 29 ივლისს „ბარსელონა" ოსლოში პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს „ვოლერანგას" წინააღმდეგ. პირველი მატჩის გამართვისთანავე „ბლაუგრანა" თვითმფრინავით აზიისკენ აიღებს კურსს, სადაც მინი-ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. თითოეული მატჩი ამ ტურნირზე კატალონიელებს 2 მილიონ ევროს მოუტანს. 4 აგვისტოს **პეპ გვარდიოლას** გუნდი შეხვდება კორეის კეი ლიგის ფეხბურთელების „ყველა ვარსკვლავის" ნაკრებს. ოთხი დღის შემდეგ კი „ბარსელონა" ჩინეთის დედაქალაქს ეწვევა, სადაც ოლიმპიურ სტადიონზე „გუონს" დაუპირისპირდება. სხვათა შორის, ეს შეხვედრა პეკინის ოლიმპიური თამაშების 2 წლისთავს ეძღვნება. ამის შემდეგ „ბარსა" სამშობლოში ბრუნდება სუპერთასისთვის საბრძოლველად.

ლა ლიგის წინ კი კატალონიური გრანდი აწყობს ტრადიციულ ტურნირს, რომელიც ჟოან გამპერის სახელობისაა. ტურნირის სპეციალური სტუმარია „მილანი", ასე რომ, კატალონიაში **რონალდინიო** ბრუნდება, რომელიც 2008 წელს დაემშვიდობა „ბარსელონას", თუ... მანამდე „მილანმა" ბრაზილიელი არ გაასხვისა.

### რეალი

მადრიდის „რეალი" შეკრებას ახალი თავკაცის, ჟოზე მოურინიოს მეთვალყურეობით, 16 ივლისიდან შეუდგა. დედაქალაქელები ლოს ანჯელესში გაფრინდებიან, საიდანაც ამერიკულ ტურნეს დაიწყებენ, თუმცა ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა თარიღები და მეტოქეები.

### ვალენსია

ვალენსიამ საზაფხულო „რეზიდენციად" სლოვენია შეარჩია. „ღამურებს" ივლისის ბოლო კვირაში ორი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. „ვალენსია" 22 ივლისს ჩაფრინდება მარიბორში. პირველ თამაშს გუნდი 25 ივლისს გამართავს დაბა მურსკა სობოტაში საუდის არაბეთის კლუბ „ალ ჰილალის" წინააღმდეგ. 31 ივლისს უნაი ემერის გუნდი სელიეში ადგილობრივ „პუბლიკუმს" ეთამაშება. შემდეგ „ვალენსია" გერმანიას ეწვევა, სადაც „ჰანოვერს" გაეჯიბრება, მეორე დღეს კი უკვე „მარსელს" ეწვევა „ველოდრომზე". მოკლედ, „ღამურები" შუა ევროპაში იმოგზაურებენ.

6 აგვისტოს „ვალენსია" ინგლისში ბირმინგემს ესტუმრება და „ასტონ ვილას" ეთამაშება, შემდეგ კი ყოფილი ვალენსიელი **დავიდ სილვას** „მანჩესტერ სიტის" გაეჯიბრება. 12 აგვისტოს „ვალენსიას" უკვე მაფიის სამშობლოში ვიხილავთ, სადაც ესპანური გუნდი „პალერმოს" გაეჯიბრება. მოგზაურობით დაღლილ „ღამურებს" პრეზენტაცია „მესტალიაზე" 18 აგვისტოს ექნებათ.

**სევილია**

„სევილია" 12-დან 23 ივლისამდე ლა როტაზეა დაბანაკებული. იქ ანდალუსიურმა გუნდმა ორი მატჩი უკვე გამართა, 23 ივლისს კი „სან ფერნანდოს" გაეჯიბრება. შემდეგ „სევილია" ანდალუსიის სანაპიროს დატოვებს და კარანსას ტროფეიში მიიღებს მონაწილეობას, „სევილია" „კადისს" და მადრიდის „ატლეტიკოს" შეხვდება.

„სევილიასთვის" სეზონი ადრე იწყება ესპანეთის სუპერთასის ორი მატჩით 14 და 21 აგვისტოს „ბარსელონას" წინააღმდეგ. 18 და 25 აგვისტოს კი კლუბი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება, მეტოქე კი ჯერჯერობით უცნობია.



ჟოზე და რეალი საქმეს სერიოზულად შეუდგნენ

### მალიორკა

ბალეარული კლუბი ბეწვზე გადაურჩა გაკოტრებას. გუნდმა შეკრებისთვის ჰოლანდია ირჩია, სადაც ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. სხვათა შორის, **მიქაელ ლაუდრუპის** გუნდი კარგა ხანია ემზადება სეზონისთვის, „მალიორკამ" შვედეთი მოილია, სადაც ერთნაირი ანგარიშით, 2:1 დაამარცხა „დიურგარდენი" და „ნორჩოპინგი". ჰოლანდიაში პირველი მატჩი „მალიორკას" „ცვოლეს" წინააღმდეგ აქვს 22 ივლისს. 25-ში ბალეარელები „ფეიენოორდს" ეთამაშებიან", 27-ში - „ვიტესს", 30-ში - „ჰერენვენს" და 1 აგვისტოს - „უტრეხტს". 7 აგვისტოს კუნძულელები „ბირმინგემ სიტის" ეთამაშებიან.

### ხეტაფე

„ხეტაფეს" ევრონათლობა ელის - კლუბი პირველ ამხანაგურ მატჩს ბელგიაში 24 ივლისს გამართავს „ბეერსხოტის" წინააღმდეგ. სამ დღეში მიჩელის გუნდს ერედივიზიეს ჩემპიონი „ტვენტე" გამოცდის. 28 ივლისს მადრიდის გარეუბნის ბიჭები ჰოლანდია-გერმანიის საზღვარს გადაკვეთენ და „ოსნაბრუკს" შეხვდებიან, ესპანური გუნდი ისევ ჰოლანდიაში მიბრუნდება და 30 ივლისს „როდას" გაეჯიბრება. ესპანეთში დაბრუნებამდე „ლოს ასულონესი" კიდევ ერთ გასვლას მოაწყობს გერმანიაში, სადაც „ბოხუმთან" ისპარინგებს. სამშობლოში დაგეგმილია ორი ამხანაგური მატჩი, 12 აგვისტოს „ხეტაფე" პრიმერაში დაბრუნებულ „ლევანტეს" ეწვევა, შემდეგ კი - „ვალიადოლიდს".

### ვილიარეალი

„ყვითელი წყალქვეშა ნავი" დუბლინში 22 ივლისს „გაცურავს" და ორ დღეში „ატლონ თაუნთან" „წაივარჯიშებს". ესპანეთში „ვილიარეალი" ლონდონის გავლით დაბრუნდება, სადაც 29 ივლისს „ტოტენჰემს" შეხვდება. სამშობლოში გუნდი ერთ დღეზე მეტს არ გაჩერდება, „ვილიარეალი" ამჯერად პოლონეთში მიფრინავს და 31 ივლისს გდანსკში „ლეხს" შეხვდება. მოქმედების შემდგომი გეგმა ჯერ უცნობია.

### ბილბაო

„ატლეტიკი" 12 ივლისიდან უელვაში, კერძოდ კი ქალაქ კანელიაშია დაბანაკებული. სამხრეთ ესპანეთში გუნდი 23 ივლისამდე რჩება. 21-ში ბასკებს პორტუგალიურ „ბრაგასთან" აქვს სპარინგი დადეგმილი. 8 აგვისტოს, შესაძლოა, „ატლეტიკი" იტალიაში „იუვენტუსს" გაეჯიბროს.

### ატლეტიკო

„ატლეტიკო" ანდალუსიურ ლოს ანხელეს დე სან რაფაელშია დაბანაკებული. 17 ივლისს მათ პირველი მატჩი 8:2 მოუგეს „ალკალას". ამ თამაშში „არსენალიდან" შემატებულმა **ფრან მერიდამ** გაიბრწყინა. 24 ივლისს უეფას ლიგის პირველი გამარჯვებული „მანუელ რუის დე ლოპერაზე" „ბეტისს" ეთამაშება. 1 აგვისტოს „ატლეტიკო" ტაილანდში იქნება და ბანგკოკში ამხანაგურ მატჩს გამართავს. შემდეგ დედაქალაქის გუნდი სამშობლოში კარანსას ტურნირში მიიღებს მონაწილეობას (6-8 აგვისტო). შემდეგ კიდევ ერთი ტურნირია სიუდად დე პალმაში (17-19 აგვისტო). „ატლეტიკოს" 27 აგვისტოს ევროპის სუპერთასი ელის „ინტერის" წინააღმდეგ.

### დეპორტივო

გუშინ „დეპორი" შვეიცარიაში გაემგზავრა. გალისიელები იქ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, „იანგ ბოიზის" და „ტვენტეს" (ან „შტუტგარტის") წინააღმდეგ. 24 ივლისს გუნდი შვეიცარიას დატოვებს და გერმანიაში გაემგზავრება - 25-ში ბერლინის „უნიონს" შეხვდება. ამის შემდეგ „დეპორტივოს" ბრიტანული ტურნე ელის: 31 ივლისს „კარდიფის" წინააღმდეგ, 3 აგვისტოს „ნიუკასლთან", 7-ში - „ვესტ ჰემთან". ამის შემდეგი გეგმა ჯერ ოფიციალურად არ არის ცნობილი.

### ესპანიოლი

„ესპანიოლი" შვებულებიდან 12 ივლისს გამოვიდა. კატალონიელები ხირონაში გაემგზავრნენ, სადაც „პალამოსს" (24 ივლის) და „პერალადას" (28 ივლისი) ეთამაშებიან. ბარსელონაში დაბრუნებულები ქალაქის თასზე „სამპდორიას" შეხვდებიან (31 ივლისი).

აგვისტოში კატალონიელები გერმანიაში რამდენიმე სპარინგს გამართავენ, რომელთაგანაც დადასტურებული ჯერ მხოლოდ ერთია - 8 აგვისტოს „ჰამბურგის" წინააღმდეგ.

### ოსასუნა

21 ივლისამდე ნავარელები მშობლიურ პამპლონას არ გასცილდებიან. შემდეგ კი ანდალუსიაში, ხერესში პირველ შეკრებას მოაწყობენ. 31 ივლისს მათი მეტოქე „ლას პალმასი" იქნება. ამის შემდეგ „ოსასუნა" ინგლისში მიემგზავრება და ამხანაგურ მატჩებს გამართავს: „ბოლტონთან" (6 აგვისტო), „ვესტ ბრომვიჩთან (7 აგვისტო). სამშობლოში დაბრუნებული გუნდი, დაბა ტუდელაში „ნუმანსიას" შეხვდება (11 აგვისტო), 15 აგვისტოს კი მადრიდს ესტუმრება და სპარინგს „რაიო ვალეკანოსთან" გამართავს. 18 აგვისტოს „ოსასუნა" „ვალიადოლიდს" ეთამაშება. გუნდს ბოლო ამხანაგური მატჩი სეზონამდე მშობლიურ „რეინო დე ნავარაზე" ექნება ბასკური „რეალ სოსიედადის" წინააღმდეგ.

### ალმერია

12-დან 23 ივლისამდე „ალმერია" საკუთარ სტადიონ „მედიტერანეოსზე" აწყობს შეკრებას - კლუბს ხელს კლიმატური პირობები უწყობს და შორს წასვლა მხოლოდ ამხანაგური მატჩების გასამართავად თუ ესაჭიროება. შემდეგ „ალმერია" მეზობლად მურსიაში გადაინაცვლებს და იქ 3 აგვისტომდე დარჩება. მურსიაში მესამე დივიზიონების გუნდებთან „ალმერია" სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. აგვისტოში ანდალუსიელები „ალბასეტეს" (7) და „ტენერიფეს" (10 ან 11) ხვდებიან. 14 აგვისტოს „როხიბლანკოსი" საკუთარ სტადიონზე „გრანადას" მიიღებენ. შემდეგ „ალმერია" „ბეტისს" (18) და იმავე „გრანადას" (21) ესტუმრება.

### სარაგოსა

კლუბმა მზადება 14 ივლისს სორიის დაბა ნავალენოში დაიწყო. 21-ში „სარაგოსა" „ატლეტიკო კალატაიუდს" შეხვდება. 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე „სარაგოსა" შორეულ ჩილეს ეწვევა, ესპანეთში დაბრუნებული „სარაგოსა" „უიგანთან" (4 აგვისტო), „ტენერიფესთან" (8) და „ნუმანსიასთან" (14) ისპარინგებს.

### სპორტინგი

14 ივლისს ხიხონელთა შეკრება ესკუელა დე მარეოში დაიწყო. 21 ივლისს „სპორტინგის" მეტოქე „ხიმნასტიკაა". „სპორტინგის" გრაფიკი ასეთია: „ბარაკალდო" (28 ივლისი), „მარინო" (31 ივლისი), „ლოგრონიესი" (4 აგვისტო), „პონფერანდინა" (7), „ესპანიოლი" (11), „რეალ სოსიედადი" (14), „რასინგი" (16). 18 აგვისტოს ხიხონელები კოლომბინოს ტურნირში ჩაებმებიან, მათი მეტოქე „ატლეტიკოა". მეორე დღეს ტურნირის კიდევ ერთი მატჩია დაგეგმილი.

### რასინგი

კლუბი 12 ივლისიდან ემზადება. 21 ივლისიდან 1 აგვისტომდე სანტანდერელებს შეკრება გერმანულ შნევერდინგენში აქვთ. გემანიაში მათი მეტოქეები იქნებიან: „პადერბორნი" (24 ივლისი), „აინტრახტი" (27), „ზანკტ პაული" (30), „კილი" (31). აგვისტოში „რასინგი" გაეჯიბრება: „პარმას" (5 აგვისტო), „ლაციოს" (10), „სპორტინგს" (16) და „სალამანკას" (21).

### მალაგა

„მალაგა" 12 ივლისიდან ბენაჰავისშია დაბანაკებული. პირველი შეკრება 24 ივლისს დასრულდება. ამის შემდეგ გუნდი სამ თამაშს გამართავს, ყველაზე სერიოზული მეტოქე კი „ბეტისი" ეყოლება (31 ივლისი). 5-დან 13 აგვისტომდე „მალაგა" გერმანულ ფრანკფურტშია. მისი მეტოქეები არიან: „მაინცი" (8 აგვისტო), ჯერ უცნობი გუნდი (10) და „ვეენი" (12). 18 აგვისტოს მალაგელებს რეგიონული დერბი ექნებათ „გრანადასთან", ბოლო მეტოქის ვინაობა (21 ან 22 აგვისტოს) კი ჯერ უცნობია.

### რეალ სოსიედადი

სეგუნდა დივიზიონის ჩემპიონი გუშინ გამოვიდა შვებულებიდან. 30 ივლისს ბასკებს პირველი სპარინგი აქვთ, „ელგოიბართან". 2-9 აგვისტოს დაგეგმილია საზღვარგარეთული შეკრება. შინ დაბრუნებული სანსებასტიანელები 11 აგვისტოს „ეიბარს" ეთამაშებიან, 14-ში - „სპორტინგს", 18-ში - „უნიონს", 22-ში - „ოსასუნას".

### ერკულესი

ალიკანტეელებმა ოფიციალურად 19 ივლისს გახსნეს ბანაკი. გუნდი გოლფის სამეფო კლუბის ბაზაზეა დაბანაკებული. „ერკულესს" ჯერ არ დაუდგენია ამხანაგურების ზუსტი თარიღები გარდა ერთისა - 21 აგვისტოს „ერკულესი" „რეალს" ეთამაშება.

### ლევანტე

16 ივლისიდან ვალენსიური კლუბი შეკრებილია, 21-ში „ლევანტე" ბენასკეში მიდის, სადაც 30 ივლისამდე რჩება. „ლევანტე" რამდენიმე უცნობ გუნდსაც შეხვდება. 12 აგვისტოს **შოთა არველაძის** ყოფილი გუნდი „ხეტაფეს" გაეჯიბრება. 15-ში კი ის ბენიდორმის ტურნირში ჩაებმება „ბენიდორმისა" და „ბეტისის" წინააღმდეგ. „ლევანტე" მზადებას 21 აგვისტოს „ალკოიანოს" წინააღმდეგ დაასრულებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# მეტცელდერი: ნაკრებში დავბრუნდები!

## შალკესთან ერთად კი კრისტოფს გერმანიის ჩემპიონობა უნდა



კრისტოფ მეტცელდერი გელზენკირხენში ყველაფერს თავიდან იწყებს

როგორც იცით, „რეალში“ გატარებული უილბლო პერიოდის შემდეგ, რის გამოც გერმანიის ნაკრებში ადგილი დაკარგა, **კრისტოფ მეტცელდერი** ბუნდესლიგაში დაბრუნდა და მომავალ სეზონში გელზენკირხენის „შალკეში“ ითამაშებს. მეტცე უდიდესი მონდომებით ემზადება და აცხადებს, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გერმანიის ნაკრებში დავბრუნდეო.

*„გერმანიის ნაკრების მწვრთნელებმა ჩემი შესაძლებლობები ძალიან კარგად იციან. სამ უდიდეს ტურნირზე ვიასპარეზე და ვფიქრობ, დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. მთავარი ის არის, რომ მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდეს, რაც „რეალში“ მაკლდა და კარგ ფიზიკურ ფორმაში ვიყო. თუ ასე იქნება, დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ნაკრებში ძალიან მალე დავბრუნდები და ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებ,“* - განაცხადა მეტცელდერმა „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მეტცე დღეს უკვე 29 წლისაა და შეგახსენებთ, რომ მადრიდის „რეალში“ 2007 წელს, დორტმუნდის „ბორუსიადან“ გადავიდა. მაგრამ ერთ დროს საუკეთესო გერმანელმა მცველმა „სამეფო გუნდში“ თავი ვერ დაიმკვიდრა. მას მადრიდში მუდმივად სათადარიგოთა სკამს ახეხინებდნენ, რის გამოც ადგილი გერმანიის ნაკრებშიც დაკარგა. მეტცელდერმა „რეალში“ სამი უილბლო წელიწადი გაატარა. კრისტოფს ბუნდესგუნდში 47 მატჩი აქვს ჩატარებული და გერმანიის ეროვნული გუნდის ფორმა უკანასკნელად 2008 წლის 29 ივნისს მოირგო - ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც გერმანიამ ესპანეთთან 0:1 წააგო.

ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში ორი წელია, აღარ უთამაშია, მეტცელდერი იმედოვნებს, რომ ბუნდესგუნდში დააბრუნებენ. *„სანაკრებო კარიერის დასრულებაზე არც კი მიფიქრია. რატომ არ უნდა მქონდეს ბუნდესგუნდში დაბრუნების პრეტენზია?“* - ამბობს მეტცელდერი.

რაც შეეხება საკლუბო გეგმებს: მეტცელდერს „შალკესთან“ ერთად უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა სურს. *„მინდა, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში „შალკესთან“ ერთად, გერმანიის ჩემპიონი გავხდე. გარდა ამისა, ჩემი მიზანი მუდმივად ჩემპიონთა ლიგაში თამაშია,“* - უთხრა მეტცემ „კიკერს“.

**გოტფრიდ ლენცი**

ფულჰემი

ახალი მწვრთნელი

# იოლი გადაწყვეტილება

**მარტინ იოლს** „ფულჰემის“ ახალ მწვრთნელად დაასახელებენ. ჰოლანდიელი სპეციალისტი სიამოვნებით ბრუნდება პრემიერლიგაში. მან „აიაქსში“ ერთი წელიწადი გაატარა და როგორც კი ინგლისში დაბრუნების შანსი მიეცა, ჩაებღაუჭა. კლუბებმა საკომპენსაციო თანხაზეც მოილაპარაკეს და იოლის ჯამაგირიც გაირკვა - წელიწადში 2 მილიონი ფუნტი. სწორედ ამ თანხას გადაუხდის მას „ფულჰემის“ მეპატრონე, ცნობილი არაბი ბიზნესმენი **მოჰამედ ალ ფაიედი**. გასამრჯელოს გარდა იოლს, რომელიც თავის დროზე სამი წლის განმავლობაში წარმატებით წვრთნიდა „ტოტენჰემს“, სატრანსფერო თანხასაც დაჰპირდნენ.

რასაკვირველია, მწვრთნელის გაქცევამ „აიაქსი“ დაზაფრა - იოლმა ხომ ამსტერდამელები გასულ სეზონში ჰოლანდიის პირველობაზე მეორე ადგილზე გაიყვანა. შეგახსენებთ, რომ პირველზე **სტივ მაკლარენის** „ტვენტე“ იყო. მაგრამ მეორე ადგილზე გასვლის მიუხედავად, როგორც ირკვევა, იოლი „ამსტერდამ არენაზე“ თავს მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძნობდა. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ შეჭირვებული კლუბი საუკეთესო იოლის საბრძოლო შემადგენლობიდან ფეხბურთელების გაყიდვას აპირებდა. კერძოდ, ლაპარაკი იყო, „აიაქსიდან“ ურუგვაელი **ლუის სუარესისა** და ჰოლანდიელი **გრეგორი ვან დერ ვილის** წასვლაზე. ეტყობა, „ფულჰემის“ მწვრთნელობას რომ თანხმდებოდა იოლმა შემადგენლობის გაძლიერების საკითხებზე ძალიან ბევრი იფიქრა და ვინ იცის მასზე იმანაც იმოქმედა, რომ ალ ფაიედმა ცოტა ხნის წინ ლონდონის ცნობილი ჰიპერმარკეტი „ჰეროდსი“ 1,5 მილიარდ ფუნტად გაყიდა...

იოლი გამოცდილი მწვრთნელია და დასავლეთ ლონდონში მის გამოჩენას მიესალმებიან, რადგან, მოგეხსენებათ, საკუთრივ „ფულჰემსაც“ გაექცა მწვრთნელი - **როი ჰოჯსონი** „ლივერპულში“ გადავიდა. და კიდევ, იოლი „ფულჰემის“ ბევრ ფეხბურთელს იცნობს. „ტოტენჰემში“ მის ხელში გაუვლიათ **დენი მერფის, საიმონ დევისსა** და **სტივენ კელის**. დევისმა თქვა:

*„მარტინი ძალიან კარგი მწვრთნელია. ერთ-ერთი საუკეთესო, ვისთანაც კი ოდესმე მიმუშავია“.*

„ფულჰემის“ გასახარად აქილევსის მყესის ტრავმა მოირჩინა და გუნდს დაუბრუნდა **ბობი ზამორა,** ვინც სეზონის წინ სრულყოფილად შეძლებს მომზადებას. გასულ შაბათს „ფულჰემმა“ „ბორნმუთთან“ 1:1 ითამაშა და ზამორამ ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო. ფორვარდს იმედი აქვს, რომ აგვისტოში უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრაში თვით **ფაბიო კაპელოც** კი იხმობს, თუმცა არის ცუდი ამბავიც - კიდევ ერთი თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი,** მოგეხსენებათ, მუხლნატკენია და გამოჯანმრთელების საქმე მთლად კარგად არ მიუდის. „კრისტალ პალასისა“ და „ევერტონის“ ყოფილმა თავდამსხმელმა გასული სეზონის გვარიანი ნაწილი ხომ გამოტოვა და როგორც ჩანს, ახალი სეზონის დასაწყისსაც ტელევიზორში ნახავს.

**ილია ბაბუნაშვილი**



ფულჰემში როი ჰოჯსონს მარტინ იოლი შეცვლის

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჯოვინკოს პარმა ეპატიჟება



სებასტიან ჯოვინკოს იუვეს სათადარიგოთა სკამის ხეხვა მოჰბეზრდა

„პარმამ“ „იუვენტუსის“ ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველის, **სებასტიან ჯოვინკოს** გადაბირების სურვილი გამოთქვა. მართალია, ამ უკანასკნელს „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს, მაგრამ დიდი შანსია, რომ მომავალ სეზონშიც იშვიათად ათამაშონ ხოლმე, ჯოვინკოს კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივა არ ხიბლავს.

ტურინული გაზეთის, „ტუტოსპორტის“ ცნობით, „პარმა“ 23 წლის ჯოვინკოთი ძალიან სერიოზულადაა დაინტერესებული. ჩვენი იტალიელი კოლეგები წერენ, რომ „პარმა“ მზადაა, „იუვეს“ სებასტიანში 3.5 მილიონი ევრო გადაუხადოს და თან, ჯოვინკოს სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი დაუტოვოს. „ტუტოსპორტის“ ცნობით, ფეხბურთელის გადაბირება ლონდონის „არსენალს“ და „ბარისაც“ სურთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## დიეგო თქვენ, ელია ჩვენ!

იტალიური პრესის ცნობით, „იუვენტუსი“ „ჰამბურგს“ საინტერესო გარიგებას სთავაზობს: ტურინული კლუბი მზადაა, „ჰამბურგს“ ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო**, ჰოლანდიელ გარემარბ **ელჯერო ელიაში** გაუცვალოს. შეგახსენებთ, რომ „იუვემ“ დიეგო ერთი წლის წინ ბრემენის „ვერდერიდან“ 24.5 მილიონ ევროდ შეიძინა. ამასთან, „ტუტოსპორტის“ ცნობით, „იუვენტუსს“ „ჰამბურგის“ ახალგაზრდა მარცხენა მცველი, **დენის აოგოც** აინტერესებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## რიერა ლივერპულიდან მოსკოვში

“ლივერპულმა” მოსკოვის ცსკა-ს შეთავაზება მიიღო და **ალბერტ რიერას** ინგლისიდან რუსეთში გადაბარგება უკვე გადაწყვეტილ ამბად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ბრიტანული პრესის ცნობით, არმიელები ესპანელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას გადაიხდიან.

გასულ სეზონში რიერამ მხოლოდ 12 პრემიერლიგური მატჩი ჩაატარა, აქედან ძირითად შემადგენლობაში - ერთადერთი. “ლივერპულმა” იგი 2008 წელს “ესპანიოლიდან” რვა მილიონ გირვანქად შეიძინა. ცსკა-ს გარდა, მისით კიდევ ორი მოსკოვური კლუბი, “სპარტაკი” და “დინამო” იყო დაინტერესებული.

ცოტა ხნის წინ რიერამ “ლივერპულში” სათამაშო პრაქტიკის გამო უკმაყოფილება გამოთქვა, რისთვისაც ორი კვირის ხელფასით, 70 ათასი გირვანქით დააჯარიმეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## კალაჩმა კარიერა დაასრულა

ავსტრალიელმა მეკარემ **ჟელიკო კალაჩმა** აქტიური საფეხბურთო კარიერა დაასრულა. გამოსათხოვარი მატჩი მან კვირას ჩაატარა, როცა მისი “სიდნეი იუნაიტედი”, “ნიუკასლ ჯეტსთან” 0:2 დამარცხდა.

“სწორი გადაწყვეტილება მივიღე. როცა შენი სხეული გეუბნება, რომ დასვენების დროა, მასთან კამათი საჭირო არაა”, - ამბობს 37 წლის კალაჩი.

კალაჩს ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში 54-ჯერ უთამაშია, საკლუბო კარიერაც არანაკლებ შთამბეჭდავი ჰქონდა - დაუცავს ჰოლანდიური „როდას“, ინგლისური “ლესტერის”, იტალიური “პერუჯასა” და “მილანის”, და ბერძნული „კავალას“ კარი.

მისი ყველაზე დიდი მიღწევა 2007 წელს “მილანთან” ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ფიფამ ოქტომბრამდე გადადო

ამ კვირაში უელსის დედაქალაქ კარდიფში ფიფას სხდომა გაიმართება. ნავარაუდევი იყო, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო ვიდეოტექნოლოგიების დანერგვაზე იმსჯელებდა, მაგრამ ფიფამ ეს საკითხი დღის წესრიგში არ შეიტანა და საამისო განხილვა ოქტომბრისთვის გადადო.

სამაგიეროდ, კარდიფში იმსჯელებენ საფეხბურთო მატჩში ორი დამატებითი მსაჯის ჩართვის თაობაზე. შეგახსენებთ, ამ ექსპერიმენტს პირველად უეფამ მიმართა ევროპის ლიგის შეხვედრებზე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## მარადონა ჩავესთან იბურთავებს

უახლოეს დღეებში **დიეგო მარადონა** ვენესუელას ეწვევა და ქვეყნის პრეზიდენტ **უგო ჩავესს** მოინახულებს.

*“დიეგომ დამირეკა და მითხრა, რომ ჩამოსვლის დიდი სურვილი აქვს. რასაკვირველია, უსაზღვროდ გამიხარდა და ჩემთან ერთად ფეხბურთის ან ბეისბოლის თამაში შევთავაზე, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა”,* - თქვა ვენესუელის ოდიოზურმა ლიდერმა სატელევიზიო გამოსვლისას.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ კვირაში მარადონას უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის - იგი საკუთარ მომავალზე არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას უნდა ესაუბროს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სკანდალი




# ვიღაცების რაღაც

**ინგლისში, ფაბიო კაპელოსთან** დაკავშირებული სკანდალი კომიკურ ელფერს იძენს - ნაკრების იტალიელმა თავკაცმა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას აცნობა, რომ იგი ინტერნეტსაიტ „კაპელოს ინდექსზე" გამოქვეყნებულ ფეხბურთელთა რეიტინგთან არაფერ შუაში არ არის. შეგახსენებთ, რომ ხსენებულ საიტზე გამოქვეყნდა მსოფლიოს გასულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა შეფასებები, კერძოდ კი ქულები, რამაც როგორც ასოციაციაში, ისევე ზოგადად, გულშემატკივარში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ხალხმა მიიჩნია, რომ საკუთარი მოთამაშეებისთვის ქულების საჯაროდ დაწერა არაპედაგოგიურია, ფეხბურთელებს შეურაცხყოფს და გუნდში ურთიერთობებს არევს.

მოგეხსენებათ, კაპელოს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით აქვს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ხელშეკრულება გაფორმებული და წელიწადში 6 მილიონ ფუნტს ანუ 9,2 მილიონ დოლარს იღებს, მაგრამ მას მერე, რაც ინდექსი გამოქვეყნდა, ასოციაციაში დაიწყეს ბჭობა, ღირს კი იტალიელთან თანამშრომლობის გაგრძელება? თუმცა, როგორც ხედავთ, მწვრთნელმა, რომელიც სიცილიაზე ისვენებს, დამქირავებლებს ოფიციალურად უპასუხა, რომ მას ინდექსთან საერთო არაფერი აქვს და ასოციაციამაც ეს პასუხი სიამოვნებით მიიღო. პასუხმა დაგვაკმაყოფილაო, ეწერა მათ ბოლო ოფიციალურ განცხადებაში. როგორც გუშინ მოგახსენეთ, ფაპელოს ბანაკი, კერძოდ კი მისი ვაჟი **პიერფილიპო** ამბობდა, რომ თუ საიტის ავტორ-პატრონებისგან პასუხს გუშინ დღის ბოლომდე არ მიიღებდნენ, ისინი სასამართლოში იჩივლებდნენ. მომხდარისგან თავი შორს დაიჭირა თავის დროზე იდეის თანაავტორმა და ერთ-ერთი ონლაინ ტოტალიზატორის პატრონმა **ჩიკო მერიგიმაც**. მან თქვა:

*„მე ამის ნება არავისთვის მიმიცია და იმან, რომ ფეხბურთელთა შედეგები გამოქვეყნდა, ძალიან გამაბრაზა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

სატრანსფერო ამბები

# ჯო კოული: 4-წლიანი კონტრაქტი ლივერპულთან

**ჯო კოული** შვებულებიდან დაბრუნდა და გაარკვია, რომ უგუნდოდ არის - მისთვის „ჩელსის" თავკაცს" **კარლო ანჩელოტის** დაურეკავს და უთქვამს, რომ ფინანსური მიზეზების გამო, მის გუნდში აღარ ირიცხება. ახლა, კოულს ახალი გუნდი ჰყავს მოსაძებნი, თუმცა, ინგლისური მედიის რწმენით, მას ეს საქმე არ გაუჭირდება, რადგან მსურველი ბევრი ჰყავს, რომელთა შორის ყველაზე მეტად „ლივერპული" აქტიურობს. მეტიც, კოულის მერსისაიდში წასვლა იმდენად აშკარად გამოიკვეთა, რომ ბუქმეიქერებმა ფსონიდან „სად გადავა ჯო კოული" პასუხი „ლივერპული" ამოიღეს კიდეც - უკვე ყველამ გაიგო, რომ გარემარბი „წითლების" ახალ მწვრთნელს **როი ჰოჯსონს** ელაპარაკა, თუმცა მისმა მეგობრებმა უარყვეს, რომ მხარეები რაიმეზე შეთანხმდნენ.

ხოლო მიზეზი, თუ რატომ წამოვიდა, უფრო სწორად კი გაუშვეს კოული „ჩელსიდან" „ლელოს" მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი - ფეხბურთელმა კვირაში 100 ათასი ფუნტი მოითხოვა, თანაც კატეგორიულად, რამაც „ლურჯების" პატრონი **რომან აბრამოვიჩი** საშინლად გააბრაზა. ანჩელოტიმ ჟურნალისტებს უთხრა:



*„პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური გახლავთ. მე არაფერ შუაში ვარ, კონფლიქტი კლუბსა და ჯო კოულს შორისაა. მე და ჯომ ვილაპარაკეთ, მაგრამ, როდესაც მხარეები ხელფასზე ვერ თანხმდებიან, იძულებული ვარ განზე გავდგე. ასეთია ფეხბურთელების ცხოვრება. კოულმა, ისევე როგორც მიხაილ ბალაკმა და ჟულიანო ბელეტიმ საოცრად იმუშავეს და ითამაშეს, მაგრამ როგორც ჩანს, მათი „ჩელსიდან" წასვლის დროც დადგა".*

ხოლო იმას, რომ კოულის მისვლა „ლივერპულში" ძალიან გაუხარდებათ, რაღ უნდა ლაპარაკი. ჰოჯსონმა საჯაროდაც თქვა, წინასწარი მოლაპარაკებები უკვე გვქონდაო:

*„ტოტალიზატორებმა ფსონიდან „ლივერპული" ამოიღეს? მე მონაძლევე კაცი არ ვარ და სულ არ ვიცოდი ამაზე ვინმე თუ ნაძლევდებოდა. შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ კოულს უკვე ველაპარაკეთ და ძალიან მიხარია, რომ მისი დონის ფეხბურთელთან გვაქვს საქმე. მეტი, ჯერჯერობით, არაფერი მაქვს სათქმელი და დასადასტურებელი. მე მასთან პირობებზე არ მილაპარაკია. ტრანსფერების ტექნიკურ მხარესთან არაფერი მესაქმება. ამით ჩვენს კლუბში დირექტორი კრისტიან პერსლოუ გახლავთ დაკავებული".*

დამატებით შეგვიძლია გითხრათ, რომ „ლივერპულის" არგენტინელი ნახევარმცველი **ხავიერ მასკერანო** ჰოჯსონის სატელეფონო ზარებსა და მეილებს არ პასუხობს. რამდენადაც ცნობილია, მას „ლივერპულის" ყოფილ თავკაც **რაფა ბენიტესთან** „ინტერში" უნდა გადასვლა.

***P.S.** გუშინ საღამოს ოფიციალურად დადასტურდა, რომ ჯო კოულმა „ლივერპულთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.*

**ილია ბაბუნაშვილი**

ჩელსი

# კარლო ანჩელოტი: ჩვენ შეგვიძლია

**კარლო ანჩელოტი** ამბობს, რომ მისი გუნდი „ჩელსი", პრემიერლიგის ტიტულის შენარჩუნებას შეძლებს, მიუხედავად იმისა, რომ **ჯო კოულიც** გაუშვა და, როგორც ეტყობა, „ლივერპულისგან" არც **ფერნანდო ტორესის** ყიდვას აპირებს. და კიდევ, ინგლისის ჩემპიონთა იტალიელმა მწვრთნელმა ირიბად „მანჩესტერ იუნაიტედსაც" გაჰკრა კბილი - ახალ სეზონში ყველაზე დიდი კონკურენტი შესაძლოა „მანჩესტერ სიტი" იყოსო.

ისე, საინტერესოა: მიმდინარე სატრანსფერო სეზონზე „ლურჯებმა" ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაიმატეს - „ლივერპულისგან" ისრაელის ნაკრების ნახევარმცველი **იოსი ბენაიუნი** იყიდეს და ამ საქმეში მხოლოდ და მხოლოდ 5 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ამბობდნენ, რომ ლონდონელებმა მერსისაიდელებს ფერნანდო ტორესზეც ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ ესპანელს „ლივერპული" 50 მილიონ ფუნტად (59,14 მილიონ ევროდ) აფასებს და არ არის გამორიცხული, ვაჭრობა შეწყდეს. ანჩელოტიმ თქვა:

*„ჩვენ მეტი თავდამსხმელი არ გვჭირდება, მოგება ახლანდელი შემადგენლობითაც შეგვიძლია. ჩვენ შეგვწევს ძალა, დავიცვათ ინგლისის ჩემპიონის ტიტული. ჩვენ ვალდებულნიც კი ვართ ეს ტიტული დავიცვათ. ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ყველა შეჯიბრებაში წარმატებას მივაღწიოთ".*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იტალიელმა ისტლენდელები შეაქო:

*„ეს გუნდი გასულ სეზონთან შედარებით გაცილებით ძლიერად ითამაშებს. „მანჩესტერ სიტიში" ფანტასტიკური ფეხბურთელები თამაშობენ და ჩვენ ტიტულისთვის ბრძოლაში უდიდეს წინააღმდეგობას გაგვიწევენ".*

გასულ შაბათს „ჩელსიმ" „კრისტალ პალასთან" ითამაშა და 1:0 მოიგო. ამ შეხვედრაში ახალმა შენაძენმა იოსი ბენაიუნმა ვერ ითამაშა - საზარდული აწუხებს, თუმცა ლონდონელთათვის სასიხარულო იყო, რომ გამოჯანმრთელდა განელი ნახევარმცველი **მიკაელ ესიენი,** რომელმაც შვიდთვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანზე დაბრუნება შეძლო და „კრისტალ პალასს" გაუტანა კიდეც ის ერთადერთი გოლი. ესიენი ძალიან აკლდა თავისი ქვეყნის გვარიანად ძლიერ ნაკრებს ცოტა ხნის წინ დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც განელებმა მეოთხედფინალში გააღწიეს. სამაგიეროდ, „ჩელსის" მუნდიალის მონაწილე სხვადასხვა ნაკრებში ჰყავდა თავისი ფეხბურთელები მივლინებული, რომელთაც ანჩელოტი ჯეროვნად დასვენებას უპირებს:



*„იმ მოთამაშეებს, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, ისე დავასვენებ, რომ სეზონის დაწყებას აღდგენილი ძალებით შეხვდნენ,* - თქვა იტალიელმა მწვრთნელმა და დასძინა - *ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში კარგად გამოსვლაა. გასულ სეზონში შეჯიბრებიდან ძალიან ადრე გავვარდით".*

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან, „ჩელსი", მერვედფინალში, მომავალმა გამარჯვებულმა „ინტერმა" გამოაგდო.

**ილია ბაბუნაშვილი**

მანჩესტერ სიტი

# ხომ არ დაგავიწყდათ ატილიო ლომბარდო?

## მანჩინიმ სამწვრთნელო შტაბი შეავსო



**„მანჩესტერ სიტის"** თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** თავისი „სამპდორიას" დროინდელი თანაგუნდელი **ატილიო ლომბარდო** ისტლენდელთა მწვრთნელების შტაბში შეიყვანა. „სამპდორიას" კიდევ ერთი ოდინდელი ფეხბურთელი, ინგლისელი **დევიდ პლატი** მანჩინიმ ივლისის დასაწყისში ჩართო საქმეში.

44 წლის ლომბარდოსთვის ინგლისური პრემიერლიგა უცხო ხილი არ არის. 1998 წელს ის „კრისტალ პალასში" თან თამაშობდა და თანაც მწვრთნელის ფუნქციებსაც ითავსებდა. მანჩინიმ ისტლენდელთა ვებგვერდზე განაცხადა:

*„დიდებულია ის, რომ შემოგვიერთდა. ატილიო უმაღლესი დონის ფეხბურთელი იყო და ჩვენს გუნდს დიდ გამოცდილებასა და გამარჯვებულის მენტალიტეტს შემატებს. ვიცი, მას „მანჩესტერ სიტიში" მუშაობა ძალიან ახარებს და ისიც დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ლონდონში გატარებულმა დრომ ინგლისური ფეხბურთი შეაყვარა".*

მიმომხილველთა თქმით, ატილიო ლომბარდოს მისვლით ისტლენდელების მწვრთნელთა შტაბი საბოლოოდ დაკომპლექტდა. იტალიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე მეტოქეთა დაზვერვაშიც ძლიერია და როგორც მოსალოდნელია, სცენის მიღმა იმუშავებს. მასთან ერთად იქნებ კიდევ ერთი ძველი ფეხბურთელი **ბრაიან კიდი,** რომელიც „სიტიში" 1976-79 წლებში გამოდიოდა.

ატილიო ლომბარდომ კარიერის უმეტესი ნაწილი „სამპდორიაში" გაატარა, სადაც 200-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა, მეტწილად სწორედ მანჩინის მხარდამხარ. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ლომბარდო ხან „სამპდორიას" ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში და ხან შვეიცარიულ გუნდ „კიასოს".

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული

ინტერვიუ

ლუის ვან გაალი

# მიულერს თავში არ აუვარდება!

## ბაიერნის თავკაცს ვან დერ ვილს ერთი კარგი მარცხენა მცველი ურჩევნია

**ახალი სეზონისთვის მზადებას გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ბაიერნიც" შეუდგა. თუმცა, რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ერთობ უკმაყოფილოა, რადგან მის განკარგულებაში ის 13 ფეხბურთელი არ არის, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. ამას გარდა, „ბაიერნის" ჰოლანდიელი დამრიგებელი იმის გამოც წუხს, რომ 11 აგვისტოს გერმანიის ნაკრებს დანიასთან ამხანაგური თამაში უწევს და რამდენიმე ფეხბურთელის დათმობა სეზონის დაწყებამდე კიდევ ერთხელ მოუწევს. „ბაიერნმა" შეკრება გუშინ დაიწყო, მანამდე კი ვან გაალი ჩვენს გერმანელ კოლეგებს სამომავლო გეგმებზე, პოტენციურ ახალწვეულებზე და კიდევ არაერთ საინტერესო თემაზე ესაუბრა.**

**- ჰერ ვან გაალ, რა მდგომარეობაა გუნდში, რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რაც შვებულების შემდეგ „ბაიერნში" დაგხვდათ?**

- ფეხბურთელების მდგომარეობით ძალიან კმაყოფილი ვარ. როდესაც შვებულებაში გადიოდნენ, მათ ვთხოვე, ფიზიკური კონდიციები მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ და ყველანი კარგ ფორმაში დაბრუნდნენ. სამაგიეროდ, უკმაყოფილო ვარ იმით, რომ ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა მოთამაშე ჯერ კიდევ ისვენებს, რადგან მათ მუნდიალზე იასპარეზეს. შესაბამისად, სრულყოფილ მომზადებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ ფეხბურთელებიდან, სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩში მაქსიმუმ 2-3 ფეხბურთელს ვათამაშებ. მაგრამ რას ვიზამ? ვითარებას უნდა შევეგუო.

**- როდის შეუერთდებიან გუნდს ის მოთამაშეები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის გამო შვებულება გაუხანგრძლივდათ?**

- ის თერთმეტი ფეხბურთელი, რომლებმაც მუნდიალზე ბოლო დღემდე ითამაშეს, მხოლოდ 2 აგვისტოს დაბრუნდებიან. მარტინ დემიკელისსა და ფრანკ რიბერის კი 25 ივლისს ველოდები. ფიტნესმწვრთნელი თომას ვილჰელმი და ფიზიოთერაპევტი ჯერი ჰოფმანი იბიცაზე გაფრინდნენ, რათა რიბერის მომზადების სპეციალური კურსი იქ ჩაუტარონ. ერთი სიტყვით, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სეზონის სტარტს მაქსიმალურად კარგად მომზადებულები შევხვდეთ. მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ სანამ ყველა მოთამაშე არ მეყოლება, ამ ყველაფერს მოსამზადებელ შეკრებას მაინც ვერ დავარქმევ.

**- ამას წინათ თქვით, რომ კალენდარი ძალიან გადატვირთულია...**

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 7 აგვისტოს უკვე პირველი სერიოზული მატჩი გვაქვს - სუპერთასის შეხვედრა, რომლის მოგება ძალიან მინდა. მაგრამ არ ვიცი, რამდენად შევძლებთ იმას, რომ ამ მნიშვნელოვან მატჩს კარგად მომზადებულები შევხვდეთ. ფაქტია, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც გუნდს 2 აგვისტოს შეუერთდებიან, სუპერთასის შეხვედრაში 90 წუთს ვერ ითამაშებენ. შესაბამისად, ჯერ არ ვიცი, რომელი ფეხბურთელები უნდა ვათამაშო 7 აგვისტოს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ შარშანაც დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ვიყავით და მხოლოდ სეზონის დაწყებიდან რამდენიმე კვირის მერე გავარკვიე, ვის უნდა ეთამაშა ძირითად შემადგენლობაში.

**- 11 აგვისტოს გერმანიის ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა ელის, რაც იმას ნიშნავს, რომ წამყვანი მოთამაშეების დათმობა კიდევ ერთხელ მოგიწევთ...**

- ფიფა ოდნავ მაინც სამართლიანი რომ იყოს, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სანაკრებო კალენდარში 11 აგვისტოს ამოშლიდა, მაგრამ სად არის სამართალი? წარმოიდგინეთ, გერმანიის ნაკრების წევრები 2 აგვისტოს დამიბრუნდებიან და 9 აგვისტოს ისევ ნაკრებში უნდა გავუშვა - ეს ხომ სასაცილოა?

**- ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვს ხომ არ დაელაპარაკებით? გამოითქვა მოსაზრება, რომ „ბაიერნმა" იოგის, შეიძლება, მიუნხენელი ფეხბურთელების არგამოძახების თხოვნით მიმართოს...**

- ეს არ არის ჩემი პრეროგატივა. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ საკუთარი აზრი გამოვთქვა, ლიოვს კი ვერაფერს მოვთხოვ. სხვა საქმე იქნებოდა ის, რომ ყველა ფეხბურთელმა ერთად გამოთქვას პროტესტი და გერმანიის საფეხბურთო კავშირს მიმართოს. როცა მოთხოვნას რვა ფეხბურთელი ერთად წააყენებს, საფეხბურთო კავშირში მათ მინიმუმ მოუსმენენ. სწორედ ამას ვურჩევდი მოთამაშეებს. მაგალითად, ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელები ასე მოიქცნენ. არა იმიტომ, რომ ვინმეზე ნაკლები პატრიოტები არიან, არამედ იმის გამო, რომ თვითონაც ხვდებიან, საშინლად დამღლელი სეზონისა და მით უმეტეს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, კარგად დასვენება სჭირდებათ.

**- შვებულებაში მყოფ ფეხბურთელებს სპეციალური სავარჯიშო პროგრამები ხომ არ დაუგზავნეთ?**



- მე ჩემს ფეხბურთელებს შვებულებაში ყოფნის დროს ვარჯიშს ვუკრძალავ, რადგან დიდია იმის შანსი, რომ მოთამაშემ ტრავმა მიიღოს, როგორც ეს დანიელ ვან ბუიტენის შემთხვევაში მოხდა. შვებულება იმისთვის არსებობს, რომ ფეხბურთელმა კარგად დაისვენოს და ახალ სეზონს ახალი ენერგიით შეხვდეს. ბევრი მწვრთნელისგან განსხვავებით, მე ვფიქრობ, რომ შვებულებაში მყოფმა ფეხბურთელმა კარგად უნდა დაისვენოს. სამაგიეროდ, ვერ ვიტან, როცა მოთამაშე შვებულებიდან წონაში მომატებული ბრუნდება. ბიჭებს ვეუბნები ხოლმე, რომ შეუძლიათ, ჩოგბურთი ითამაშონ, ოღონდ მხოლოდ დასვენების მიზნით. სირბილს კი ყველას ვუკრძალავ.




**- ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის ბედსაც „ბაიერნს" უკავშირებენ, ჰოლანდიის ნაკრების მარჯვენა მცველი გრეგორი ვან დერ ვილია. რას გვეტყვით მის შესახებ და გჭირდებათ თუ არა ეს ფეხბურთელი აუცილებლად?**

- ვან დერ ვილი ტიპური მარჯვენა მცველია და თუ „ბაიერნი" მას შეიძენს, მაშინ ფილიპ ლამმა დაცვის მარცხენა ფრთაზე უნდა გადაინაცვლოს. სიმართლე გითხრათ, ასეთი პერსპექტივა მაინცდამაინც არ მხიბლავს. ჩემი აზრით, ლამი დაცვის მარჯვენა ფლანგზე გაცილებით კარგად თამაშობს, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ დადასტურდა. ჟერომ ბოატენგი ცაცია არ არის და მიუხედავად ამისა, ლიოვი მარჯვენა ფლანგზე მაინც ლამს ათამაშებდა, ბოატენგს კი მარცხნივ ამწესებდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლამთან დაკავშირებით გერმანიის ნაკრების მწვრთნელსაც ჩემნაირი მოსაზრება აქვს.

**- ამით იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ მარჯვენა მცველის ყიდვას, მარცხენა მცველის შეძენა გირჩევნიათ?**

- პირდაპირ გეტყვით: ეს ასეა! მაგრამ თუ ვინმეს ვიყიდით, მაშინ ის მართლა ძალიან მაგარი მარცხენა მცველი უნდა იყოს და არა საშუალო კლასის მოთამაშე. თუ ეს არ გამოვა, მაშინ მარჯვენა მცველი მაინც უნდა ვიყიდოთ, მაგრამ ნახეთ: ფილიპ ლამი მარცხნივ რომ ვათამაშოთ, გამოვა, რომ მარცხენა ფლანგზე გვყავს ორი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მემარჯვენეა: ლამი და ფრანკ რიბერი. ამ დუეტს ბასტიან შვაინშტაიგერიც უნდა დავუმატოთ, რომელსაც ნახევრად მემარცხენე საყრდენ ნახევარმცველად ვათამაშებ ხოლმე და რომელსაც ასევე ხშირად უწევს მარცხენა ფლანგის შევსება. შვაინშტაიგერიც მემარჯვენეა და შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მარცხნივ სამი მემარჯვენე ფეხბურთელის ასპარეზობა კარგი არ არის.

**- ედსონ ბრააფჰეიდი საერთოდ აღარ გჭირდებათ?**

- ბრააფჰეიდი „ბაიერნის" ფეხბურთელია და რაკი ეს ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვებთან ერთად, მასაც აქვს ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრების შანსი. ხომ იცით, ყოველი სეზონის წინ, ასეთ შანსს აბსოლუტურად ყველა მოთამაშეს ვაძლევ ხოლმე. სიმართლე გითხრათ, ბრააფჰეიდს ძალიან კარგი შანსი აქვს, რადგან ამ პოზიციაზე ჯერ არავინ გვიყიდია. მარცხენა მცველის პოზიციისთვის ჩვენ ბრააფჰეიდთან ერთად დიეგო კონტენტოც გვყავს და არ დაგვავიწყდეს, რომ ამ პოზიციაზე ჰოლგერ ბადშტუბერიც კარგად თამაშობს.

**- ხოსე ერნესტო სოსას გაუშვებთ?**

- ვგონებ, მის შენარჩუნებას არანაირი აზრი აღარ აქვს. არა მგონია, რომ სოსას დიდი პერსპექტივები ჰქონდეს. თანაც, ახლა მის პოზიციაზე ტონი კროოსი გადმოვიბირეთ და გასულ სეზონში თომას მიულერიც ხომ მის ადგილზე თამაშობდა. ფლანგებისთვის კი არიენ რობენი და ფრანკ რიბერი გვყავს. პლუს ჰამით ალთინთოფი და ისიც გახსოვდეთ, რომ გარემარბად მიულერსაც შეუძლია თამაში.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ თომას მიულერს ცუდი სეზონი ელის იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს და ეს წარმატება თავში აუვარდება? ოთხი წლის წინ, ლუკას პოდოლსკისაც ზუსტად ასე დაემართა...**

- თუ მიულერი მაქსიმალურად არ მოინდომებს, არ ვათამაშებ! არ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც ასეთ რამეს ვაპატიებ და მოედანზე მაინც გავიყვან. მაგრამ მე ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ თომასს ასეთი რამ არ დაემართება. მიულერი ძალიან კარგი, ჭკვიანი ბიჭია და არ მეშინია, რომ წარმატებები თავში აუვარდება.

**- დაბოლოს: როგორ ფიქრობთ, რატომ დამარცხდა გერმანიის ნაკრები ესპანეთთან?**

- გერმანია-ესპანეთი - ეს იყო ერთადერთი მატჩი, რომელშიც გერმანიის ნაკრებმა არ შეუტია. გული დამწყდა, რადგან ბუნდესგუნდმა ინგლისთან და არგენტინასთან მართლა ძალიან კარგი, შემტევი და სწრაფი ფეხბურთი ითამაშა. ესპანეთთან კი, იოახიმ ლიოვის ბიჭები მარტო უბურთოდ დარბოდნენ და პირველ რიგში საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ამიტომაც დამარცხდნენ! მე რომ ლიოვის ადგილზე ვყოფილიყავი, ესპანეთთან უფრო მაგრად შევუტევდი, ვიდრე არგენტინასთან და ინგლისთან, რადგან ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველები სიღრმეში იშვიათად ჩადიან ხოლმე და მათ კომბინაციურ ფეხბურთს მხოლოდ მასირებული იერიშებით თუ გააბათილებ.

**გოტფრიდ ლენცი**

რომა



რომას პრეზიდენტი როზელა სენსი

# ინტერს ხასიათით უნდა აჯობო

"რომა" ახალი სეზონისთვის დიდი ენთუზიაზმით ემზადება. სერია A-ს გასულმა გათამაშებამ გუნდს იმის რწმენა დაუბრუნა, რომ უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა შეუძლია. დედაქალაქელებმა პრაქტიკულად წარმოუდგენელი შეძლეს და უმძიმესი სტარტის შემდეგ სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩაებნენ. თანაც, პირველობისთვის ბოლომდე იბრძოლეს და მიზნის მიღწევამდე ძალიან ცოტა დააკლდათ. ამასთან, ითამაშეს იტალიის თასის ფინალური მატჩი და ისევე როგორც ჩემპიონატში, იქაც "ინტერთან" დამარცხდნენ. ხშირად, როდესაც გუნდი სეზონის დასკვნით ეტაპზე პრაქტიკულად ყველაფერს აგებს, ფსიქოლოგიური პრობლემები იჩენს ხოლმე თავს, თუმცა "რომას" შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარადაა. პირიქით, გუნდმა იგრძნო, რომ შეუძლია და სწორედ ეს იძლევა დიდ სტიმულს. ეს სიტყვები "რომას" პრეზიდენტ **როზელა სენსის** ეკუთვნის, რომელმაც ჟურნალისტებისთვის მინიბრიფინგი მოაწყო:

"გუნდი განვითარების სწორ გზას ადგას და ეს განვლილმა სეზონმა ნათლად დაგვანახა. ბევრმა გამაკრიტიკა, როდესაც არჩევანი კლაუდიო რანიერიზე შევაჩერე და მთავარ მწვრთნელად დავნიშნე, თუმცა შემდეგ ყველა მიხვდა, რომ აბსოლუტურად მართალი ვიყავი. კლაუდიო გამოცდილი სპეციალისტია, თანაც შესაძლებლობების დამტკიცების ძალიან დიდი მოტივაცია ჰქონდა, რადგან "იუვენტუსიდან" დაუმსახურებლად გამოუშვეს. მოკლედ, ჩავთვალე, რომ ჩვენს გუნდს რანიერი სჭირდებოდა და როგორც ხედავთ, არც შევმცდარვარ. რაც შეეხება სატრანსფერო კამპანიას, მხოლოდ გაძლიერებაზე ვფიქრობთ და არც ერთი წამყვანი ფეხბურთელის გასხვისებას არ ვაპირებთ".

სენსის პერსონალურად მოუხდა საუბარი **ადრიანოსა** და **დანიელე დე როსიზე**. პირველი "ჯალოროსის" ახალწვეულია, მეორეზე კი მადრიდის "რეალი" ნადირობს: "ადრიანოს სახით ძალიან ძლიერი თავდამსხმელი შევიძინეთ. მქონდა მასთან საუბარი და ჩვენი აზრები სრულად დაემთხვა ერთმანეთს. მას სურს, მთელ ევროპას დაუმტკიცოს, რომ დიდი ფეხბურთის თამაში კვლავაც შეუძლია, ჩვენ კი ამაში აუცილებლად დავეხმარებით. ვარჯიშებზე ყველაზე უფრო მონდომებული ჩანს, ძალიან ბევრს ვარჯიშობს და ბაზას პრაქტიკულად არ ტოვებს. თუ ასე გააგრძელა, სულ მალე საუკეთესო კონდიციას მიაღწევს. რაც შეეხება დე როსის, მისი გადაბირება რამდენიმე ევროპულ გრანდს სურს, მათ შორის მადრიდის "რეალს" და ლონდონის "ჩელსის". ძალიან დიდ თანხას იხდიან, მაგრამ დანიელე გუნდის სიმბოლოა და მისი გაყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველევით დე როსის, თუ ამას თვითონვე მოისურვებს, რადგან ძალით გუნდში ვერავის გავაჩერებთ - თუმცა, საბედნიეროდ, მას ჩვენთან სურს დარჩენა და კარიერის საყვარელ გუნდში დასრულება".

იტალიელი ჟურნალისტები იმაზე ბჭობენ, როგორი იქნება "რომა" ადრიანოსთან ერთად. ზოგადად, რანიერი 4-4-2-ის მიმდევარია, თუმცა გასულ სეზონში უფრო ხშირად 4-2-3-1 ტაქტიკას იყენებდა. "იმპერატორი" არ არის იმ ტიპის ფეხბურთელი, რომ ფლანგიდან შეუტიოს, ან სიღრმეში შევიდეს - ამისთვის არც სისწრაფე უწყობს ხელს და არც მოქნილობა. ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში ის უნდა განვიხილოთ, როგორც გამოკვეთილი თავდამსხმელი. თუ რანიერი კვლავ 4-2-3-1-ით გააგრძელებს ასპარეზობას, ის ერთადერთი ცენტრფორვარდი ალბათ ადრი იქნება, **ფრანჩესკო ტოტი** კი უკან დაიწევს და იქიდან შეეცდება ბრაზილიელის პასებით მომარაგებას. ფლანგებზე ჩვეულებრივად **მირკო ვუჩინიჩი, როდრიგო ტადეი, ჟერემი მენესი** და განებავთ, **ჟულიო ბაპტიშტა** გაირჯებიან. თუმცა ამ უკანასკნელს რანიერი მაინც და მაინც არ ენდობა. არ არის გამორიცხული, სინიორ კლაუდიომ შეტევაში ტრიუმვირატი დააყენოს: ტოტის, ვუჩინიჩის და ადრიანოს შემადგენლობით. თუ ბრაზილიელს ნერვებმა არ უმტყუნა და იტალიელი ტრავმებმა არ გაანამა, "რომას" ძალიან ძლიერი შეტევის ხაზი ეყოლება.

როზელა სენსის ერთი ასეთი კითხვა დაუსვეს: "რა უნდა დავუპირისპიროთ "ინტერს", რომელიც ყველაფერს იგებს?" - აქვე პასუხი: "მილანელთა მთავარი კოზირი და წარმატების საიდუმლო გამარჯვებულის მენტალიტეტია. მათ სჯერათ საკუთარი თავის და როდესაც მოედანზე გადიან, სწამთ, რომ აუცილებლად გაიმარჯვებენ. სწორედ ამ ასპექტში დგანან სხვებზე წინ და იმიტომაც იგებენ ტიტულებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აგდებით მოეკიდო მეტოქეს და არ დააფასო, უბრალოდ საკუთარი თავის უნდა გჯეროდეს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მაშინაც კი, როდესაც ჩემპიონატის დასრულებამდე 3-4 ტურით ადრე ცხრილს სათავეში ვედექით, არ გვჯეროდა, რომ სკუდეტო ჩვენი იქნებოდა. ეს არ უნდა განმეორდეს და დანარჩენს ეშველება. "ინტერს" ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ არც "რომაა" ცუდად დაკომპლექტებული გუნდი - მთავარია, ხასიათით ვაჯობოთ".

ბოლოს **კლაუდიო რანიერის** მოვუსმინოთ, რომელიც ძალიან კმაყოფილია საწვრთნელი პროცესით და **ფრანჩესკო ტოტისთან** ერთად, განსაკუთრებით **ადრიანოს** აქებს: "ადრიანოს კოლოსალური შესაძლებლობები აქვს, რაშიც დღითი დღე ვრწმუნდები. თუ ასევე გააგრძელებს წვრთნას, ძალიან მალე ოპტიმალურ ფორმაში შევა და მომდევნო სეზონში საუკეთესოდ წარმოჩნდება. ძალიან მონდომებულია და დიდი ენთუზიაზმით ვარჯიშობს ტოტიც - ფრანჩესკო ნამდვილი ლიდერია და გუნდისთვის შეუფასებელი ფეხბურთელი გახლავთ. ტოტი-ადრიანოს ტანდემი? - შესანიშნავი იქნება და "იმპერატორი" ამადაც ვიყიდეთ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ სხვა ფორვარდებიც გვყავს. მომავალ სეზონში დიდ მიზნებს ვისახავთ და დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრებს იმედებს არ გავუცრუებთ".

**ლაშა წიკლაური**



ჭიდაობა

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ახალგაზრდული კვირეული იწყება

დღეს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელშიც თავიდან ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. ორიოდე ცვლილების გარდა, საქართველოს ნაკრები ძირითადად იმ შემადგენლობით იასპარეზებს, რომლითაც სამი კვირის წინ ევროპის პირველობაზე საკმაოდ წარმატებით გამოვიდა: **მინდია წულუკიძე** (55), **გოგა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **უშანგი ჩიტიაშვილი** (74), **არსენ კახაბრიშვილი** (84), **ვასილ იმერლიშვილი** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120). ამათგან გოგიბერაშვილისა და გოგისვანიძის გარდა ყველამ იჭიდავა ევროპის პირველობაზე, 60-ში კი **ქემალ ხარაბაძე** გამოდიოდა, ხოლო მძიმე წონაში - ახლანდელი მონაწილის ძმა **შოთა გოგისვანიძე**. ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი სერგო გოგისვანიძე იმთავითვე ამ შეჯიბრებისთვის შემოინახა, ხარაბაძის ევროპული გამოსვლით კი უკმაყოფილო დარჩა და ამიტომ შეცვალა. იმ ტურნირისგან განსხვავებით, ამჯერად ადეიშვილი არასრული გუნდით წავიდა - 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვყავს, ევროპაზე კი **თორნიკე მახარაძემ** იჭიდავა და ვერცხლიც მოიპოვა. ამჯერად მან წონა არ დაიკლო და არც მწვრთნელებმა დააძალეს, ვინაიდან საერთოდ იცვლის წონით კატეგორიას, სხვა კი აქ ისეთი არავინაა, თუნდაც გამოსაცდელად, რომ ღირდეს.

მახარაძის გარდა, ბულგარულ სამოკოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლი დავითაიამაც მოიპოვა, იმერლიშვილი კი ჩემპიონი გახდა. ამასთან, წულუკიძე, კახაბრიშვილი და გოგისვანიძე მეხუთეზე გავიდნენ, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გუნდური პირველობის მოსაგებად. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრები მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ცხადია, მსოფლიოს პირველობაზე ასეთი შედეგის ჩვენება გაუჭირდებათ, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

დღეს ბუდაპეშტში ჩვენებურთაგან დავითაია, ჩიტიაშვილი და იმერლიშვილი იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ მოსინჯავენ ძალებს. 22 და 23 ივლისი გოგოების ტურნირს დაეთმობა, 24-25-ში კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ. "თავისუფლები" უნგრეთში „ბულგარული" შემადგენლობით იჭიდავებენ: **ლაშა ტალახაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით ტლაშაძე** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თორნიკე ხიდეშელი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120). ბარემ აქვე შეგახსენებთ ამათ საევროპო მონაგარს - ხუციშვილი და საკანდელიძე ჩემპიონები გახდნენ, ხინჩეგაშვილი და ჩოჩიშვილი მეორეზე გავიდნენ, ტალახაძე კი ბრინჯაოს დაეუფლა.

ამ გუნდის თავკაცი **ნუგზარ სხირელს** გუნდში რამდენიმე ცვლილების განხორციელება კი სურდა, ერთის შესახებ ოფიციალურადაც გამოაცხადა - ხიდეშელის (100) ნაცვლად **ომარ გუსოშვილი** იჭიდავებსო, მაგრამ საბოლოოდ ამის უფლება მწვრთნელთა საბჭომ არ მისცა. სხირელს საკანდელიძის შეცვლაც სურდა, ოღონდ, პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, აქ მიზეზი ახლების გამოცდის სურვილი იყო და არა ჭიდაობის ხარისხით უკმაყოფილება. მწვრთნელი თუ ხიდეშელის გამოსვლით უკმაყოფილო დარჩა და ამიტომ უპირებდა შეცვლას, საკანდელიძის ჭიდაობით ბოლომდე კმაყოფილია, მაგრამ **ლევან ბერიანიძისთვისაც** სურდა შანსის მიცემა, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ამას. ბერიანიძემ წინა კვირას ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა, რითაც დაამტკიცა, რომ კარგ ფორმაშია. წლეულს ის და საკანდელიძე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - საქართველოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში საკანდელიძემ მოიუგო, თურქეთის საერთაშორისო ტურნირის ასევე გადამწყვეტ შეხვედრაში კი ბერიანიძემ რევანში აიღო. თუმცა საკანდელიძემ მანამდე მიიღო სერიოზული ფორა, როცა იანვარში უფროსებში საქართველოს ჩემპიონატი მოიგო. იქ ბერიანიძეს არ შეხვედრია, მაგრამ შედეგით აჯობა. საევროპოდ სხირელმაც ამიტომ ამჯობინა საკანდელიძე, თუმცა რადგან ევროპიდან მსოფლიომდე სულ სამიოდე კვირაა, ბერიანიძისთვის შანსის მიცემაც სურდა. მით უფრო, რომ ისიც ფორმაშია, მაგრამ მწვრთნელთა საბჭომ სხვანაირად გადაწყვიტა. თავისი საქმისა თვითონ იციან, მაგრამ საბჭოს ამჟამინდელი გადაწყვეტილება საკამათოდ მიგვაჩნია.

რომ 24 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატში ტალახაძე, ჩოჩიშვილი, ხუციშვილი და ხიდეშელი იჭიდავებენ, 25-ში კი დარჩენილი ოთხეული იასპარეზებს. შარშან ამ ნაკრებმა მსოფლიოს პირველობაზე თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვა - საკანდელიძე ფინალში დამარცხდა, მესამეზე კი მარსაგიშვილი გავიდა, რომელმაც წლევანდელი ევროპირველობა საერთოდ ჩააგდო და ახლა რეაბილიტაციის შანსი ეძლევა. ბერძენ-რომაელთა შარშანდელი მონაგარი კი **არჩილ თურმანიძის** (60) მიერ მოპოვებული ერთადერთი ბრინჯაოს მედალია.

**ირაკლი თავაძე**

სუმო

# ტიტულის დასაცავად

22 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** კბილებით იცავს კომუსუბის ტიტულს, რომელიც კარიერაში პირველად ნაგოიას ბაშოს წინ მიიღო. ტოჩინოშინს ცუდი სტარტი ჰქონდა და ახლა თითქმის გამოუვალი მდგომარეობის გამოსწორება უწევს - ლევანს ბაშოზე მხოლოდ ერთი ნაგების უფლებაღა აქვს. გუშინ ტოჩინოშინის მეტოქე გოლიათი ბულგარელი **კოტოოშუ** იყო, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი მარცხი ჰქონდა ნაგოიაში. კოტოოშუ ძალიან მაღალი, ღონიერი და მოხერხებულია, სხვა გზა არ იყო და ლევანმა ხერხს მიმართა, დაჯახებამდე წამით ადრე ოდნავ მარცხნივ გადახტა და გვერდიდან შეუტია ოძეკის, რომელმაც „აზრზე მოსვლა" ვერ მოასწრო და ოშიდაშით დამარცხდა. ტოჩინოშინის ბალანსი ჯერ კიდევ უარყოფითია - 3-6. დღეს ქართველი კომუსუბი მონღოლ **ასასეკირიუს** შეხვდება. „წითელი ურჩხული" პირველი მაეგაშირაა, თუმცა საშინლად ასპარეზობს (1-8). თუკი ტოჩინოშინი იმარჯვებს, ეს მისთვის საიუბილეო, მე-100 მოგება იქნება ელიტაში. აქამდე ტოჩინოშინი და ასასეკირიუ 5-ჯერ შეერკინენ ერთმანეთს, ქართველი 2:3-ს აგებს.

საქმე გაირთულეს ქართველმა მაეგაშირებმა, აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) შოტენროს** შეტევა ვერ გათვალა, მან კი ცაციათი სუკუინაგეს ილეთი შეასრულა და 202-კილოიანი ქართველი დოჰიოს ცენტრში დააგდო. გაგამარუს 4-5 ბალანსი აქვს და დღეს ნაგოიაში ბეჭდაუდებელ **ჰომაშოს** შეხვდება. გაგამარუ ცაცია ჰომაშოს კარიერაში პირველად დაეჭიდება.

**კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ზედიზედ მე-4 მარცხი იწვნია, „შავმა ზღვამ" შეძლო **ტამაასუკას** დიჰიოს კიდემდე გაყვანა, იქ კი მეტოქის კონტრშეტევა გაეპარა. კოკაის 4-5 ბალანსი აქვს, დღეს ის მე-15 მაეგაშირა **ჰოკუტორიკის** (5-4) შეხვდება. ეს რიკიშიები ერთმანეთს 14-ჯერ შეხვდნენ, „შავი ზღვა" გამარჯვებული მხოლოდ 5-ჯერ გამოვიდა დოჰიოდან.

ორი დაუმარცხებელი სუმოისტის ბრძოლაში დიდმა მონღოლმა **ჰაკუჰომ** იმარჯვა, იოკოძუნამ 24 წლის „წეროურჩხული" **კაკურიუ** იორიკირით დაამარცხა. ჰაკუჰომ ზედიზედ 41-ე ბრძოლა მოიგო. ბაშოს 9-9 მოგებით ჰაკუჰო და მე-13 მაეგაშირა ჰომაშო ლიდერობენ. ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლიათ კაკურიუს (8 მოგება) და კოტოოშუს (7).

**ივლისის ბაშო. 11-25 ივლისი. ნაგოია (იაპონია)**

**IX დღე:** ჰაკუჰო-კაკურიუ (იორიკირი), ბარუტო-კაიო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტოკიტენკუ (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-კოტოოშუ (ოშიდაში), არანი-კისენოსატო (იორიკირი), კიტატაიკი-კოტოშოგიკუ (იორიკირი), ასასეკირიუ-ჰაკუბა (შიტატენაგე), ვაკანოსატო-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), ამინიშიკი-ტოკუსეგავა (იორიკირი), კიოკუტენჰო-იოშიკაძე (იორიკირი), შიმოტორი-ბუშუიამა (იორიკირი), ტოსაიუტაკა-კაკიძოე (იორიტაოში), ჰომაშო-მოკონამი (ოშიტაოში), კიმურაიამა-ტაკეკაძე (ცუკიოტოში), ტაკამისაკარი-ტამავაში (იორიტაოში), შოტენრო-**გაგამარუ** (სუკუინაგე), ტამაასუკა-**კოკაი** (შიტატენაგე), ჰოკუტორიკი-ტამანოშიმა (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა: 9-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **ჰომაშო** (მაეგაშირა 13). **8-1: კაკურიუ** (მ 6). **7-2: კოტოოშუ** (ოძეკი). **6-3: კაიო** (ოძეკი), **ბარუტო** (ოძეკი), **კისენოსატო** (სეკივაკე), **ტაკამისაკარი** (მ 11)... 4-5: **გაგამარუ** (მ 12), **კოკაი** (მ 12)... 3-6: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი).

**X დღე: ქართველთა მეტოქეები:** ტოჩინოშინი-ასასეკირიუ, გაგამარუ-ჰომაშო, კოკაი-ჰოკუტორიკი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტოჩინოშინის გამარჯვება

მძლეოსნობა

# როცა სპორტის დედოფალს კარისკენ უთითებენ

არაერთხელ გვითქვამს, რომ ბოლო დროს მძლეოსანთა საქართველოს ჩემპიონატებსა თუ პირველობებზე მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ხარისხობრივად შედეგები საერთაშორისო მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამორჩება, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ეროვნულ ჩემპიონატზე, რომელსაც ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 23 ქალაქისა და რაიონის 235 სპორტსმენი მონაწილეობდა (დუშელთა და ხონელთა ჩამოუსვლელობის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია). ათლეტთა უმრავლესობას თავმოსაწონი მაინცდამაინც არც ამჯერად ჰქონიათ. მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის ისევ ერთი მონაწილე იყო და ისიც 140-სანტიმეტრზე (!) გადებულ თამასას ძლივს გადაევლო. 5000 მეტრზე **გიული დეკანაძე** ეს უკვე მერამდენედ დარბოდა ისევ ეულად, როგორც 3000 მეტრზე წინაღობებით — **ჯეირან ხოფერია**. აღარაფერს ვამბობთ თარჯრბენებსა და სამხტომებზე. ანდა, ბირთვის კვრაში ბრინჯაოსმედალოსანთა მაჩვენებლები ავილოთ — დაახლოებით 10 და 13 (!) მეტრი. არც სხვა მიღწევები ყოფილა სახარბიელო.

— მალე ეს შედეგებიც, შესაძლოა, სანატრელი გაგვიხდეს, — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა**. — ეროვნულ სტადიონს თუ არ ჩავთვლით, მთელ საქართველოში მძლეოსნებს სავარჯიშოდ ელემენტარული პირობებიც არ აქვთ. არ მინდა ნოსტალგიად ჩამეთვალოს, მაგრამ უწინ თბილისში „სპორტის დედოფალს“ კარი ღია ჰქონდა „ლოკომოტივის“, „სინათლის“, სკა-ს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სტუდქალაქის, სპორტის აკადემიის სტადიონებზე. ყოფილი ლენინის სტადიონს ხომ თავისი მანეჟიც ჰქონდა. დღეს მათი უმეტესობა გაპარტახებულია ან გაუქმებულია. აჭარელი სპორტსმენები უწინ ცენტრალურ სტადიონსა და პიონერთა პარკში ვარჯიშობდნენ. დღეს? თითქმის მსგავსი მდგომარეობაა მთელ ქვეყანაში, რასაც სასპორტო სკოლების დახურვა დაემატა. ასეთ პირობებში კიდევ კარგ შედეგებს აღწევენ ჩვენი მძლეოსნები. მაგალითად, ამ ჩემპიონატზე **დავით ილარიანმა**, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, წლეულს კონტინენტის გუნდურ პირველობაზე ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესა 110 მეტრზე თარჯრბენში. კვლავ გამოირჩა ნორჩი ქუთაისელი სპრინტერი **სალომე სირაძე**: 100 და 200 მეტრზე რბენაში მან ოქროს მედლები დაიმსახურა. წუთზე ადრე დაფარა 400 მეტრი ფოთელმა თეა ფაცურიამ, 2 მეტრ სიმაღლეზე გადახტა ზურაბ გოგოჭური, ბენიკ აბრამიანმა კი ბირთვის კვრაში თითქმის მეტრით გააუმჯობესა ევროპის პირველობაზე ნაჩვენები საკუთარი შედეგი. მართალია, ისინი საერთაშორისო ნორმატივებს საკმაოდ ჩამოუვარდება, მაგრამ წინსვლა მაინც იგრძნობა. ერთი სიახლეც გვქონდა: მსაჯთა კომიტეტის (თავმჯდომარე მამია ტულუში) ინიციატივითა და ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით 11-17 ივლისს კვალიფიკაცია აიმაღლა 44-მა არბიტრმა, რომლებმაც შესაბამისი სერფიკატებიც მიიღეს. სწავლებამ შედეგიც გამოიღო: ამ ჩემპიონატზე მსაჯთა მიმართ მწვრთნელთა და სპორტსმენთა პრეტენზიები, ფაქტობრივად, არც ყოფილა.

— მინდა ჩემი გულისტკივილიც გაგიზიაროთ, — ჩაერია საუბარში სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **რევაზ ბუკია**. — დღეს რეგიონიდან საქართველოს ნაკრებში 11 სპორტსმენი გვყავს, არადა, ზუგდიდის რაიონში ყურადღებას არავინ გვაქცევს. უწინ ცენტრალურ სტადიონზე უამრავ შეჯიბრებას ვატარებდით. ოთხი წლის წინათ ფეხბურთის მესვეურებმა კარისკენ მიგვითითეს — მძლეოსნობა არ გვჭირდებაო. ახლა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ვვარჯიშობთ. გვემუქრებიან, მალე აქედანაც გაგაგდებთო. კარგა ხანია, გვპირდებიან, ქაღალდის კომბინატის ტერიტორიაზე არსებულ სტადიონზე კეთილმოგიწყობთო მძლეოსნურ სექტორებს, მაგრამ ჯერჯერობით თითი თითზე არავის დაუკარებია. კიდევ კარგი, რომ ბოლო დროს ხობის, მარტვილის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს გამგეობებმა გამოგვიწოდეს დახმარების ხელი. ამ რაიონებში ჩამოვაყალიბეთ მძლეოსნური სექციები და უკვე პირველი შედეგებიც გამოჩნდა. ბოლო დროს ფოთის ხელმძღვანელობის უყურადღებობამაც დაგვწყვიტა გული: ეროვნულ ჩემპიონატზე ამ ქალაქიდან 12 სპორტსმენს უნდა ესასპარეზა. ჩამოვიდნენ კი ექვსნი, ისიც საკუთარი ხარჯებით. მძლეოსნობა ხომ სპორტის ყველა სახეობის საფუძველთა საფუძველია და, ვიმედოვნებთ, მას რაიონებში მეტ ყურადღებას მიაქცევენ...


ოთარ ხაჭაპურიძე

ახლა კი ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

**ქალები. 100 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,4), 2. სალომე აბშილავა (თბილისი-ზუგდიდი, 12,5), 3. სოფიო მაჭავარიანი (თბილისი, 12,6). **100 მ. თარჯრბენი.** 1. მაია გოგოლაძე (თიანეთი, 15,4), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 17,7). **200 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 26,2), 2. სალომე აბშილავა (თბილისი-ზუგდიდი, 26,2), 3. სოფიო ჩალაშვილი (თბილისი, 27,0). **400 მ.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 58,9), 2. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 59,8), 3. ოქსანა სტეპანიანი (თბილისი, 1.05,8). **400 მ. თარჯრბენი.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.06,0), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.11,0), 3. ლიკა ბიგვავა (ზუგდიდი, 1.15,8). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.17,8), 2. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 2.32,7), 3. ნესტან ირემაძე (ჭიათურა, 2.36,6). **1500 მ.** 1. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 5.25,2), 2. ლია ცალქალამანიძე (ახალციხე, 5.27,9), 3. ნესტან ირემაძე (ჭიათურა, 5.41,2). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.57,0), 2. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 11.59,2), 3. ლია ცალქალამანიძე (ახალციხე, 12.16,8). **5000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 18.58,9). **4X100 მ.** 1. თბილისი-1 (50,7), 2. ქუთაისი (52,5), 3. თბილისი-II (55,0). **4X400 მ.** 1. ახალციხე (4.25,9), 2. თბილისი-II (4.30,5). **სიგრძეზე ხტომა.** 1. მაია გოგოლაძე (თიანეთი, 5,32), 2. სალომე აბშილავა (თბილისი-ზუგდიდი, 5,15), 3. თათია პაიკიძე (ვანი, 4,97). **სამხტომი.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 11,10), 2. ტანია მაისაია (მარტვილი, 10,52), 3. თამარ გელეიშვილი (ქუთაისი, 10,41). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. სოფიო მაჭავარიანი (თბილისი, 140 სმ). **ბირთვი.** 1. სალომე რიგიშვილი (თბილისი-თიანეთი, 12,95), 2. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 10,15), 3. ია ხაბაზი (აჭარა, 9,80). **ბადრო.** 1. სალომე რიგიშვილი (თბილისი-თიანეთი, 37,91), 2. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 25,60), 3. ევგენია ჩერვონიკოვა (ფოთი, 25,40). **შუბი.** 1. ნათია გიგაური (თელავი, 33,97), 2. ევგენია ჩერვონიკოვა (ფოთი, 27,50), 3. მარიამ კვინიკაძე (თბილისი, 19,45).

**ვაჟები. 100 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (თბილისი, 11,0), 2. ირაკლი აშორდია (მარტვილი, 11,2), 3. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 11,3). **110 მ. თარჯრბენი.** 1. დავით ილარიანი (თბილისი, 13,8), 2. დავით ცირამუა (ზუგდიდი, 18,3), 3. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 19,4). **200 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 21,5), 2. დენის ჟვანია (თბილისი-ზუგდიდი, 22,2), 3. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი, 22,2). **400 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 47,9), 2. დავით ნოზაძე (ბორჯომი, 49,0), 3. თენგიზ ლვინჯილია (თბილისი, 49,3). **400 მ. თარჯრბენი.** 1. დავით ბარამიძე (აჭარა, 58,7), 2. დავით ცირამუა (ზუგდიდი, 1.00,9), 3. ნუგზარ ჟორჟოლიანი (ქუთაისი, 1.01,8). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.52,1), 2. თენგიზ ლვინჯილია (თბილისი-ზუგდიდი, 1.54,1), 3. მერაბ ქინიძე (თბილისი, 1.54,3). **1500 მ.** 1. მერაბ ქინიძე (თბილისი, 3.55,0), 2. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 4.00,0), 3. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 4.01,8). **3000 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 8.52,9), 2. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 8.57,3), 3. გიორგი ლომიძე (თბილისი, 9.44,5). **3000 მ. წინაღობებით.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9,37,0). **5000 მ.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 15.42,3), 2. ანატოლი ოლეინიკოვი (ლაგოდეხი, 16.14,3), 3. დავით დარბაისელი (საგარეჯო, 20.52,5). **4X100 მ.** 1. ზუგდიდი (44,0), 2. თბილისი-1 (44,4), 3. ქუთაისი (45,2). **4X400 მ.** 1. ახალციხე (3.22,3), 2. ზუგდიდი (3.46,3). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, 6,98), 2. ლაშა ლულელაური (ახმეტა, 6,75), 3. ვასილ ელანიძე (ახმეტა, 6,51). **სამხტომი.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, 15,04), 2. ლაშა ლულელაური (ახმეტა, 14,46). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ზურაბ გოგოჭური (თბილისი, 200 სმ), 2. დავით იაშვილი (ქუთაისი, 160), 3. დავით ალსანიშვილი (აბაშა, 150). **ბირთვი.** 1. ბენიკ აბრამიანი (თბილისი, 17,34), 2. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 15,73), 3. დავით შონია (ფოთი, 12,69). **ბადრო.** 1. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 45,38), 2. ბენიკ აბრამიანი (თბილისი, 43,02), 3. ცოტნე კობაიძე (თბილისი, 40,39). **შუბი.** 1. ვასილ ელანიძე (ახმეტა, 46,97), 2. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი, 45,65), 3. ლაშა ონიაშვილი (აჭარა, 41,32). **საერთო გუნდური.**

**I ჯგუფი.** 1. თბილისი(1) — 527, 2. ახალციხე — 397, 3. ქუთაისი — 353 ქულა.

**II ჯგუფი.** 1. ვანი — 113, 2. აჭარა — 106, 3. ახმეტა — 102 ქულა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მსოფლიოს მეორე ჩოგნის წინააღმდეგ

## რატომ ჩაიშალა თბილისის ტურნირები?

20 წლის **ანა ტატიშვილს** კარიერაში საუკეთესო დროება უდგას - ზედიზედ ორი კვირაა, WTA-ს სერიის ტურნირში ძირითად ბადეში თამაშობს. გახსოვთ ალბათ, რომ პრაღის ღია პირველობაზე (220 ათასი დოლარი) მან მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც გამოცდილ შვეიცარიელ **პატი შნიდერთან** (56) სამ სეტში წააგო, სლოვენიურ პორტოროჟში კი ანას ძირითად ბადეში გასვლამ საკვალიფიკაციო ბატალიებით მოუწია. ჩვენებურმა ესეც შეძლო.

პორტოროჟში ქალთა შორის სლოვენიის ღია პირველობა იმართება, რომლის საპრიზო ფონდიც 220 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში ქართველი ჩოგბურთელი მე-7 ნომრად იყო განთესილი, მან სამი მეტოქე მიჯრით დაამარცხა და ძირითად ბადეში გავიდა. I წრეზე გუშინ გამცნეთ, მეორეში ტატიშვილის მეტოქე ხორვატი **ინდირე აკიკი** (641) იყო, ქართველმა ორ სეტში იმარჯვა - 7:5, 6:0.

ფინალურ წრეში ანა ტატიშვილის მეტოქე 27 წლის უკრაინელი **იულიანა ფედაკი** (222) იყო, რომელიც 4-6 წლის წინათ მუდმივად მსოფლიოს საუკეთესო ასეულის წევრი იყო. გამოცდილმა უკრაინელმა ტატიშვილს ვერაფერი დაუპირისპირა, ჩვენებურის უპირატესობა აშკარა იყო - 6:1, 6:1. ჩვენმა თანამემამულემ უკვე გამოიმუშავა 16 სარეიტინგო ქულა, თუმცა მისი მონაგარი გაცილებით მეტი იქნება, თუკი თუნდაც ერთ წრეს გაივლის (30 ქულა და 2,9 ათასი დოლარი). სხვათა შორის, ამავე ბადეში ბედი **მაკა ჩახნაშვილმა** სცადა, თუმცა პირველივე საკვალიფიკაციო მატჩში დამარცხდა.

ანა წყვილთა თანრიგშიც თამაშობს, სადაც ყოფილ ბულგარელს, ახლა კი ყაზახეთის სახელით მოთამაშე **სესილ კარატანჩევას** შეუწყვილდა. მათი მეტოქეები სერბები არიან, **ელენა იანკოვიჩი და ალექსანდრა კრუნიჩი**. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ იანკოვიჩი მსოფლიოს მე-2 ჩოგანია, მას წყვილებში სათამაშოდ „უაილდ ქარდი“ დასჭირდა.

გუშინ, საღამოს გაირკვა ქართველი ჩოგბურთელის პირველი მეტოქის ვინაობა სლოვენიის ღია პირველობის ძირითად ბადეში. დღეს ანა მე-4 ნომრად განთესილ იტალიელ **სარა ერანის** (37) ეთამაშება. სხვათა შორის, ერანი 2008 წლის სლოვენიის პირველობის გამარჯვებულია. ისინი ერთმანეთს პირველად შეხვდებიან.

გუშინ WTA -ს რეიტინგი გამოქვეყნდა, რომელშიც ანას პრაღის ტურნირში მოპოვებული 70 ქულა დაემატა. საქართველოს პირველ ჩოგანს 428 ქულა დაუგროვდა და სულ ცოტა დააკლდა კარიერის საუკეთესო ნიშნულამდე - ანა მსოფლიოს 147-ე ჩოგანია, მისი საუკეთესო შედეგი კი 146-ე პოზიციაა (2010 წლის 7 ივნისი). წლის რბოლაში ანამ 125-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, წყვილთა რეიტინგში ის 113-ეა. მოკლედ, ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი ასეულისთვის გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს.

19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** 326 ქულით მსოფლიოს 169-ე ჩოგანია (+1), წლის რბოლაში ის 214-ეა, ხოლო წყვილებში - 125-ე. ოქსანა 7 ივნისს მსოფლიოს 156-ე ჩოგანი იყო, ჯერჯერობით ესაა მისი უდიდესი მიღწევა.

ამჟამად მოქმედ ჩოგბურთელთაგან ასეულთან ყველაზე ახლოს მაკა ჩახნაშვილი იყო - 2007 წლის 30 ივლისს ის მსოფლიოს 134-ე ჩოგანი იყო. დღეისთვის კი ქვეყნის ყოფილი პირველი ჩოგანი 258 ქულით 205-ე (-3) პოზიციაზეა. სხვები: 291 (-1) **სოფიო შაფათავა** - 158 ქულა; 343 (+16) **თათია მიქაძე** - 121; 400 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 88; 423 (-19) **მანანა შაფაქიძე** - 78; 552 (-2) **ეკა გორგოძე** - 49; 1022 (-) **ანა ჯიქია** - 4. თვალშისაცემია 22 წლის თათია მიქაძის პროგრესი, მან კარიერის მორიგ მწვერვალს მიაღწია, არადა, ამ ჩოგბურთელს ორი წელიწადი გაუცდა ვაჟთა რეიტინგისკენ გახედვაც არ გვინდა, იმდენად უიმედო მდგომარეობა გვაქვს. მაგრამ რას ვიზამთ... კლასიფიკაციაში 6 ქართველია, აქედან 5 ათასეულს მიღმა, ანუ სიმბოლურად. 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 33 ქულით მსოფლიოს 632-ე ჩოგანია.

ხარკოვში იწყება ქალთა 25-ათასიანი ტურნირი, რომლის ძირითად ბადეში სამი ჩვენებურია. ეკა გორგოძეს არ გაუმართლა, მისი მეტოქე პირველ ნომრად განთესილი სლოვაკი **კრისტინა კუჩოვაა** (134). მე-8 ნომრად განთესილი თათია მიქაძე საკვალიფიკაციო ბადის ერთ-ერთ გამარჯვებულს შეხვდება, მე-3 ნომრად განთესილი სოფიო შაფათავას მეტოქე კი რუსი **კარინა პიმკინაა** (540). ფრანგულ ლე კონტამინმონტროიეში მოთამაშე სოფიო ქვაცაბაიას პირველ მეტოქედ პოლონელი **პატრისია სანდუსკა** (386) ერგო.

**ლაზარე კუხალაშვილი** „უაილდ ქარდით“ მიიწვიეს დუბლინის ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია. მისი მეტოქეც „უაილდ ქარდით“ არის მიწვეული, ირლანდიელი **ჯონ მორისეი**. აპრილში მათი დაპირისპირება მორისეიმ მოიგო.

19-დან 25 ივლისამდე თბილისს უნდა ემასპინძლა ტრადიციული ტურნირისთვის „ფიუჩერსის“ სერიიდან, მომდევნო კვირაში უნდა მიბმოდა მას მეორე ანალოგიური ტურნირი, თუმცა წლეულს ისინი გაუქმდა. ეს შეჯიბრებები 2000 წლიდან (2002 წელს ჩავაგდეთ) 2004 წლამდე იმართებოდა, 2007 წელს ტრადიცია ისევ აღდგა, მაგრამ წლეულს ისევ ვერ შევძელით საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე დაბალი დონის საერთაშორისო ტურნირის (პროფესიონალებში) ორგანიზაცია. საკითხავია, რატომ?

ყველაზე მეტჯერ ეს ტურნირები იტალიელმა **მატეო მარაიმ** (341) მოიგო (სამჯერ), ორჯერ იმარჯვა **ლადო ჩიხლაძემ**. 2004 წელს თბილისის ტურნირი მოიგო პოლონელმა **მიხალ პრისიეჟნიმ**, რომელიც ახლა მსოფლიოს 89-ე ჩოგანია. 2003-ში ტურნირებში **თეიმურაზ გაბაშვილმა** (90) გაიმარჯვა, რომელიც ჩვენივე უნიათობით დავკარგეთ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მწვრთნელთა დონის ასამაღლებლად

საერთაშორისო ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამითა და სეოკ-ის დაფინანსებით თბილისში დაიწყო ჩოგბურთში ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელშიც დედაქალაქის, გორის, თელავის, ბათუმის, ბოლნისისა და ქუთაისის 24 წარმომადგენელი მონაწილეობს. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენთან ორი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი — ხორვატი **ჰოვე ზმაჩიკი** და პოლონელი **პიოტრ უნიერჟსკი** მოავლინა. ისინი თეორიულ სწავლებას სასტუმრო „კოლხში“, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობებს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ჩაატარებენ.

„უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით მწვრთნელთა კურსების ორგანიზება ქართული ჩოგბურთის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. დიდი ხანია, მწვრთნელები არ გადაგვიმზადებია, არადა, უამისოდ წინსვლა გამორიცხულია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო კეთილი ნების გამოჩენისა და თანადგომისთვის“, — გვითხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა**.

„ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას სწამს, რომ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებით სპორტის ამ ელიტარული სახეობის განვითარებას შეუწყობს ხელს, რადგან კარგი მწვრთნელები მაღალი კლასის მოთამაშეთა აღზრდის საწინდარია. მე და ჩემი ხორვატი კოლეგა აქაურ პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების გასაზიარებლად არაფერს დავიშურებთ.

დიდი ხანია ქართველებს ვიცნობ. მინახავს კორტებზე ლეილა მესხის თამაში. დახმარება გამიწევია ირაკლი ლაბაძისთვის, ლადო ჩიხლაძისთვის, ირაკლი უშანგიშვილისა და მაკა ჩახნაშვილისთვის. ქართველ და პოლონელ ხალხებს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ. მეგობრობდნენ ჩვენი და თქვენი პრეზიდენტები. დარწმუნებული ვარ, თბილისში ახალ ნაცნობებს შევიძენ“, — გვითხრა პიოტრ უნიერჟსკიმ.

კურსები თბილისში 24 ივლისამდე გაგრძელდება.

**ვაჟა დანელია**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები





ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# კოკოშკოვმა დამალა...
## სლოვაკეთშიც უნგრული სცენარით

19 ივლისი, პეზინოკი (სლოვაკეთი)

**სლოვაკეთი-საქართველო 80:72**

10:15 32:24 22;18 16:15

**სლოვაკეთი:** მარკო (16), ნოვაკი (16), ჰაველი (10), სუალაი (6), ლოშონსკი (4), სედმაკი (10), სედლაკი (8), მიკლოშიკი (3), ტერლანდა (3), ჩერვენკა (2), კოზლიკი (2)

**საქართველო:** ფაჩულია (10), გრინი (10), ცქიტიშვილი (10)

საქართველოს ნაკრებმა მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ისევ დამარცხდა. უნგრეთის შემდეგ ქართველებმა სლოვაკებთან დათმეს - 72:80. აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ 2008 და 2009 წლებში სლოვაკებთან ჩატარებული ოფიციალური მატჩების შედეგები: 101:78, 90:41, ცხადია, ქართველთა სასარგებლოდ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სლოვაკები ჩვენზე გვიან შეიკრიბნენ და სეზონის პირველ შეხვედრას ატარებდნენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს გუშინ მეტოქის დამარცხება ნამდვილად შეეძლო.

თუმცა ეს **იგორ კოკოშკოვმა** არ მოინდომა, რასაც ორი მიზეზი უნდა ჰქონდეს. პირველი: სლოვაკები ივლისის ბოლოს პოლონელებს ეთამაშებიან და გუშინდელი თამაშის ვიდეოფირს საქართველოს ნაკრების მეტოქეს აუცილებლად გადასცემენ... ჰოდა, კოკოშკოვმა, ნაკრების ლიდერები და მათთან ერთად გუნდის პლუსები დამალა. აკი აღნიშნა მეორე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** - წამყვანი კალათბურთელები დიდად არ დაგვიტვირთავსო.

სლოვაკეთთან წაგების მეორე მიზეზი სათადარიგოების გამოცდა იყო - მწვრთნელებმა უნგრეთზე სუსტ სლოვაკებთან (B დივიზიონში არიან) 14-ივეს მისცეს თავის გამოჩენის შანსი. ეს მათი სათამაშო პრაქტიკისთვისაც სასარგებლო იქნება და მწვრთნელსაც საუკეთესოების გამორჩევას გაუადვილებს, ოფიციალური მატჩების განაცხადში ხომ 12 კაცი უნდა მოხვდეს.

როგორც ჩანს, სლოვაკები ამხანაგურ მატჩებს არცთუ გულიანად უდგებიან, დარბაზში კომპიუტერი არ იდგა და, შესაბამისად, სტატისტიკის სრულად დათვლა ვერ მოხერხდა. საბოლოოდ მხოლოდ საქართველოს ნაკრების სამი კალათბურთელის შრომის შედეგი ვიცით: **ზაზა ფაჩულიამ, ნიკა ცქიტიშვილმა** და **ტორინ გრინმა** 10-10 ქულა ჩააგდეს.

სლოვაკური მედიის დახმარებით მატჩის სცენარის (რომელიც უნგრული მატჩის ასლი გამოდგა) აღდგენაც ხერხდება: თავიდან სლავები დაწინაურდნენ - 8:3. ამას მოჰყვა დაცვაში ქართველთა აგრესიული თამაში და მალე სტუმრები წინ გაიჭრნენ - 15:10. თუმცა ჩვენი გუნდი მალევე მოდუნდა და სლოვაკეთმა 10:0 გაქცევა მოაწყო (20:15).

მეორე მეოთხედში თანაბარი თამაში გაჩაღდა და დიდ შესვენებაზე სლოვაკეთი სამქულიანი უპირატესობით გავიდა - 42:39.



მესამე ათწუთეულიც ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. ადგილობრივი ჟურნალისტები ამ რაუნდში გამთამაშებელი ტორინ გრინის თამაშს მოუხიბლავს.

ისევე როგორც უნგრეთთან, ქართველებს მეოთხე პერიოდის შუაში სლოვაკეთის კალათისკენ გზა დაეკარგათ, რითაც მასპინძლებმა უმალ ისარგებლეს - 68:59. დარჩენილ 8 წუთში ჩვენმა გუნდმა თამაშის შემოტრიალება ვერ მოახერხა და სწორედ ისეთი სხვაობით დამარცხდა, როგორითაც მადიარებთან (-8).

მატჩის სურათზე წარმოდგენის შექმნაში იგორ კოკოშკოვის მთავარი ასისტენტი დავით უსტიაშვილი დაგვეხმარა, რომელმაც კალათბურთის ფედერაციის საიტს შემდეგი უთხრა:

- სლოვაკეთთან საკონტროლო შეხვედრაში გადავწყვიტეთ, ყველა მოთამაშე გამოგვეცადა. კოტე ტულუშს, ანატოლი ბოისას, კოკა ტომარაძეს, ნოდარ შენგელიას და მიხეილ ბერიშვილს უნგრეთთან არ უთამაშიათ, სლოვაკეთთან კი საკმარისად დავტვირთეთ. სულ 14-მა კალათბურთელმა ითამაშა. მოედანზე მხოლოდ გიორგი ცინცაძე და თორნიკე შენგელია არ გავიდნენ. პირველს მცირე ტრავმა აწუხებს - უნგრეთთან ფეხი იტკინა. ცინცაძეს გუშინ არ უვარჯიშია და დღესაც მოვერიდეთ მის დატვირთვას. თორნიკე შენგელია ნაკრებს დღეს შეუერთდა, აქამდე ახალგაზრდულს ეხმარებოდა, ოდნავ ხელი სტკიოდა და მისი მოედანზე შეყვანისგანაც თავი შევიკავეთ.

დავით უსტიაშვილმა ისიც დაამატა, რომ იგორ კოკოშკოვმა შედეგზე დიდი ყურადღება არ გაამახვილა და ლიდერები მეტ-ნაკლებად დაასვენა:

*- ვერ ვიტყვით, რომ შესაძლებლობები ყველამ მაქსიმალურად გამოავლინა. მოვერიდეთ ლიდერების დატვირთვას იმიტომ, რომ წინ გაცილებით მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ნაკლებად დავტვირთეთ მარკოიშვილი, სანიკიძე, ფაჩულია და გუნდის სხვა წამყვანი მოთამაშეები. ბევრი სათამაშო დრო არავის რგებია, შესაბამისად, გამორჩეულად არავის უთამაშია. ბიჭები ცოტა გადაღლილებიც იყვნენ...*

მეორე მწვრთნელი ამერიკელ ახალწვეულებსაც შეეხო:

*- ქუინტონ ჰოსლი მსუბუქი ფორვარდია, თუმცა სამნამიანში თამაშიც შეუძლია. ის გონიერი და გამოცდილი მოთამაშეა. გრინი გამთამაშებელია და თავის მოვალეობას კარგადართმევს თავს. დაყენებული სროლა აქვს, ბურთის მეტოქის ნახევარზე სწრაფად გადატანაც შეუძლია და პასის ალღოც არ დაეწუნება. მისგან ბევრს ველით. იმედია, ამერიკელები ჩვენს ნაკრებს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე უფრო კარგად შეერწყმებიან.*

საქართველოს ნაკრები გუშინ ღამით (4 საათზე) ვენის რეისს უნდა ჩამოყოლოდა და ვარჯიშს სპორტის სასახლეში განაგრძობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი

# მე-13 ადგილისთვის შენგელიას გარეშე

**საქართველო-შვედეთი 79:73**

19:11, 16:21, 20:21, 24:20

საქართველო: ბაქრაძე (35 წთ, 4ქ, 4პ, 1მ, 1ჩ, 3ფ, 5შ), ჩიკვილაძე (33 წთ, 15ქ, 2მ, 2პ, 2ჩ, 1ფ, 4შ), შენგელია (33 წთ, 23ქ, 13მ, 2პ, 3ფ, 2შ), ხმელიძე (17 წთ, 3ქ, 3მ, 1პ, 1ჩ, 2ფ), შარაბიძე (33 წთ, 19ქ, 10მ, 2დ, 3ფ, 4შ); ლომოური (17 წთ, 3ქ, 4მ, 3ფ, 1შ), ნანიტაშვილი (5 წთ, 5ქ, 1მ, 1ფ), დვალიშვილი (14 წთ, 4ქ, 3მ, 1პ, 2ჩ, 1დ, 2ფ, 1შ), ჩაჩანიძე (13 წთ, 3ქ, 2მ, 1ჩ, 1შ)

შვედეთი: პერსონი (12ქ), ნაგვერე, ლარსონი (2ქ), ჰამპტონი (13ქ, 7მ), შერაპოვიჩი (15ქ), რაიანი (6ქ), ზაგდენი (4ქ, 5მ), სელინი (9ქ), ლინდბექი, ლინდელი (3ქ), ლინდკვისტი (7ქ, 6მ), ენგსტრომი (2ქ)

ისრაელი-უნგრეთი 86:78

**A ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 2. ისრაელი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |

მას შემდეგ, რაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ასაკის გადაკეთებას ბრძოლა გამოუცხადა და სპორტსმენები ახალგაზრდულ შეჯიბრებებზე „ნატურალური" ასაკით მიემგზავრებიან, ქართველთა მიზნებმაც მოკრძალებული სახე მიიღო. თუ მანამდე გუნდისგან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას ვითხოვდით, ახლა უნდა შევეგუ[illegible] აზრს, რომ ახალგაზრდულ ასაკ[illegible] ევროპის ჩემპიონატზე არაფერი გვეს[illegible]ება, B დივიზიონის საშუალო დონ[illegible] გუნდი გვყავს და მიზანი ბელარუსთან, რუმინეთთან, დანიასთან და მათ [illegible]გავს ნაკრებებთან პაექრობით კლა[illegible] ამაღლებაა. 20-წლამდელთა ნაკრ[illegible]ისთვის თუნდაც B ლიგის ნახევარფ[illegible]ალსა და ფინალში თამაში ჯგუფუ[illegible]ტაპის მატჩებზე მეტად სასარგებლოა, მაგრამ ამ ეტაპებამდე მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ რომელიმე ასაკში ნიჭიერი თაობა ერთიანად იფეთქებს.

ჰოდა, აფეთქებამდე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების B დივიზიონში გამოსვლას მივადევნოთ თვალი. ორი საწყისი მატჩის წაგების შემდეგ გაირკვა, რომ ჯგუფში ბოლო ადგილს ქართველებს ველარავინ "შეეცილებოდა", ხოლო შვედებს პირველობა განაღდებული ჰქონდათ. სწორედ სატურნირო მოტივაციის გარეშე დარჩენილი გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს პირველი ეტაპის ბოლო მატჩში. შვედებმა მანამდე დაამტკიცეს, რომ კვარტეტში საუკეთესოები იყვნენ, ხოლო ქართველებს საზოგადოებისთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ სხვებზე ნაკლებები არ არიან. სათანადოდ მოტივაციისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, თანაბარ თამაშში ჩვენმა გუნდმა უნგრეთისა და ისრაელის მძლეველ შვედეთს 79:73 აჯობა.

მატჩის ბედი მეოთხე პერიოდის ორწუთიან მონაკვეთში გადაწყდა: ანგარიში 60:60 იყო, როცა **ლომოურმა** სამქულიანი გამოიყენა. მას **ჩიკვილაძემაც** მიბაძა, თანაც ერთის ნაცვლად ორი შორეული ტყორცნა გამოიყენა და სირენამდე 5:35 წუთით ადრე ქართველები 69:62 დააწინაურა. ეს სხვაობა გადამტეხი აღმოჩნდა, **მიხეილ ბერუაშვილის** შეგირდებმა უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს და ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

ზემოთ თაობებზე კი ვილაპარაკეთ, მაგრამ გამოგვრჩა ერთი ფაქტორი: რაც უნდა ნიჭიერი გუნდი იყოს, მას სათანადო შეთამაშება, მომზადება და პრაქტიკა სჭირდება. ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით ნაკლები სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა: თურქეთის და საქართველოს 18-წლამდე ნაკრებებთან 2-2 მატჩი გამართა. უნგრეთმაც, შვედეთმაც და ისრაელმაც მოსამზადებელ ეტაპზე ქართველებზე მეტი შეხვედრა ჩაატარეს. ასე რომ, უნგრეთთან პირველი თამაშის წაგება სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობასაც შეიძლება დაბრალდეს (სწორედ ამიტომ ჩააგდეს მეორე ტაიმი); მომდევნო მატჩში, ისრაელთან ქართველებმა ბოლო წუთებამდე იბრძოლეს; ხოლო შვედეთთან, როგორც იტყვიან, "ბურთი იგრძნეს" და გადამწყვეტ მომენტში სამქულიანს სამქულიანი მიაყოლეს... საინტერესოა: ქართველებმა შვედეთთან 7 სამქულიანის რეალიზება მოახერხეს, ხოლო ისრაელთან 11-ის. აღსანიშნავია, რომ შორეული ტყორცნები სკანდინავიელებთან ბოლო წუთებზე გამოიყენეს, ხოლო ისრაელთან პირველ-მესამე პერიოდებზე გადაანაწილეს, ბოლოს ველარ ჩააგდეს.

შვედეთთან დაპირისპირებას დავუბრუნდეთ: 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ იმ კალათბურთელებმა გადალახეს, რომლებმაც 33 წუთი ითამაშეს. **გიორგი შარაბიძემ** 19 ქულას 10 მოხსნა მიამატა, **ბექა ჩიკვილაძემ** 15 ქულა ჩააგდო, ხოლო **თორნიკე შენგელიას** ეფექტური დუბლი გამოუვიდა - 23 ქულა, 13 მოხსნა. თორნიკე ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, შვედეთთან მატჩის შემდეგ **იგორ კოკოშკოვის** გუნდს შეუერთდა და ახალგაზრდებს დარჩენილი მატჩების ჩატარება მის გარეშე მოუწევთ.

ასე და ამგვარად, მეტი სათამაშო პრაქტიკა რომ ჰქონოდათ, ქართველები საჩემპიონო მარათონს ნაადრევად არ გამოაკლდებოდნენ. რადგან მეოთხეზე გავიდნენ, სხვა ჯგუფების აუტსაიდერებთან მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილების განაწილებისთვის ითამაშებენ. ჩვენებთან ჯგუფში მოხვდნენ ბელარუსი, დანია, რუმინეთი, შვეიცარია. პირველი მატჩი ბელარუსთანაა...

**20 ივლისი: 15:30 შვეიცარია-რუმინეთი, 17:45 ბელარუსი-დანია; 21 ივლისი: 15:30 საქართველო-ბელარუსი, 22:15 დანია-შვეიცარია; 22 ივლისი: 15:45 რუმინეთი-დანია, 20:00 საქართველო-შვეიცარია; 23 ივლისი: 15:30 ბელარუსი-შვეიცარია, 17:45 საქართველო-რუმინეთი; 24 ივლისი: 15:30 საქართველო-დანია**

**ვაჟა სიმონიშვილი**






ჭადრაკი



კონსტანტინე შანავა

## ფესტივალმა ლაურეატები გამოავლინა

გუშინ ფოთში დამთავრდა სახელოვანი ქართველი დიდოსტატის, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და საჭადრაკო ოლიმპიადების ექვსგზის გამარჯვებულის **ნანა ალექსანდრიას** სახელობის მე-5 საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ერაყის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მთავარ ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ** გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია** და **შოთა აზალაძე** გავიდნენ.

**8-წლიან** გოგონებში 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი სამტრედიელმა **თიკა ცაგურიამ** დაიკავა. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ქუთაისელმა **ნუცა ცირეკიძემ** და ზუგდიდელმა **მაია ბეჭვაიამ** გაიყვეს. ბიჭებშიც 8 ქულა მოაგროვა ქუთაისელმა **დავით კამკიამ** და ყველას აჯობა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისელი **ანტონ ნადირაძე**. 7 ქულით მესამე იყო დედაქალაქელი **დიმიტრი ჯიბუტი**.

**10-წლიანებში** საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები**. 1. **ნინო ჯალაღონია** (8,5), 2. **გვანცა მარგველაშვილი** (7,5), 3. **ელენე კოსტავა** (6,5). **ვაჟები**. 1. **დავით გვენეტაძე** (8,5), 2. **ლევან ბაბუხადია** (7), 3. **გურამ კოკაია** (ყველა — ქუთაისი, 7).

**12-წლიან** გოგონებში 8-8 ქულა მოაგროვეს **ნინო ხომერიკმა** (თბილისი) და **მარიამ მჟავიამ** (ქუთაისი). უკეთესი კოეფიციენტით მეტოქეს ხომერიკმა გაუსწრო. 6,5 ქულით მესამე ადგილი აზერბაიჯანელ **ნარმინ მამადოვას** ხვდა. ვაჟებშიც უძლიერესი კოეფიციენტმა გამოავლინა, რადგან აქ თბილისელმა **გიორგი სიბაშვილმა** და ფოთელმა **ნიკა ლვამბერიამ** 7-7 ქულას მოუყარეს თავი. პირველობა სიბაშვილს ერგო. 6,5 ქულით მესამე იყო ქუთაისელი **ნოე თუთისანი**.

**14-წლიან** გოგონებში პაექრობები წრიული სისტემით წარიმართა. 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა **ანა შამათავა**. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები **ნატო იმნაძემ** და **თეკლა მაჭარაშვილმა** გაინაწილეს. ვაჟებში საპრიზო ადგილებზე თბილისელები ასეთი თანმიმდევრობით გავიდნენ: 1. **ირაკლი ბერაძე** (8,5), 2. **გიგლა ბენიძე** (6,5), 3. **ალექსანდრე ებრალიძე** (5,5).

## გაგუნაშვილის ბრინჯაო

ტორონტოში გუშინ დამთავრდა კანადის 47-ე ღია ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 260-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრების ლიდერმა ინგლისელმა **ლიუკ მაკშეინმა** გადამწყვეტ ტურში რუსი **არტიომ სამსონკინი** დაამარცხა, 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა კანადელი **ნიკოლაი ნორიცინი**, რომელმაც ბოლო ტურში ლიტველ **ედუარდას როზენტალისს** აჯობა. 7-7 ქულას ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ მოუყარა თავი. დაზავდნენ **მერაბ გაგუნაშვილი** და ამერიკელი **ალექსანდრ შაბალოვი**. უკეთესი კოეფიციენტით საქართველოს ჩემპიონს და ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრს ბრინჯაოს მედალი ხვდა. მეოთხე ადგილი შაბალოვს ერგო. მეხუთე-მეექვსე ადგილები უკრაინელმა **ვლადიმირ მალანიუკმა** და კანადელმა **ჯეკ იუსმა** გაინაწილეს.

ტურნირის საპრიზო ფონდი იყო 32 ათასი ამერიკული დოლარი. ჩემპიონმა მაკშეინმა 6500 დოლარი დაიმსახურა, ნორიცინს 3500 ხვდა, გაგუნაშვილს — 2500, შაბალოვი და მალანიუკი 1500-1500 დოლარით დაჯილდოვდნენ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაჟირება

# შვიდი ქართველი სამხრეთ აფრიკაში

ახლახან საქართველოს რაგბის კავშირსა და სამხრეთ აფრიკის ვესტერნ პროვანსის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის პირობა პერსპექტიული ახალგაზრდა მორაგბეების სტელენბოშის სარაგბო აკადემიაში სტაჟირებაზე მივლინებაა.

ხვალ სამხრეთ აფრიკაში ახალგაზრდა მორაგბეების პირველი ჯგუფი გაემგზავრება. საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების წევრები **ლაშა ლომიძე, ლევან გოგოლაშვილი, მერაბ შარიქაძე** (სამივე-აკადემია), **სანდრო ქოიავა, გოდერძი ჭინჭარაული** (ორივე-ლელო), **ზურაბ ძნელაძე** (აია) და **გიგა გაგოშვილი** (შევარდენი) იქ თვე-ნახევარს დაჰყოფენ და სამხრეთაფრიკელი სპეციალისტების მეთვალყურეობით ივარჯიშებენ.

ამათ გარდა, სტაჟირებაზე გაემგზავრება მსაჯი **უჩა ნარიმანიძე** და ახალგაზრდა მწვრთნელი **ლადო კილასონია.**

შეგახსენებთ, რომ სტელენბოშში აპრილში საქართველოს A ნაკრები იმყოფებოდა. ხელშეკრულების თანახმად, ჩვენი გუნდი წლეულს ნოემბრის ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა ესტუმროს სამხრეთ აფრიკას. მომავალი წლის გაზაფხულზე კი სტელენბოშელი სპეციალისტები საქართველოს ეწვევიან სემინარების ჩასატარებლად.

მსოფლიო თასი

# მეოთხეს რუმინეთი და ურუგვაი გაარკვევენ

2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეოთხე მეტოქეს რუმინეთისა და ურუგვაის ნაკრებების დაპირისპირება გაარკვევს. რეპეშაჟის მეორე ეტაპი ორივე გუნდმა იოლად განვლო და ახლა ნოემბერში ერთმანეთთან საბრძოლველად მოემზადებიან.

რუმინეთის ნაკრებმა ქალაქ ბუზაუში ტუნისის ნაკრებს 56:13 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ტუნისელებმა ამ მატჩისთვის მზადებისას დასახმარებლად საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს **კლოდ სორელს** უხმო. კლოდის ამოცანა ტუნისელთა შერკინების მოღონიერება იყო, თუმცა ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ფრანგმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

რუმინელები 6 და 20 ნოემბერს გადამწყვეტ ბრძოლებს ურუგვაის ნაკრების წინაამდეგ გამართავენ. სამხრეთამერიკელებმა რეპეშაჟის მეორე ეტაპზე მონტევიდეოში ყაზახეთის ეროვნული გუნდი დაამარცხეს 44:7.

წარუმატებლობის შემთხვევაში რუმინეთის ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშებას პირველად გამოტოვებს. ურუგვაის ნაკრებს კი მსოფლიო თასზე სულ ორჯერ უთამაშია -1999 და 2003 წლებში. 2007 წლის მსოფლიო თასზე ურუგვაელებს გზა პორტუგალიის ნაკრებმა გადაუკეტა. „ლობუშებმა" სამხრეთამერიკელებს სწორედ რეპეშაჟში, ორი მატჩის ჯამში აჯობეს.

შეგახსენებთ, რომ რუმინეთსა და ურუგვაის შორის საუკეთესო მსოფლიო თასზე B ჯგუფში საქართველოს, ინგლისის, არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებებთან მოხვდება.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი სავარაუდო მეტოქეების შემადგენლობა ყაზახეთისა და ტუნისის ნაკრებებთან მატჩში.

რუმინეთის ნაკრები: **15. ფლორინ ვლაიკუ, 14. კატალინ ფერკუ, 13. იონუც დიმოფტე, 12. ჩაბა გალი, 11. სტეფან ჩუნტუ, 10. დანუც დუმბრავა, 9. ვალენტინ ივანი 1. მიჰალ ლაზარი, 2. სეზარ პოპესკუ, 3. სამუელ მარისი, 4. მარიუს სირბე, 5. ვალენტინ ურსაკე, 6. სტელიან ბურეა, 7. დენიელ იანუსი, 8. ალექსანდრუ მანტა**

*16. ანდრეი რადოი, 17. რადუ ბასალაუ, 18. კრისტიან პეტრე, 19. დანიელ კარპო, 20. ვალენტინ კალაფეტეანუ, 21. იონელ კაზანი, 22. კატალინ ნიკოლაე*

ურუგვაის ნაკრები: **ივო დუგონჯიჩი, 14. ლეანდრო ლივასი, 13. მარტინ კროსა, 12. ხუან დე ფრეიტასი, 11. ჯასტინ მიერესი, 10. ემილიანი კაფერა, 9. მანუელ მარტინესი. 1. ალეხო კორალი, 2. კარლოს არბოლეია, 3. პაბლო ლემუანი, 4. დიეგო მანო, 5. მატიას ფონსეკა, 6. მატიას ბრაუნი, 7. ალფრედო გიურია, 8. ნოკოლას ბრიონი**

*16. ედგარდო ბენიტესი, 17. ხუან პედრო რომბისი, 18. მარტინ ესპიგა, 19. ხუან კარლოს ბადო, 20. ხუან პაბლო ჰორტა, 21. ხუან მარტინ ლიოვეტი, 22. სანტიაგო გორტარი*

**მსოფლიო თასი**

**A ჯგუფი:** ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, კანადა, იაპონია

**B ჯგუფი:** არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, საქართველო, რეპეშაჟი

**C ჯგუფი:** ავსტრალია, ირლანდია, იტალია, რუსეთი, აშშ

**D ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, ფიჯი, უელსი, სამოა, ნამიბია

**საქართველოს ნაკრების განრიგი**

14 სექტემბერი: საქართველო-შოტლანდია
18 სექტემბერი: საქართველო-ინგლისი
28 სექტემბერი: საქართველო-რეპეშაჟი
2 ოქტომბერი: საქართველო-არგენტინა

ტრანსფერი

# ურჯუკაშვილი ფედერალ 2-ში დარჩა

საქართველოს ნაკრების გარემარბმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა,** რომელმაც გასული სეზონი ფედერალ 1 დივიზიონში ალზევებულ „ფიჟაკში" გაატარა, ხელშეკრულება ფედერალ 2 დივიზიონში მოასპარეზე „გურდოსთან" გააფორმა.

„გურდოში" რამდენიმე წლის წინ საქართველოს ნაკრების შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** თამაშობდა. მაშინ გუნდმა ფედერალ 1 დივიზიონში წარუმატებლად იასპარეზა, დაქვეითდა და მას შემდეგ ფედერალ 2 დივიზიონში ბინადრობს.

საქართველოს ნაკრების მორაგბეებიდან ერთადერთი, ვინც დღემდე უგუნდოდაა, მეორეხაზელი **ილია ზედგინიძეა,** რომელიც ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე **დავით კაჭარავას** „ნიცასთან".



მალხაზ ურჯუკაშვილი

ოლ ბლექსი

# ჯო როკოთოკო დაბრუნდა

ახალი ზელანდიის ნაკრები, რომელმაც სამი ერის გათამაშების ორ შეხვედრაში ორჯერვე დაამარცხა სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდი, მორიგ შეხვედრას 31 ივლისს მელბურნში, „ვოლაბების" წინაალმდეგ გამართავს.

„ოლ ბლექსს" ამ მატჩისთვის **ლიამ მესამი** და **რენე რეინჯერი** გამოაკლდებიან. ამ უკანასკნელმა სამი ერის გათამაშების სადებიუტო მატჩში „ბოკეს" წინაალმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა და ერთი ლელოც მიითვალა. თუმცა ახალზელანდიელთა ძირითადი გარემარბი **ჯო როკოთოკო** გამოჯანმრთელდა და **გრემ ჰენრიმაც,** ცხადია, უპირატესობა უფრო გამოცდილ მებრძოლს მიანიჭა.

შესაძლოა, „ოლ ბლექსს" ცხრა ნომერი **პირი ვიპუც** ვერ დაეხმაროს. მისი მეუღლე ბავშვს ელოდება და ამის გამო ნაკრების მწვრთნელს დაეთხოვა.

„ძალიან კარგი იქნება, ბავშვი რაც შეიძლება მალე თუ გაჩნდება", - უთქვამს ვიპუსთვის ჰენრის და მის ნაცვლად **ალბი მეთიუსონი** შეუგულებია.

**ახალი ზელანდიის ნაკრები**

**შერკინება: ჯონ აფოა, ენტონი ბორიჩი, ტომ დონელი, კორი ფლინი, ბენ ფრენქსი, ოუენ ფრენქსი, ჯერომ კაინო, როჩი მაკქოუ, კევინ მეალამუ, კირან რიდი, ბრედ თორნი, ვიქტორ ვიტო, სამუელ ვაითლოქი, ტონი ვუდკოქი**

**უკანა ხაზი: დენ კარტერი, ჯიმი ქოუანი, აარონ კრადენი, იზრაელ დაგი, კორი ჯეინი, მაა ნონუ, ჯო როკოთოკო, კონრად სმითი, ბენსონ სტენლი, პირი ვიპუ.**

სამი ერი



მეთ გიტო

# ვოლაბებს ბრისბენში ტრადიციის გაგრძელება სურთ

ავსტრალიის ნაკრები სამი ერის გათამაშებაში მომავალ უქმეებზე ჩაებმება. „ვოლაბები" ბრისბენში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უმასპინძლებენ. „ბოკემ" სტარტზე ორიდან ორივე თამაში წააგო ახალი ზელანდიის ნაკრებთან და სპეციალისტთა საერთო აზრით, იოლი გასეირნება არც „მწვანე კონტინენტზე" ელოდება.

ავსტრალიელი მორაგბეები და მათი მწვრთნელები, ცხადია, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მომავალი მეტოქეების თამაშს. „ვოლაბების" თავკაცმა **რობი დინსმა** ბევრი საგულისხმო დეტალი მოინიშნა. მთავარი მიზეზი, რის გამოც „ოლ ბლექსმა" მოწინააღმდეგე აშკარად დაჩაგრა, ბრწყინვალე ფიზიკური კონდიციები, რაკში სუფთად თამაში და ფეთქებადი, ფეხმარდი უკანა ხაზი იყო. „ვოლაბებმაც" ყურადღება სწორედ ამ კომპონენტებზე უნდა გაამახვილონ.

ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა „ბოკე", რომელიც სამი კვირაა, მოგზაურობს, ძალების აღდგენას და ყურადღების მაქსიმალურად კონცენტრირებას. არადა, სამხრეთაფრიკელებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ. ზედიზედ სამი მარცხი მათთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ავსტრალიელთა უპირატესობას შევნიშნავთ. სამხრეთ აფრიკას, მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო არენაზე დაბრუნდა, ბრისბენში არასდროს მოუგია. მეტიც, 2006 წელს ავსტრალიამ „ბოკე" 49:0 გაანადგურა.

რობი დინსს საფიქრალი თავზესაყრელად აქვს. ავსტრალიურ რაგბიში ახალი, საკმაოდ საინტერესო თაობა მოვიდა. ახლა დინსზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად შეარჩევს ძირითად თხუთმეტეულს, არჩევანი მწირი სულაც არ გახლავთ.

მგეზავი ერთ-ერთი ის პოზიციაა, რომელზეც „ვოლაბების" თავკაცს დიდი განსჯა და ფიქრი არ სჭირდება. აქ **ქუადე კუპერი,** ფაქტობრივად, უკონკურენციოა. ამ უნიჭიერესი მორაგბის ცხოვრებაში ახლახან ერთი დიდი, სამართალდარღვევასთან დაკავშირებული რთული ეტაპი დასრულდა და ახლა მხოლოდ რაგბიზეა კონცენტრირებული.

მას, სავარაუდოდ, შეუწყვილდება **ვილი გენია,** რომელმაც ტრავმა მოიშუშა და „ბოკესთან" საბრძოლველად მზადაა. გენია ორიოდე თვის წინ დასრულებულ ზე 14-ის გათამაშებაში ერთ-ერთი საუკეთესო ცხრა ნომერი იყო.

შუამარბებად რობი დინსს **მეთ გიტო** და **ბერეკ ბარნსი** შეუგულებია - შესანიშნავი წყვილია. ავსტრალიელთა ყველაზე უნივერსალური მოთამაშე **ადამ ეშლი-კუპერი,** ალბათ, გარემარბის პოზიციას დაიკავებს, ისევე, როგორც **დრიუ მიტჩელი.** ფულბეკი კი, ცხადია, ვინც იქნება - მსოფლიო რაგბის ამომავალი ვარსკვლავი **ჯეიმზ ოკონორი.**

ყველაზე დიდი პრობლემა „ვოლაბების" თავკაცს შერკინების პირველ ხაზში აქვს. ეს ახალი ამბავი არ არის და, სავარაუდოდ, „ბოკე" სწორედ მეტოქის ამ ნაკლის გამოყენებას შეეცდება.

**ავსტრალიის ნაკრები**

**შერკინება: ჯიმი სლიპერი, რობ საიმონსი, ნათან შარფი, ბენ რობინსონი, დევიდ პოკოქი, დენ მამი, სტივენ მური, სალესი მააფუ, ბენ მაკკალმენი, მეთ ჰოჯსონი, სკოტ ჰიგინბოთამი, საია ფაინგაა, როკი ელსომი, ბენ დეილი, მარკ ჩისჰოლმი, რიჩარდ ბრაუნი.**

**უკანა ხაზი: ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, ქარტლი ბეილი, ლუკ ბარჯესი, ქუადე კუპერი, ენტონი ფაინგაა, ვილი გენია, მეთ გიტო, რობ ჰორნი, პეტერ ჰინესი, დიგბი იოანი, ჯეიმზ ოკონორი.**

რაგბი და კინო

# მიკი რურკი ჰომოსექსუალი მორაგბის როლში

ცნობილი კინომსახიობი **მიკი რურკი** ახალი ფილმის გადასაღებად ემზადება. მას მორაგბის როლის განსხიერება სურს. შარშან უელსის ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა მორაგბემ **გერეთ ტომასმა,** პირველმა მსოფლიო რაგბის ისტორიაში, აღიარა, რომ ჰომოსექსუალია. მიკი რურკმა ამ ისტორიის შესახებ, ცხადია, გაზეთებიდან შეიტყო და მისი ეკრანიზაციით დაინტერესდა.

გასულ უქმეებზე კინომსახიობი და გერეთ ტომასი ლონდონში შეხვდნენ. სადილისას მათ მომავალი ფილმის თაობაზე ისაუბრეს. ტომასის ერთ-ერთმა მენეჯერმა განაცხადა:

*„მიკი ძალიანაა მონდომებული, რომ ამ ისტორიის შესახებ ფილმი შექმნას. შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის, მაგრამ იმედი მაქვს, მისი ჩანაფიქრი განხორციელდება. ახლა ყველაფერი მენეჯერებზეა დამოკიდებული. საქმე ბოლომდე მათ უნდა მიიყვანონ".*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



მიკი რურკი




გერეთ ტომასი

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი — ტურ დე ფრანსი

# კონტადორს უსტვინეს

მეორე პირენეულ ეტაპს ველოსპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ, თუმცა შესანიშნავად ესმოდათ, რომ აქ ტურის გამარჯვებულის ბედი არ გაირკვეოდა, რადგან ურთულესი მთის გადალახვის შემდეგ 20-კილომეტრიანი დაშვება უაზროს ხდიდა ფავორიტების სავარაუდო ძალისხმევას.

ამიტომაც შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, რომ გამარჯვება გაქცეულ ველომრბოლთაგან ერთ-ერთს დარჩებოდა. თუმცა თავიდან პელოტონმა ძალიან სწრაფი ტემპი აკრიფა - სიჩქარე საათში 48 კილომეტრს აღწევდა და ამით გაქცევის ყველანაირი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პროგნოზი გამართლდა - პორტე დასპეს მეორე კატეგორიის მთის ძირში (დისტანციის 90-ე კილომეტრზე), იქ სადაც 15 წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა იტალიელი მრბოლელი **ფაბიო კასარტელი**, პელოტონს ცხრაკაციანი ჯგუფი გამოეყო. მათგან არც ერთი არ აცხადებდა პრეტენზიას გენერალურ კლასიფიკაციაში მაღალი ადგილების დაკავებაზე. დაწინაურებულებს სათავეში ფრანგი **ტომას ვიოკლერი** ედგა, რომელიც, საბოლოოდ, ეტაპის ტრიუმფატორი გახდა.

როგორც ჩანს, გვიანმა გაქცევამ ლიდერებს კარგი სამსახური გაუწია, რადგან უპირატესობა ძირითად ჯგუფთან ცხრა წუთამდე გაიზარდა. ასეთი მარაგი საკმარისი უნდა ყოფილიყო დისტანციის მთავარი მთის - პორტ დე ბალეს დასაპყრობად.

ბოლო აღმართზე ლიდერთა ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. მარტო შეუტია ვიოკლერმა და რამდენიმე წუთში მდევრები თვალს მიეფარნენ. კონტრშეტევაზე გადავიდნენ ესპანელი **აიტორ პერესი** და მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონი, იტალიელი **ალესანდრო ბალანი**, მაგრამ ეს მეორე ადგილისთვის ბრძოლა იყო, რომელშიც აპენინელმა იმარჯვა.

ამასობაში, მთავარი მოვლენები პელოტონში განვითარდა. აღმართის ბოლოს ლიდერთა მშვიდი სვლა საერთო ჩათვლის ლიდერმა **ანდი შლეკმა** დაარღვია - ლუქსემბურგელმა შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა, რომელსაც არა **ალბერტო კონტადორი**, არამედ **ალექსანდრ ვინოკუროვი** გამოეხმაურა. 100 მეტრის გავლის შემდეგ შლეკის ველოსიპედი დაუზიანდა. როგორ არ ეცადა ანდი გაქცეული კონტადორის, **სამუელ სანჩესისა** და **დენის მენშოვის** დაწევას, მაგრამ ფინიშზე ამ სამეულთან 39 წამი წააგო და ლიდერის ყვითელი მაისურა დაკარგა.

რბოლის შემდეგ კონტადორისთვის ყვითელი მაისურის გადაცემისას, ესპანელი პუბლიკამ სტვენით აიკლო. როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა რომანტიკული დრო, როცა **ლენს არმსტრონგი** და **იან ულრიხი** მთებში ავარიის შემდეგ ერთმანეთს ელოდებოდნენ.

ახლა ჟურნალისტები დიდი ხანი იმსჯელებენ იმაზე - სამართლიანად მოიქცა თუ არა მოქმედი ჩემპიონი. აღსანიშნავია ის დეტალი, რომ შლეკს ველოსიპედი მაშინ დაუზიანდა, როცა მარტო იყო გადასული შეტევაში. თანაც ეს დაზიანება თავად მრბოლელის ბრალი იყო - ის სიჩქარეების გადართვისას შეცდა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შლეკის წაფორხილების შემდეგ შეტევაში სამუელ სანჩესი და დენის მენშოვი გადავიდნენ და მათ იერიშს ესპანელი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა.

ასეა თუ ისე, დღევანდელ ეტაპს კონტადორი ყვითელი მაისურით დაიწყებს. შლეკი მასთან მხოლოდ 8 წამს აგებს, ასე რომ, ლუქსემბურგელისთვის დაკარგული არაფერია. სხვათა შორის, ასეთი გაბრაზებული შლეკი კარგა ხანია არ გვინახავს. ვნახოთ, რა მოხდება სამ სამთო ეტაპზე.

### XV ეტაპი

#### პამიერი-ბანიერ ლუშონი (187.5 კმ)

1. **ტომას ფიოკლერი** (საფ, Bbox Telecom) - 4.44,51; 2. **ალესანდრო ბალანი** (იტა, BMC Racing Team) - +1,20; 3. **აიტორ პერეს არიეტა** (ესპ, Footon-Servetto) - იგივე დრო; 4. **ლოიდ მონდორი** (საფ, Ag2r La Mondiale) - +2,50; 5. **ლუკ რობერტსი** (ავსტრა, Team Milram) - იგივე დრო; 6. **ფრანჩესკო რედა** (იტა, Quick Step) - იგივე დრო; 7. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - იგივე დრო; 8. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო; 9. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - იგივე დრო; 12. **ანდი შლეკი** (ლუქ, Team SaxoBank) - +3,29; 13. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - იგივე დრო; 14. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - იგივე დრო; 15. **რობერტ გესინკი** (ლუქს, Rabobank) - +3,55; 17. **ლევი ლაიფჰაიმერი** (აშშ, Radioshack) - იგივე დრო... 23. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +4,08; 24. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - იგივე დრო... 32. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +5,44... 36. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +6,58...

#### საერთო ჩათვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - 72.50,42; 2. **ანდი შლეკი** (ლუქ, Team SaxoBank) - 0,08; 3. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +2,00; 4. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - +2,13; 5. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - +3,39; 6. **რობერტ გესინკი** (ლუქს, Rabobank) - +5,01; 7. **ლევი ლაიფჰაიმერი** (აშშ, RadioShack) - +5,25... 9. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +7,12... 11. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas-Doimo) - +7:58... 13. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +9,02; 14. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +9,15... 22. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +16,16... 31. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +40,31...




ჩოგბურთი — ტურნირების მიმოხილვა



# ესპანელების კვირა

გასულ კვირას მამაკაცი ჩოგბურთელები ევროპულ გრუნტს დაუბრუნდნენ და „250" სერიის ორ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. შემადგენლობის მხრივ, უფრო წარმომადგენლობითი ბაშტადში შვედეთის ღია პირველობა იყო. აქ შარშანდელი ჩემპიონის, შვედი **რობინ სიოდერლინგის** გარდა, უძლიერესი ესპანელები - **ფერნანდო ვერდასკო, დავიდ ფერერი** და **ნიკოლას ალმაგრო** თამაშობდნენ.

რთული გზა გაიარა ფინალამდე სიოდერლინგმა, რომელიც ზედიზედ მეცხრედ თამაშობდა საშინაო ტურნირში. მას ყველა მატჩში სამი სეტის ჩატარებამ მოუწია, ყველაზე ახლოს გავარდნასთან კი მეოთხედფინალში იყო - მისი მეტოქე, იტალიელი **ანდრეას სეპი** მეორე სეტში მატჩზე აწვდიდა, მაგრამ არადამაჯერებლად ითამაშა და შვედს სეტებში ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. ანალოგიური სიტუაცია იყო მესამე პარტიაშიც და იქაც იტალიელმა პრაქტიკულად მოგებული მატჩი აჩუქა მეტოქეს.

სკანდინაველმა ნახევარფინალშიც წააგო პირველი სეტი. დავიდ ფერერი ძალიან კარგად მოქმედებდა, მაგრამ მეორე პარტიიდან მოყოლებული მისი თამაში მოიშალა, შეცდომებმა იმატა და რობინმა ფინალში გააღწია - 4:6, 6:3, 6:2. მისი მეტოქე გადამწყვეტ მატჩში კიდევ ერთი ესპანელი ნიკოლას ალმაგრო გახდა, რომელმაც პირენეულ დერბიში შანსი არ დაუტოვა **ტომი რობრედოს** - 6:1, 6:3.

ფინალი სიოდერლინგმა მეტოქეზე უკეთ დაიწყო და რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, თუმცა მატჩში პირველი ბრეიკი ალმაგრომ გააკეთა - მე-11 გეიმში სიოდერლინგმა საკუთარი მოწოდება ჩააგდო და ეს სეტის წაგებად დაუჯდა. ამის შემდეგ ესპანელმა თამაშს უკლო, რითაც სიოდერლინგმა ისარგებლა და მეორე სეტის სტარტზე 3:0 დაწინაურდა. ალმაგროს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია და მესამე პარტიისთვის მოემზადა, რომელშიც სიოდერლინგს ძალები აღარ ეყო. 2:2-ის შემდეგ მან გეიმი ველარ მოიგო და დათმო შარშან მოპოვებული ტიტული.

შტუტგარტის ტურნირის პირველ ნომრად რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** იყო განთესილი, რომელიც უკვე კარგა ხანია ღრმა კრიზისში იმყოფებოდა. რუსების პირველი ნომერი მეორე წრიდან ჩაება ტურნირში და კლასიფიკაციის 88-ე ნომერ **დანიელ ხიმენო-ტრავეროსთან** წააგო (6:7, 6:2, 1:6), რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ცუდი მზადყოფნა, არადა დავიდენკოს ამ კვირას ჰამბურგში შარშანდელი ტიტული აქვს დასაცავი.

რუსის მძლეველმა ესპანელმა ნახევარფინალამდე გააღწია, იქ კი ფრანგ **გაელ მონფილსთან** წააგო - 4:6, 6:4, 0:6. სხვათა შორის, სიოდერლინგის მსგავსად, მონფილსსაც ფინალამდე სამი სამსეტიანი მატჩის ჩატარება მოუხდა.

ბადის ქვედა მხარეს ორმა ესპანელმა - **ხუან-კარლოს ფერერომ** და **ალბერტ მონტანიესმა** იყოჩაღეს და ფინალში გასასვლელი მატჩი ესპანურ დერბად აქციეს. ეს შეხვედრა წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყდა. ამან უფრო ცუდად ფერეროზე იმოქმედა, რომელმაც ვერ დაალაგა სტაბილური თამაში. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ორი სეტპოინტი საკუთარი შეცდომების გამო გაანიავა, მონტანიესმა კი პირველივე შანსი გამოიყენა - 6:3, 7:6 (8:6).

ფინალში ბრძოლა არ შედგა. მონფილსი უკანა ხაზიდან ცდილობდა მონტანიესის დაცვის გარღვევას, მაგრამ მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ესპანელი ნელ გრუნტზე თავს მეტად კომფორტულად გრძნობდა. ამასთან, მონტანიესი კარგად ასრულებდა მოკლე დარტყმებს და ბევრს არბენინებდა ფრანგს. ერთ-ერთი ასეთი მომენტის დროს მონფილსმა ფეხი გადაიბრუნა და პირველი სეტის წაგების (2:6) შემდეგ, სამედიცინო პაუზა მოითხოვა. ამან გაელს ვერ უშველა. მან გმირულად აიღო ორი თავისი მოწოდება, მაგრამ ფეხში ტკივილს ვერაფერი მოუხერხა და მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ამ ტრავმის გამო ფრანგი ჰამბურგშიც ველარ შეძლებს თამაშს.

■ ■ ■

წინა კვირას ქალებმაც ორ ტურნირში ითამაშეს - უნგრელმა **აგნეს შავაიმ** ბოლო ორ კვირაში ორი ჩემპიონატი მოიგო, ესტონელმა **კაია კანეპიმ** კი კარიერაში პირველი ტიტული დაისაკუთრა.

წამყვანი ჩოგბურთელები ასეთი დონის შეჯიბრებებს გვერდს უვლიან - აქ ბევრ ქულასა და მაღალ ჰონორარს ვერ მოიპოვებ, თანაც გრუნტისთვის ახლა არაშესაფერისი დროა. საუკეთესო თხუთმეტეულიდან საქმეში მხოლოდ იტალიელი **ფლავია პენეტა** ვიხილეთ, რომელიც პალერმოს ტურნირის მთავარი ფავორიტი იყო.

პენეტას მთავარ კონკურენტად **არავან რეზაი** მიიჩნეოდა, მაგრამ მადრიდის სუპერტურნირის გამარჯვებულმა მეოთხედფინალში უბრძოლველად წააგო **რომინა ოპრანდისთან** - 5:7, 0:6. კიდევ ერთმა ფავორიტმა, უიმბლდონის ნახევარფინალისტმა **ცვეტანა პირონკოვამ** ორი წრეც ვერ გაიარა - მისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა 36 წლის ამერიკელი **ჯილ კრეიბასი** - 6:2, 2:6, 2:6.

პენეტას (პალერმოში ტიტულს იცავდა) მეტოქე ფინალში კაია კანეპი გახდა. ორივე ჩოგბურთელმა გადამწყვეტ მატჩამდე საკმაოდ იოლად მიაღწია - ყველა სეტი ტაი-ბრეიკის გარეშე მოიგეს. ფინალის დასაწყისში მცირე უპირატესობა მასპინძელს ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ესტონელმა დაალაგა შეტევითი მოქმედებები - ამით მან ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და 1:3-დან ანგარიში 5:3 გახადა. მართალია, კაიამ სეტზე ვერ ჩააწოდა, სამაგიეროდ, პარტია ბრეიკით მოიგო - 6:4.

მეორე სეტში სურათი არ შეცვლილა. ინიციატივა კანეპის ჰქონდა - ის ფლავიას მთელ კორტზე არბენინებდა და შეტევაზე გადასვლის საშუალებას არ აძლევდა. იტალიელი მეტოქის ჩავარდნას ელოდა, მაგრამ ასეთი მომენტი არ დადგა და ბალტიისპირელმა კიდევ უფრო იოლად მოიგო მეორე სეტი - 6:3.

პრაღაში უფრო სუსტი შემადგენლობა შეიკრიბა - განთესვის ლიდერი **ლუსი საფაროვა** იყო, მაგრამ კლასიფიკაციის 24-ე ნომერი მეორე მატჩზე ტრავმის გამო ვერ გავიდა. ასევე უბრძოლველად დატოვა ტურნირი მეორე ნომრად განთესილმა **ალექსანდრა დულგერუმ**. საბოლოოდ, მეოთხედფინალში მხოლოდ სამი განთესილი ჩოგბურთელი გავიდა - **ბარბორა ზახვალოვა, ანაბელ მედინა გარიგესი** და აგნეშ შავაი, რომელმაც წინა კვირას ბუდაპეშტში იმარჯვა.

ფინალში შავაი და ზახვალოვა გავიდნენ. ჩეხს ამისთვის ორი რთული გამარჯვების მოპოვება დასჭირდა, თუმცა ნახევარფინალში **პატი შნიდერი** გაანადგურა - 6:2, 6:0. შავაის გზა უფრო იოლი იყო - მან მეტოქეებს არც ერთი სეტი არ დაუთმო. გადამწყვეტ მატჩში ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. პირველ პარტიაში უნგრელი იოლად გაუსწორდა მეტოქეს - 6:2, თუმცა ამას აშკარა ჩავარდნა მოჰყვა და ზახვალოვამ მეორე სეტში მოწინააღმდეგისთვის მხოლოდ ერთი გეიმი გაიმეტა - 6:1. აღსანიშნავია, რომ ამ პარტიაში უნგრელმა ვერც ერთი გეიმი ვერ მოიგო თავის მოწოდებაზე.

თუმცა მასპინძელმა ტემპის შენარჩუნება ვერ შეძლო. შავაი გონს მოვიდა, ინიციატივა დაიბრუნა და უპრობლემოდ გაიფორმა მესამე სეტში და მთლიანად მატჩში გამარჯვება - 6:2. ასე რომ, უნგრელმა ჩოგბურთელმა ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო.

### ATP

#### Swedish Open

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 498 000 დოლარი

**ფინალი**

ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1) 7:5, 3:6, 6:2.

#### MercedesCup

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 498 000 დოლარი

**ფინალი**

ალბერტ მონტანიესი (ესპ, 5)-გაელ მონფილსი (საფ, 3) 6:2, 1:2 უარი.

### WTA

#### XXIII SNAI Open

პალერმო (იტალია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

კაია კანეპი (ესტ, 5)-ფლავია პენეტა (იტა, 1) 6:4, 6:3.

#### ECM Prague Open

პრაღა (ჩეხეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

აგნეშ შავაი (უნგ, 7)-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ, 8) 6:2, 1:6, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი · მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

# ღარიბი ჩემპიონატი




მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის წინ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სარეკლამო რგოლი გადაიღო, რომელშიც თანამედროვეობის საუკეთესო კალათბურთელებმა მიიღეს მონაწილეობა. თურქეთის ღირსშესანიშნაობების ფონზე გათამაშებული საკალათბურთო კომბინაცია ასეთი სიტყვების სრულდება - See You in Turkey! „შეხვედრამდე, თურქეთში!“

ამ კლიპის კადრებში ჩნდებიან: **ტონი პარკერი, პაუ გასოლი, კობი ბრაიანტი, დირკ ნოვიცკი, ენდრიუ ბოგუტი, ანდრეი კირილენკო, კარლოს აროიო, ანდერსონ ვარეჟაო, ჰედო თურქოგლუ, ერსან ილიასოვა**... მართლაც ბრწყინვალე კომპანიაა! მაგრამ საქმე ისაა, რომ სარეკლამო რგოლი ერთი წლის წინ არის გადაღებული, ამ დროის განმავლობაში კი რეკლამაში მონაწილე 10 კალათბურთელიდან ექვსმა - პარკერმა, გასოლმა, ბრაიანტმა, ნოვიცკიმ, ბოგუტმა და კირილენკომ გადაიფიქრეს ჩემპიონატში თამაში.

ვარსკვლავების უარის მიზეზი ბევრნაირია და მათი გადაწყვეტილებების ერთ ჭრილში განხილვა არასწორი იქნებოდა. მაგალითად, არის კალათბურთელთა ერთი ჯგუფი, რომლებსაც მომავალ ზაფხულს NBA-ში კლუბებთან კონტრაქტი უმთავრებდათ, შესაბამისად, უფრო სარფიანად უნდა გაყიდონ საკუთარი თავი, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული არასასურველი ტრავმა მათ გეგმებს ხაზს გადაუსვამს. ამ კატეგორიას განეკუთვნება მაგალითად, ფრანგი ტონი პარკერი. 2010-11 წლების სეზონში „სან ანტონიოს“ მცველი 13,6 მილიონს გამოიმუშავებს. პარკერი დიდი ოსტატია, მაგრამ მასაც ბევრი მონდომება დასჭირდება იმისთვის, რომ მომავალ ზაფხულს უფრო სარფიანი კონტრაქტი მიიღოს. ამავე ჯგუფს განეკუთვნება რუსი ანდრეი კირილენკო, რომელმაც მომავალ სეზონში უნდა დაამტკიცოს, რომ იმსახურებს წელიწადში 18 მილიონ დოლარს. თურქეთში მიღებული ნებისმიერი ტრავმა მას ამ ამოცანის შესრულებას გაურთულებს.

მაგრამ მთავარ ჯგუფს ის კალათბურთელები შეადგენენ, რომლებიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდნენ. არ არის გამორიცხული, რომ სარფიანი კონტრაქტის გაფორმებისას კლუბის მიერ წაყენებული ერთ-ერთი პირობა თურქეთში გამგზავრების აკრძალვა ყოფილიყო. ამ კატეგორიაში გადის გერმანელი ნოვიცკი (არადა, საერთაშორისო ფედერაციამ გერმანიასა და რუსეთს უაილდქარდები სწორედ ნოვიცკისა და კირილენკოს „ხათრით“ გამოუყო, მათ გარეშე კი, შესაძლოა, ეს გუნდები საერთოდ ვერ მოხვედრილიყვნენ ფინალურ ეტაპზე), რომელმაც სულ ახლახან დაასრულა დაძაბული მოლაპარაკებები „დალასთან“, არგენტინელი **მანუ ჯინობილი**, რომელთანაც „სან ანტონიოს“ მენეჯერები მრავალწლიან თანამშრომლობას გეგმავენ, ესპანელი გასოლი, ვინც ზამთარში სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი „ლეიკერსთან“, კობი ბრაიანტი, **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი, კრის ბოში**... თუმცა ბოლო ოთხი კალათბურთელი მესამე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, რომელსაც „ამერიკის 2008 წლის ნაკრები“ ჰქვია.

თურქეთში პეკინის ოლიმპიადის არც ერთი ჩემპიონი არ მიდის. აქ მხოლოდ კალათბურთელთა ახირებაში არ არის საქმე. თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკის კალათბურთის ფედერაციას ახალი სახეების შემოწმება სურს, რომელთაგანაც რამდენიმე მოთამაშე ორი წლის შემდეგ ლონდონში უმტკივნეულოდ შეუერთდება **მაიკ კრჟიჟევსკის** გუნდის ძირითად ბირთვს. თითქმის დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ 2012 წლის ოლიმპიადაზე „დრიმ თიმის“ შემადგენლობაში ვიხილავთ ჯეიმსს, უეიდს, ბოშს, **კარმელო ენტონის, დუაიტ ჰოვარდს**... მაგრამ ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ კარგი იქნება, თუ მათ რომელიმე ამომავალი ვარსკვლავი შეუერთდება, მაგალითად, **კევინ დურანტი**, ან ვეტერანი **ჩონსი ბილაპსი**, ან კიდევ **რაჟონ რონდო**, რომელიც აქამდე არ ეხმაურებოდა ნაკრებში გამოძახებებს, მაგრამ ახლა აპირებს თურქეთში გამგზავრებას.

NBA-ის მოთამაშეებიდან მეოთხე კატეგორიაც შეიძლება მივილოთ - კალათბურთელები, რომლებმაც უარი თქვეს გამოსვლაზე, თუმცა თურქეთში სათამაშოდ ეროვნულ გუნდში მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არც იწვევდნენ. ამის ნათელი მაგალითია - 2003 წლის დრაფტის მეორე ნომერი **დარკო მილიჩიჩი**, რომელიც **დუშან ივკოვიჩს** თავის გუნდში დიდად არ სჭირდება. სერბები ახალგაზრდებზე აკეთებენ აქცენტს (გამონაკლისი მხოლოდ **ნენად კრსტიჩია**) და ამიტომაც **პრედრაგ სტოიაკოვიჩი** ან **ვლადიმერ რადმანოვიჩის** გადაწყვეტილებაზე ბევრი არაფერი იყო დამოკიდებული. იგივე ითქმის ლიტველთა მოქმედ ვარსკვლავებზე - **დარიუს სონგაილაზე, რამუნას შიშკაუსკასზე, შარუნას იასიკიავიჩუსზე, რიმანტას კაუკენასზე**, რომლებმაც სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ჩემპიონატის მზადების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გამოაცხადეს.

მსოფლიოს ჩემპიონატს დანაკლისი ტრავმირებული კალათბურთელების გამოც აქვს. პირველ რიგში, ესენი არიან მსოფლიოს საუკეთესო ცენტრები - ავსტრალიელი **ენდრიუ ბოგუტი**, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს ორ ადგილზე მოიტეხა ფეხი და ჩინელი **იაო მინი**, ვინც მთელი გასული სეზონი გამოტოვა ტერფის ტრავმის გამო. მართალია, იაომ გამორიცხა ნაკრებიდან წასვლის ფაქტი, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მას ვერ ვიხილავთ, ისევე როგორც, ლიტველ ძმებს **კშიშტოფ** და **დარიუშ ლავრინოვიჩებს**.

დაბოლოს, არის ერთი ცნობილი კალათბურთელი, რომელსაც ჩემპიონატზე თამაში სურდა, არც ტრავმა აწუხებდა, მაგრამ თურქეთში მაინც ვერ გაემგზავრება. ეს არის ბერძენი **თეოდოროს პაპალუკასი**. საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა **იონას კაზლაუსკასმა** ვეტერანი გამთამაშებისთვის თავის გუნდში ადგილი ვერ გამონახა.

# უოლი მზად არის

წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა ჯონ უოლმა საზაფხულო ლიგაზე ოთხი თამაშის ჩატარება მოასწრო. „ვაშინგტონის“ ახალწვეულმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა - საშუალოდ 23.5 ქულა და 7.8 შედეგიანი პასი დააგროვა, „უიზარდსმა“ კი ოთხივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. საბოლოოდ, ნიჭიერმა მცველმა პირველი ადგილი დაიკავა პასების რაოდენობით და მეორე იყო ქულების მიხედვით.

ლიგის მწვრთნელების, მენეჯერებისა და სკაუტების უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ 19 წლის უოლი მზად არის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სათამაშოდ.

თუმცა ვაშინგტონელთა მცველს სამუშაოც ბევრი აქვს. მაგალითად, 2010 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა ნახტომი უნდა გააუმჯობესოს, დაბალია თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის მაჩვენებელი - 38 პროცენტი, ხშირია შეცდომა - საშუალოდ 5.2, თუმცა ბოლო ორ შეხვედრაში უოლმა ჯამში მხოლოდ ხუთჯერ დაკარგა ბურთი.




## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აეკ-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:0 |
| დენდერი-ანდერლეხტი | 2:2 |
| ნიიმეგენი-ჰიბერნიანი | 0:1 |
| გენკი-ფენერბაჰჩე | 0:3 |
| ეთლონი-მიდლსბრო | 1:1 |
| პიტერბრო-ასტონ ვილა | 2:3 |
| საუთენდი-დერბი | 1:1 |
| **დანია** | |
| ლუნგბიუ-ოლბორგი | 2:4 |
| **ნორვეგია** | |
| ტრომსიო-ლილესტრიომი | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ტამპერე-ოულუ | 3:1 |
| იუვასკილა-ვაასა | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ესპოო-კლუბი 04 | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| სპორტინგი-დროგედა | 1:2 |
| **ისლანდია** | |
| გრინდავიკი-სტიარნანი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| იაბლონეცი-ბრნო | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| კრილია-ცსკა | 0:1 |
| სატურნი-ნალჩიკი | 3:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰამბურგი** | |
| ფონინი-რამირეს იდალგო | 7:6, 6:4 |
| ო. როხუსი-**მ. გონსალესი** | 4:6, 7:5, 2:6 |
| **ფ. მაიერი**-კუევასი | 6:4, 6:1 |
| **ნიემინენი**-კ. როხუსი | 6:3, 7:6 |
| **სტარაჩე**-ფაუ | 7:5, 6:0 |
| **ისტომინი**-როსოლი | 3:6, 6:4, 6:3 |
| **ჰაიეკი**-ა. ბეკი | 6:3, 4:6, 7:5 |
| **სერა**-კოროლიოვი | 7:6, 6:3 |
| მატიო-**რიბა** | 6:1, 0:6, 3:6 |
| **ბოლელი**-გროილი | 7:6, 7:6 |
| **გოლუბევი**-ზვერევი | 7:5, 6:1 |
| **შარდი**-ჩიუდინელი | 6:4, 6:1 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| **მალეკი**-კორიტცევა | 7:6, 6:7, 2:6 |
| **ჰალეპი**-ვორაკოვა | 7:5, 6:2 |
| **კორნე**-რუსი | 6:2, 6:0 |
| **ოლარუ**-ვიორლი | 1:6, 6:4, 6:3 |
| **WTA. პორტოროჟი** | |
| **დუშევინა**-ლაპუშჩენკოვა | 2:6, 6:3, 6:3 |
| **რაზანო**-კუკოვა | 6:2, 7:5 |
| **დე ლოს რიოსი**-კლეპაჩი | 6:3, 6:4 |
| **პაჩეკი**-კოსტანიჩი | 7:5, 6:2 |
| მაკაროვა-**ჩაკვეტაძე** | 4:6, 1:6 |

## TV პროგრამა

**20 ივლისი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-სევილია.
**08:15** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. სპორტინგი-ევერტონი.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-პორტუ.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
**20:15** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. რომა-პანათინაიკოსი.
**22:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფიორენტინა-ბაიერნი.
**00:10** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ

**EUROSPORT**

**10:30** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**11:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ჰოლანდია. საფრანგეთი.
**12:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. პამიე-ბანიერე დე ლუშონი (LIVE).
**13:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**13:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი. ბანიერე დე ლუშონი-პო (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. გერმანია.
**21:00** ევროგოლი- საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი. ბანიერე დე ლუშონი-პო.
**22:00** პროფესიული კრივი. WBO-ის ვერსია. ნახევრადმძიმე წონა. მარკო ჰუკი (გერმანია)-ვ. მაიტო (აშშ). გერმანია.
**23:00** პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. დ. ტუა (სამოა)-ფ. აგუნანია (ნიგერია). ახალი ზელანდია.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**00:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**01:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**01:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. გერმანია.

## ამბები

კალათბურთი

### ბოსტონმა რობინსონი დაიტოვა

ჩატენვების კონკურსის სამგზის გამარჯვებული **ნეიტ რობინსონი** „ბოსტონ სელტიქსში“ რჩება. 175 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელმა 2008 წლის ჩემპიონთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა ხელშეკრულების ფინანსური დეტალები უცნობი დარჩა.

გამთამაშებელი გასული სეზონის მსვლელობისას „ნიუ იორკიდან“ გადავიდა „სელტიქსში“. შარშან მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 10.1 ქულას, 2.9 შედეგიან პასსა და 2.0 მოხსნას უდრიდა.

### კიდი ნაკრებს დაეხმარება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა **ჯეისონ კიდმა** სანაკრებო კარიერა პეკინის ოლიმპიადის შემდეგ დაასრულა, თუმცა ეს კალათბურთელი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე, შესაძლოა, მთავარი მწვრთნელის არაოფიციალური თანაშემწის როლში ვიხილოთ.

როგორც ESPN-ისთვის გახდა ცნობილი, ჯეისონს **მაიკ კრჟიჟევსკიმ** სანაკრებო შეკრებაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა. „დრიმ თიმი“ დღეს იწყებს წვრთნას ლას ვეგასში.

37 წლის კიდი ახალგაზრდა მოთამაშეებს რჩევებს მისცემს და ფსიქოლოგიურად დაეხმარება.

ოლიმპიზმი

### ლონდონს ბიუჯეტი შეუმცირეს

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით, მომავალი თამაშების ბიუჯეტი 27 მილიონი ფუნტი სტერლინგით შემცირდება. ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.

ეს არაპოპულარული ნაბიჯი მთელი ქვეყნის ბიუჯეტში არსებული დეფიციტის გამო გადაიდგა. როგორც ირკვევა, მომავალი ოლიმპიადის მზადებისას რამდენიმე მიმართულება დაზარალდება: 13 მილიონით ნაკლები დაიხარჯება უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, 11 მილიონი დააკლდება პრესცენტრის მოწყობას, 3 მილიონი - საკალათბურთო არენასა და ველოდრომს.

ამ მომენტისთვის 2012 წლის ოლიმპიადის ბიუჯეტი 9,269 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩოგბურთი

# მილიონისთვის ბრძოლა იწყება

ამ კვირას ატლანტაში ამერიკული ტურნირების სერია - US Open Series იწყება: ექვსი კვირის განმავლობაში გაიმართება 10 ტურნირი, რის შემდეგაც „დიდი სლემის" რიგით მეოთხე ჩემპიონატის - ამერიკის ღია პირველობის ჯერი დადგება.

ეს სერია 2004 წელს არის დაარსებული და მისი მთავარი თავისებურება ისაა, რომ ჩოგბურთელები დამატებითი მილიონისთვის იბრძვიან - ამ ბონუსს იმ ჩოგბურთელს უხდიან, ვინც ყველაზე წარმატებულად ითამაშებს ამ ექვსი კვირის განმავლობაში და აგრეთვე ამერიკის ღია პირველობაზე. სერიის შექმნამ სპონსორები და ტელევიზია მიიზიდა. თუ ადრე ამერიკაში ძირითადად ცინცინატისა და კანადის (მორიგეობით ტორონტოსა და მონრეალში იმართება) მასტერსებს აშუქებდნენ, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ არხებზე - ESPN2-სა და CBS-ზე ათივე ტურნირისთვის მოინახა დრო. ეს ტელეარხები, ძირითადად, ტურნირების ფინალურ უქმეებს აჩვენებენ, სპეციალიზირებულ Tennis Channel-ზე კი უფრო მეტის ნახვაა შესაძლებელი.

ყოველწლიურად, წამყვანი ჩოგბურთელები სერიის სარეკლამო რგოლებში მონაწილეობენ. თავიდან ისინი ტურნირის ემბლემით დამშვენებული სპეციალური ავტობუსით გადაადგილდებოდნენ - საჭესთან ხან **რაფაელ ნადალი** იჯდა, ხან **ენდი როდიკი**... მაგრამ, როცა ამ იდეამ საკუთარი თავი ამოწურა, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს 31-წამიან ვიდეოში ტოპმოთამაშეების ინტერვიუები ჩაერთოთ. მაგალითად, წელს ჩვენ გავიგებთ **როჯერ ფედერერის** სახელგანთქმული დარტყმის (ბადესთან ზურგით მდგარი ფეხებსშუა ბურთის გატარება) შესახებ, რომელიც მან აშშ-ის 2009 წლის ღია პირველობის ნახევარფინალში შეასრულა, ხოლო **კაროლინა ვოზნიაცკი** მოგვიყვება, რატომ შეუყვარდა კრივი.

ამ სეზონში გარკვეული ცვლილებები მოხდა. პირველად მამაკაცებს შორის ტურნირი ატლანტაში გაიმართება - ის ინდიანაპოლისს შეცვლის, ქალები კი კვლავ სან დიეგოში ჩავლენ - 700-ათასიანი ფონდის ტურნირი ორწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა კალენდარში. ლოს ანჯელესის ჩემპიონატი კი წელს აღარ ჩატარდება. ქალებისა და კაცებისთვის ერთადერთი ერთობლივი ტურნირია ნიუ ჰევენში (Pilot Pen), რომელიც წინ უძღვის ამერიკის ღია პირველობას.

*„ჩვენ US Open Series ჩრდილოეთ ამერიკაში ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის დავაარსეთ,* - ამბობს ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ჯიმ ქერლი** - *ქალთა და მამაკაცთა ტურებთან, სატელევიზიო პარტნიორებთან, სპონსორებთან, ტურნირების ორგანიზატორებთან და მოთამაშეებთან მჭიდრო ურთიერთობით ჩოგბურთისთვის შესანიშნავი ვიტრინა შევქმენით და ეს ყველა მიმართულებით ბრწყინვალე შედეგებს გვაძლევს".*

ფედერაციის პრეზიდენტი **ლუსი გარვინი** მიიჩნევს, რომ მთავარი ამოცანაა - სერია რაც შეიძლება მეტი ადამიანის ოჯახში შევიდეს: *„ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას კომპანია ESPN. ის არა მარტო სერიაზე, არამედ ამერიკის ღია პირველობაზე ფლობს ექსკლუზივს".*

US Open Series-ის დროს საჩოგბურთო გულშემატკივრები არა მარტო ოფიციალურ რეიტინგებს, არამედ სერიაში მოთამაშეთა მდგომარეობასაც ადევნებენ თვალს: ყოველი ტურნირისთვის სპორტსმენები ATP-სა და WTA-ის რეგლამენტის შესაბამისად ქულებს აგროვებენ. მონაცემები ჯამდება და აგვისტოს ბოლოსთვის ქვეყნდება საბოლოო ცხრილი. იმ მოთამაშეს, რომელიც მესამე ადგილზე გავა, ამერიკის ღია პირველობაზე მოპოვებულ ჰონორარს 25 პროცენტით გაუზრდიან, მეორე ადგილზე გასულს - 50 პროცენტით, ხოლო სერიის გამარჯვებული ორმაგ ანაზღაურებას მიიღებს. ყველაზე დიდ ფინანსურ წარმატებას **კიმ კლაისტერსმა** და როჯერ ფედერერმა მიაღწიეს. ბელგიელი 2005 წელს გახდა სერიაში უძლიერესი და ჯამში 2.2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ორი წლის შემდეგ კი მისი შედეგი ფედერერმა გაიმეორა - მან 2.4 მილიონზე ოდნავ მეტი გამოიმუშავა.

კიმმა ხუთი წლის წინ რეკორდი დაამყარა - 225 ქულა მიიღო. მამაკაცებს შორის საუკეთესო შედეგი გაცილებით მოკრძალებულია - 175 ქულა ჰქონდა შარშანდელ გამარჯვებულ **სემ კუერის**. ამერიკაში ყველაზე წარმატებულად მასპინძელი **ენდი როდიკი** თამაშობს, რომელმაც ორჯერ მოიგო სერია და ორჯერ სამეულში მოხვდა. ლოგიკურია, რომ მშობლიურ მიწაზე ყველაზე ხშირად ამერიკელები იმარჯვებდნენ - 16 ტიტული (12 - მამაკაცებმა, 4 - ქალებმა).

შარშან სერიის ჩემპიონებმა უშუალოდ ამერიკის ღია პირველობაზე სუსტად იასპარეზეს - სემ კუერიემ მესამე წრეში წააგო, **ელენა დემენტიევა** კი მხოლოდ მეორე რაუნდამდე მივიდა. სამაგიეროდ, **ხუან-მარტინ დელ პოტრო** US Open Series-ის მესამე მოთამაშე გახდა, შემდეგ „დიდი სლემის" ტურნირიც მოიგო, რითაც თავისი ჰონორარი 250 ათასი დოლარით გაზარდა.

ამ წლიდან ამერიკის ლიგაზე საპრიზო ფონდი გაიზარდა - 1.7 მილიონი გამარჯვებულისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ US Open Series-სა და ამერიკის ღია პირველობაზე მაქსიმალური მოგება 2.7 მილიონამდე ადის, ჩემპიონატის საერთო ფონდი 22.6 მილიონს უტოლდება.

ასე რომ, ამერიკის ღია პირველობა ყველაზე ძვირფასი და მომგებიანი ტურნირი გახდა. ჩოგბურთელებს ექვსი კვირა აქვთ „დიდი სლემის" ბოლო ტურნირისთვის მოსამზადებლად, ამასთან, მოცემული სტრუქტურა იმედს გვისახავს, რომ მოსამზადებელ სტარტებზე უძლიერეს ჩოგბურთელებს ვიხილავთ, რომლებიც მოვალეობას კი არ მოიხდიან, არამედ გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებენ.

### US Open Series-ის პრიზიორები

#### კაცები

**2004** - 1. ლეიტონ ჰიუიტი; 2. ენდი როდიკი; 3. ანდრე აგასი; **2005** - 1. ენდი როდიკი; 2. ანდრე აგასი; 3. რაფაელ ნადალი; **2006** - 1. ენდი როდიკი; 2. ფერნანდო გონსალესი; 3. ენდი მიურეი; **2007** - 1. როჯერ ფედერერი; 2. ჯეიმს ბლეიკი; 3. ენდი როდიკი; **2008** - 1. რაფაელ ნადალი; 2. ენდი მიურეი; 3. ხუან-მარტინ დელ პოტრო; **2009** - 1. სემ კუერი; 2. ენდი მიურეი; 3. ხუან-მარტინ დელ პოტრო.

#### ქალები

**2004** - 1. ლინდსი დევენპორტი; 2. ამელი მორესმო; 3. ელენა ლიხოვცევა; **2005** - 1. კიმ კლაისტერსი; 2. მარი პირსი; 3. ამელი მორესმო; **2006** - 1. ანა ივანოვიჩი; 2. მარია შარაპოვა; 3. კიმ კლაისტერსი; **2007** - 1. მარია შარაპოვა; 2. ელენა იანკოვიჩი; 3. პატი შნიდერი; **2008** - 1. დინარა საფინა; 2. მარიონ ბარტოლი; 3. დომინიკა ციბულკოვა; **2009** - 1. ელენა დემენტიევა; 2. ფლავია პენეტა; 3. ელენა იანკოვიჩი.

### US Open Series-ის კალენდარი

**1-ლი კვირა: 19-25 ივლისი**

ATP: ატლანტა

**მე-2 კვირა: 26 ივლისი-1 აგვისტო**

ATP: ლოს ანჯელესი
WTA: სტენფორდი

**მე-3 კვირა: 2-8 აგვისტო**

ATP: ვაშინგტონი
WTA: სან დიეგო

**მე-4 კვირა: 9-15 აგვისტო**

ATP: ტორონტო
WTA: ცინცინატი

**მე-5 კვირა: 16-22 აგვისტო**

ATP: ცინცინატი
WTA: მონრეალი

**მე-6 კვირა: 22-28 აგვისტო**

ATP: ნიუ ჰევენი
WTA: ნიუ ჰევენი

**ფინალი: 30 აგვისტო-12 სექტემბერი**

აშშ-ის ღია, ნიუ იორკი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

9 ივლისიდან




რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის

ფეხბურთი

# დედა ოფიციანტი ყოფილა



**პორტუგალიელი** ნახევარმცველის **კრისტიანო რონალდოს** მეგობრებმა პრესას 10 მილიონ ფუნტად შეფასებული საიდუმლო გაუმხილეს - ცნობილი გახდა, თუ ვისგან ჰყავს ვაჟი „რეალის" ვარსკვლავს. ადრე იტყობინებოდნენ, რომ სპორტსმენმა სუროგატული დედის სამსახურით ისარგებლა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ კრისტიანო შემთხვევით ნაცნობთან გატარებული ერთი ღამის შემდეგ გახდა მამა.

რონალდომ გოგონა გასული წლის ზაფხულში, ლოს ანჯელესში ყოფნისას გაიცნო. რესტორანში ვახშმობისას ფეხბურთელმა სიმპათიურ ოფიციანტს თვალი დაადგა და ჟესტებით აუხსნა, რაც უნდოდა მისგან. თავიდან გოგონამ უარი განაცხადა, რის შემდეგაც რონალდომ დაორთქლილ ფანჯარაზე გული დახატა... ის ღამე მათ ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში გაატარეს.

რონალდო კარგა ხნის წასული იყო ამერიკიდან, როცა გოგონამ აღმოაჩინა, რომ ფეხმძიმედ იყო. ოფიციანტი ვარსკვლავს მისივე აგენტის მეშვეობით დაუკავშირდა. კრისტიანომ უარი არ თქვა ბავშვზე, ოღონდ თავიდან დნმ-ის ანალიზის ჩატარება მოითხოვა, რომელმაც მისი მამობა დაადასტურა. ეს ამბავი ფეხბურთელმა სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას შეიტყო.

*„ის კათოლიკურ ოჯახში გაიზარდა და მამობაზე უარს ვერ იტყოდა. კრისტიანოს ერთი წამით არ ეპარება ეჭვი, რომ სწორად მოიქცა",* - ამბობს ფეხბურთელის მეგობარი.

ამ ამბის შემდეგ რონალდოს მეგობრებისთვის უთქვამს - თავი **ბორის ბეკერი** მგონიაო. ცნობილი ისტორიაა, როცა გერმანული ჩოგბურთის ლეგენდას რუს მოდელ **ანჯელა ერმაკოვასთან** რესტორანში სექსუალური კავშირის შემდეგ ქალიშვილი გაუჩნდა.

კრისტიანო რონალდომ ბავშვზე მეურვეობის სრული უფლება მოიპოვა. **ჭორების მიხედვით, მან თავისი ვაჟის დედას 15 მილიონი გადაუხადა იმის სანაცვლოდ**, რომ ის დუმილს შეინარჩუნებდა და საკუთარ თავს არ გაამჟღავნებდა. როცა ფეხბურთელი შინ არ არის, ბავშვზე ფეხბურთელის დედა - **დოლორესი** და დები - 33 წლის **კატია** და 35 წლის **ელმა** ზრუნავენ. იმასაც ამბობენ, რომ მამა შვილს დედის ვინაობას მაშინ გაუმხელს, როცა უმცროსი რონალდო 18 წლის გახდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

